

ივანე ჭავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტუდენტთა VII საფაკულტეტო
სამეცნიერო კონფერენცია

თემისები

26-27 დეკემბერი
2024

სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:

დარეკან თვალთვაძე – ივანე ჭავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარულ
მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

ეკატერინე ნავროზაშვილი – ივანე ჭავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარულ
მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და
განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

დარეკან გარდავაძე – ივანე ჭავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარულ
მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის
უფროსი, პროფესორი;

ნინო პოპიაშვილი – ივანე ჭავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების
სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი
(კონფერენციის თავმჯდომარე);

ლიზი ბეჟანიშვილი – ივანე ჭავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარულ
მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურის
სტუდენტი.

იაკობ აბაიშვილი

საქართველოს საბარეო უსაფრთხოებაზე მსახლობა დამფუძნებელ პრებაში (1919)

ნებისმიერი დამოუკიდებელი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს საგარეო უსაფრთხოებაზე ზრუნვა წარმოადგენს. ამ საკითხის დიდ მნიშვნელობაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისა და არსებობის ისტორიაც მეტყველებს.

სწორედ ოსმალეთის ხელისუფლების ექსპანსიონისტური პოლიტიკის გააქტიურების პარალელურად გადაწყვიტეს ქართულმა პოლიტიკურმა წრეებმა, რომ ეროვნული უსაფრთხოება პირველი ქართული რესპუბლიკის შექმნით და გერმანიის მხარდაჭერით დაეცვათ, რაც 1918 წლის 28 მაისს, ფოთში გაფორმებული შეთანხმებით უზრუნველყოვეს.

სრულყოფილი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის რთულ გზაზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს დამფუძნებელი კრების (პარლამენტის) არჩევნების ჩატარება და ლეგიტიმური საკანონმდებლო ორგანოს შექმნა წარმოადგენდა.

1919 წლის თებერვალში, საქართველოში, საყოველთაო, ფარული, თანაბარი და პირდაპირი კენჭისყრით ჩატარებული არჩევნების საფუძველზე დაკომპლექტდა დამფუძნებელი კრება, რომელშიც თავი მოიყარეს: სოციალ-დემოკრატებმა, სოციალისტ-ფედერალისტებმა, ეროვნულ-დემოკრატებმა და სოციალისტ-რევოლუციონერებმა.

ამ პარტიების წარმომადგენელი დეპუტატები სისტემატურად მსჯელობდნენ იმდროინდელი საერთაშორისო ვითარების ზეგავლენასა და საქართველოს საგარეო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

წინამდებარე მოხსენებაში, დამფუძნებელ კრებაში 1919 წლის 12 მარტიდან 31 დეკემბრამდე გამართული სხდომების სტენოგრაფიულ ანგარიშებზე დაყრდნობით, გამოვყავით რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლებზეც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება და ოპოზიციური სპექტრი მსჯელობდა. მათ შორის გახ-

ლდათ შემდეგი საკითხები, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოს საფრთხეს უქმნიდა:

- 1) სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გარეშე ძალთა ხელშეწყობით შექმნილი ე. ნ. „ყარსის რესპუბლიკა“;
 - 2) საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოში ინსპირირებული პროვოკაციული ქმედებები;
 - 3) რუსეთის „თეთრი მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის, გენერალ ანტონ დენიკინის არმიის შემოქრა იმხანად საქართველოს შემადგენლობაში მყოფ ისტორიულ ჰიქეთსა (იმუამინდელ სოჭის ოლქში) და აფხაზეთში;
 - 4) ურთიერთობის მოწესრიგება დიდ ბრიტანეთთან, რომლის შეიარაღებული ძალებიც ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში უხეშად ერეოდნენ;
 - 5) საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს შორის 1919 წლის 16 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულება ურთიერთდახმარების თაობაზე და სხვ.
- ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებაში საგარეო უსაფრთხოების საკითხებს საკმაოდ ყურადღებით ეკიდებოდნენ და ინტენსიურად განიხილავდნენ.

ნინო აბაშიძე

**ვიზუალური იმპერიალიზმის ისტორიიდან:
ანტუან-ჟან ბროს „ნაპოლეონის სტუმრობა იაფაში,
შავი ჰირით დაავადებულთა სახლში“**

Although the existence of visual representation dates back to the earliest cave paintings 40,000 years ago, the history of selective imagery of visual imperialism, particularly of Western perspective, can be traced back to the way painters depicted certain regions and areas of the East the way they liked it. For Westerners, the East had been “since antiquity a place of romance, exotic beings, haunting memories and landscapes, [and] remarkable experiences” (Said, 1978, p. 1). During the colonization era, it became “a major preoccupation of nineteenth-cen-

tury painting, an East which was, in turn, 'Imagined, Experienced, [and] Remembered'" (MacKenzie 1995, p. 44). As an obsession for the West, representing the Orient has its roots in the first Westerners' journey to the Orient in search of exotica and excitement whose travel accounts encouraged many male artists to travel there for painting. The creation of these paintings led to the emergence of an Orient as a source that provides the West the deepest and most recurring images of the Other. These visual representations of the Orient, over the centuries, have continued to bolster the stereotypes of the 'Other' and celebrate the differences to sustain the power of the dominant culture. These differences, that are constructed imaginatively as the real ones are being contracted, are the result of what Benedict Anderson (1983) calls "imagined communities." "Imagined communities" must be formed through invented links and group identities are made by being part of an exclusive identity. The creation of Western identity delineates who is part of the community and who is on the other side. Baily Jone

„თანამედროვე ვიზუალური იმპერიალიზმის ისტორია სათავეს XIX საუკუნიდან იღებს, როდესაც აღმოსავლური ექსპედიციების თანმხლები ევროპელი მხატვრები დასავლური პერსპექტივიდან დანახულ აღმოსავლეთს და მასში მომხდარ მოვლენებს ასურათებდნენ. სწორედ ამ მხატვრულ-ვიზუალური ქრონიკებით ყალიბდებოდა დასავლური საზოგადოების სტერეოტიპული შეხედულება აღმოსავლეთზე, როგორც „უცხოს“, განსხვავებულსა და ეგზოტიკურზე. ამ ევროპაცენტრულ მხატვრულ კონცეფციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა დასავლეთის, როგორც უპირატესი, დომინანტი კულტურული ორბიტის როლს მუსლიმი მოსახლეობის კულტურული ემანსიპაციისა და „ვესტერნიზაციის“ პროცესში. ამ პერიოდში შექმნილი მხატვრული ტილოების მთავარი გმირები – ძლევამოსილი მხედარომთავრები გამოსახული არიან არა მხოლოდ სამხედრო წარმატებების ამსახველი ეპიზოდებით, არამედ როგორც დასავლური ჰუმანიზმის პროტაგონისტები, რაც ვიზუალური პროპაგანდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენდა. ერთ-ერთი პირველი ნაუშევარი, რომელიც ასეთი პროპაგანდის მკაფიო ნიმუშს წარმოადგენს, არის ცნობილი ფრანგი მხატვრის, ანტუან ჟან-გროს ფერწერული ტილო „ნაპოლეონის სტუმრობა იაფაში, შავი ჭი-

რით დაავადებულთა სახლში”, რომელიც 1804 წლით თარიღდება და ნაპოლეონ ბონაპარტის წარმატებული ეგვიპტური კამპანიის (1798-1801) ერთ-ერთ ეპიზოდს ასახავს.

მოხსენებაში განხილული იქნება როგორც ამ სურათის შექმნის ისტორიული კონტექსტი, ასევე ვიზუალური პროპაგანდის ის სტრატეგია, რომელიც გამოყენებული იქნა საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისათვის.

გიორგი აბსანძე

დიდი დედა – MAGNA MATER

დიდი დედა ერთ-ერთი ყველაზე არქაული და უნივერსალური ქალღმერთის სახეა. ღმერთების დიდი დედა ერთ-ერთ უძველეს ღვთაებად გვევლინება, რომლის თაყვანისცემა საუკუნეების სიღრმეში იკარგება. იგი განსაკუთრებით პოპულარული იყო მცირე აზიაში, რომელშიც ჩვენთვის ცნობილია დიდი დედა-კიბელეს სახელით. ქალღმერთს გამოსახავდნენ ტახტრევანზე მჯდომარეს, გრძელი სამოსით, სკიპტრით ხელში და თავზე კალაფით, რაც მისი ხთონური დანიშნულების სიმბოლო იყო. თითქმის ყოველთვის ღმერთების დიდი დედა-კიბელეს წარმოდგენილი იყო ლომებთან ერთად.

დიდი დედა-კიბელეს, ისევე, როგორც სხვა წარმართ ღვთაებებს, ახასიათებდა სინკრეტიზაცია სხვადასხვა ქალ ღვთაებებთან. რომელ ქვეყანაშიც შედიოდა, მისი კულტი ერწყმოდა ადგილობრივ ქალ ღვთაებებს, მაგალითად: ბაბილონურ იშთარს, ეგვიპტურ ისიდას, ფინიკიურ ასტარტეს, ბერძნულ რეას, დემეტრას.

ქალღმერთი რომში შედის ძვ. წ. 205 წელს, სადაც იგი შეერწყა ღვთაება ოპსს. არტეფაქტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დიდი დედა-კიბელეს კულტი საკმაოდ პოპულარული იყო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

არქეოლოგიური მასალის, ეპიგრაფიკული ძეგლებისა და სამეცნიერო ლიტერატურის გაანალიზების შედეგად შეგვიძლია, ვისაუბროთ დიდი დედა-კიბელეს უნივერსალურ თვისებებზე, რომელიც დამახასიათებელი იყო ზოგადად ქალი ღვთაებების-

თვის, მაგალითად, როგორიცაა შემქმნელ-შემოქმედის ფუნქცია, კერძოდ: ა) ქალღმერთის მონაწილეობა სამყაროს კრეაციაში; ბ) ღმერთებისა და ადამიანების შექმნის საკითხი; გ) ნაყოფიერების ფუნქცია.

ნინო ალენიკოვი

თანამედროვე სამაგიდო თამაშების არგო („მაფიის დამე“)

სამაგიდო თამაშები საქართველოში ბოლო დროს შესამჩნევად გააქტიურდა. თითოეულს თავისი სპეციფიკური წესები, სტილი და ტერმინოლოგია აქვს. ჩვენი ყურადღება მიიქცია „თამაშების ენამ“. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა „მაფიის ღამის“ არგო, რომელშიც ჩვენ ვხვდებით ანგლიციზმებს, რუსიციზმებს...

შევცადეთ, დავკვირვებოდით აღნიშნული „თამაშის ენას“, გამოგვეყო სახასიათო ლექსიკა და დაგვედგინა მათი წარმომავლობა. ლექსიკასთან ერთად, ყურადღებას იქცევს „თამაშის ენის“ სინტაქსი. საგულისხმოა, რომ ხშირად სწორად შერჩეული სინტაქსური კონსტრუქცია განაპირობებს მოთამაშის არგუმენტის სიმყარეს.

მოხსენებაში განხილული იქნება თამაშის არგოსათვის სპეციფიკური ლექსიკური ერთეულები: ჰილი, ქილი, უგადაიკა, ჩატეხვა, ფოლი...

შესიტყვებები: მაგიდის გაყოფა, ბალანსის თამაში, ბინძურად წითელი, რაზნაცვეტნი მოთამაშე, ხელის ყიდვა, დეტექტივად გახსნა, ექიმობის ჩახსნა...

სპეციფიკური კონსტრუქციების მაგალითები: ჩემი სინითლე ძალიან კარგად გამოჩნდა ექიმის გაკეთებული ჰილით. არაფერი მაქვს თავის სამართლებელი და ვინც მე მიტევს, ჩემს თვალში ავტომატურად შავდება, ამიტომ სამი ნომერი ბეტონშავია ჩემთვის და მიიღეთ კანდიდატურად! შენი სფიჩი ჩემთვის ბინძურად თავის განითლება იყო და მეტი არაფერი. ჩემამდე სამმა შავმა უეჭველი ილაპარაკა! რა გუნდები ითამაშეთ საერთოდ? ჩემში

ტყუილად არ დახარჯოთ გადამოწმება, ყველა ჩემი შეტევით წი-
თელი გამოვდივარ.

როგორც ვხედავთ, არგოში გამოყენებული ბევრი სიტყვა
ჩვენთვის ნაცნობია, თუმცა ეს სიტყვები თამაშში თავისი ავთენ-
ტური მნიშვნელობით სულაც არ გვხვდება. ჩვენი აზრით, მეტად
მნიშვნელოვანია თანამედროვე არგოების კვლევა ენაში მიმდი-
ნარე ცვლილებების საერთო სურათის კარგად დასანახად. სიტყ-
ვის მნიშვნელობის გადაწევა, თუნდაც კონკრეტული თამაშის
ფარგლებში, ენობრივად საინტერესო მოვლენაა.

მარიტა აშორტია

„არ-/არა-“ ნაწილაკიანი ოკაზიური სახელური მოდელები „ვეფხისტყაოსანში“

უარყოფა რთული კატეგორიაა. „ვეფხისტყაოსანში“ არსებუ-
ლი არ-/არა- უარყოფითი ნაწილაკი რთულ სახელურ მოდელებ-
თან საკმაოდ სპეციფიკურია. შოთა რუსთაველი ცალკეულ შემ-
თხვევაში იყენებს ისეთ ენობრივ საშუალებებს, რომლებიც უნი-
კალურია და მხოლოდ პოემის ენისთვისაა დამახასიათებელი.

საკონფერენციო თემის მიზანია უარყოფითნაწილაკიანი
ოკაზიური სახელური მოდელების სტრუქტურულ-სემანტიკური
ანალიზი. საანალიზო მასალა აღებულია შოთა რუსთაველის
„ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემიდან (თბ. 1974).

პოემაში არ-/არა- ნაწილაკიანი ბუნებრივი სახელური ფორ-
მების გვერდით დასტურდება ოკაზიური ფორმებიც, კერძოდ, მას-
ში ერთიანდება ის უარყოფითნაწილაკიანი სახელები, რომელ-
თაც შეიძლება ენოდოთ ანტონიმური ოკაზიონალიზმები (რ. ქურ-
დაძე და სხვები 2022: 310-314); ეს კი იმას ნიშნავს, რომ უარყო-
ფითნაწილაკიანი სახელი ანტონიმურ წყვილს ვერ ქმნის და ცა-
ლი ლექსემითაა ნარმოდგენილი; იგი ავტორის მიერაა შექმნილი
და მხოლოდ პოემის ტექსტში დასტურდება.

ოკაზიური ანტონიმური სიტყვა-ფორმის მიღების საფუძვე-
ლია უარყოფითი ნაწილაკის პოზიციის ცვლა; კერძოდ, ბუნებრივ
მეტყველებაში ზმნის წინ მდგარ უარყოფით ნაწილაკს პოეტურ

ტექსტში ავტორი უცვლის პოზიციას და ათავსებს სახელის წინ, მისი მიზანია ექსპრესიულობის მიღწევა.

ნინო ახალაია

გუბაზ ॥-ის დიპლომატია

დასავლეთ საქართველოს მეფეთა შორის გუბაზ ॥-ს ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია. VI საუკუნის შუა ნლებში ის დაახლოებით თხუთმეტი წელი მართავდა ეგრისის სამეფოს. მისი მმართველობა დაემთხვა იმ მნიშვნელოვან პერიოდს, როდესაც განსაკუთრებით გამწვავდა ურთიერთობა ბიზანტიასა და ირანს შორის ეგრისში გაბატონებისათვის. გუბაზ ॥-ის დიპლომატია მრავალმხრივი და კომპლექსური იყო, რომლის მთავარ მიზანს ქვეყნის უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის დაცვა წარმოადგენდა.

გუბაზ ॥-ის მოღვაწეობის დროს ბიზანტია და ირანი ერთმანეთს ეცილებოდნენ. დაპირისპირების ერთ-ერთი ობიექტი ეგრისის კონტროლი იყო. ორივე მხარისთვის მას განსაკუთრებული ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ბიზანტიის იმპერია ყოველმხრივ ცდილობდა ეგრისში თავისი გავლენის გავრცელებას, ვინაიდან ერთგვარ ფორპოსტად ექცია იგი გარეშე მტრისგან თავდასაცავად. გუბაზ მეფის სურვილი იყო, ისეთი დიპლომატიური ნაბიჯები გადაედგა, რომლითაც თავის ქვეყანას მშვიდობას შეუნარჩუნებდა, ამისათვის კი მეორე მხარის გამოყენებასაც არ ერიდებოდა.

ირანს, ბიზანტიის მსგავსად, ეგრისის მიმართ თავისი მიზნები ამოძრავებდა. იგი ეგრისის დაუფლებით ხელთ იგდებდა პლაცდარმს ბიზანტიაზე თავდასასხმელად. თუმცა, სპარსეთი-სათვის, თავისთავად ცხადია, ნათელი იყო გუბაზ მეფის დამოკიდებულება, ყველაზე დიდი მონინააღმდეგე სწორედ ის იქნებოდა, ვინაიდან გუბაზი ირანს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გამოყენებდა, რომ მათი დახმარებით ბიზანტიელები განედევნა და ქვეყანა მათგან დაეხსნა. არსებულ ვითარებაში კი ეგრისი, უმეტეს შემთხვევაში, დიპლომატიურ ლავირებას მიმართავდა და

ცდილობდა, იმ ძალას დაყრდნობოდა, რომელიც მოცემულ მომენტში მას უფრო აწყობდა.

ამრიგად, გუბაზ II, როგორც თავისი ეპოქის გამორჩეული მოღვაწე, ყოველ ღონეს იყენებდა იმისათვის, რათა ეგრისი არ აღმოჩენილიყო არც ბიზანტიისა და არც სპარსეთის სრული მმართველობის ქვეშ. თუმცა, თავად ეგრისის სამხედრო შესაძლებლობები დიდად ვერ უწყობდა ხელს ამ მიზნის განხორციელებას, რის გამოც მნიშვნელოვანი იყო ორ იმპერიას შორის დიპლომატიური და პოლიტიკური ლავირება. შესაბამისად, წარმოდგენილ მოხსენებაში სწორედ ზემოხსენებული საკითხისა და გუბაზ II-ის დიპლომატიის შესახებ გვექნება საუბარი.

თამარ ახალკაცი

სულიერი მემკვიდრეობა და პოლიტიკური

კავშირები: საქართველო და ისრაელი

საუკუნეების განმავლობაში

მოხსენებაში განვიხილავთ საქართველოსა და ისრაელის ურთიერთობების უნიკალურ მოდელს, რომელიც დაფუძნებულია სულიერ, კულტურულ და პოლიტიკურ კავშირებზე. აღნიშნულია, რომ ორი ერი საუკუნეების განმავლობაში ინარჩუნებდა ურთიერთობას, რომელიც დაიწყო ანტიკური ხანიდან. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია იერუსალიმის როლზე ქართული კულტურისთვის, მათ შორის ჯვრის მონასტრის მნიშვნელობაზე და ქართველი მეფეების მხარდაჭერაზე წმინდა მიწაზე არსებული ქართული სასულიერო კერძების მიმართ.

ისტორიულად, ებრაელები საქართველოში არა მხოლოდ მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ ქართველებთან, არამედ აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამასთან, ნაშრომი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ საქართველოსა და ისრაელის თანამედროვე ურთიერთობები ეფუძნება მჭიდრო თანამშრომლობას ეკონომიკურ, საგანმანათლებლო და კულტურულ სფეროებში. მნიშვნელოვანი მაგალითია ის-

რაელის ტექნოლოგიური ინოვაციების გავლენა საქართველოს განვითარებაზე, განსაკუთრებით ჰანდაცვის სექტორში.

საქართველო-ისრაელის ურთიერთობები არის მოდელი ორი უძველესი ერის თანამშრომლობის, რომლებიც, მიუხედავად გეოგრაფიული სიშორისა, ინარჩუნებენ კავშირებს, რაც ანვითარებს კულტურათა დიალოგს და განაპირობებს დიპლომატიური ურთიერთობების სტაბილურობას.

ბარბარე ბალადაშვილი

ცოდნის უკმარისობა, როგორც ახლის შემაცნების წინაპირობა

ადამიანის ცოდნა ყოველთვის შეზღუდული და არასრულყოფილია, რასაც უკავშირდება სოკრატეს გამონათქვამი, იგი ამბობდა: „მე ვიცი მხოლოდ ის, რომ არ ვიცი“, აქედან გამომდინარე, იგი შეგნებულად გამოთქვამდა საკუთარი ცოდნის ცდომილებასა და გარკვეულწილ გაურკვევლობას. როგორც ჩვენთვის ცნობილია, სოკრატე მიიჩნევდა, რომ ჭეშმარიტი ცოდნის შესაცნობად ადამიანმა ჰერ უნდა შეიცნოს საკუთარი უკმარისობა და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი გაიაზრებს, რომ ყველაფერი არ იცის, იგი შეძლებს დაიწყოს ჭეშმარიტების ძიება, მაშასადამე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ, როცა ცოდნა არასაკმარისია, იგი ხდება ახლის შემეცნებისა და სწავლის წინაპირობა.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი ყოველთვის მიისწრაფვის ჭეშმარიტების შეცნობისა და სრულყოფილებისკენ და ცდილობს სამყაროს უკეთ შეცნობას, მისი ცოდნის საზღვრები მაინც ექვემდებარება სხავადასხვა ფაქტორს, რომლებიც ზღუდავენ მის შესაძლებლობებს. კანტის ეპისტემოლოგიაც ხაზს უსვამს ცოდნის შეზღუდულობას. მისი აზრით, ჩვენ შეგვიძლია, ვიცოდეთ მხოლოდ ის, რაც ჩვენს აღქმას ემთხვევა, მაგრამ არ შეგვიძლია, გავიგოთ ის ნივთი თავისთავად, რომელიც ჩვენი ცოდნის ფარგლებს გარეთაა. ადამიანები ყოველთვის ცდილობენ გრძელვადიანი და ზოგადსაკაცობრიო პასუხების პოვნას, თუმცა რეალობა ყოველთვის იმას ამტკიცებს, რომ პასუხის პოვნის შემდეგ ჩნდე-

ბა ახალი კითხვა. ცოდნის უკმარისობა, სხვა მხრივ, ეწინააღმდეგება იდეას, რომ არსებობს „იდეალური“ და ყოვლისმომცველი ცოდნა, რომელიც დაუბრკოლებლად გვაჩვენებს რეალობას.

ამ თეზისის საფუძველზე, მსჯელობა იმის შესახებ, რომ არ ვიცით ყველაფერი, უფლებას გვაძლევს, უფრო ღრმად შევიცნოთ სამყარო და, ამავდროულად, დაგვანახებს იმას, რომ ადამიანის ცოდნა და მისი განვითარება დაუსრულებელი პროცესია.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ცოდნის უკმარისობა, რომელსაც ადამიანი განიცდის, შეიძლება, გახდეს ახლის შემეცნების წინაპირობა.

გიორგი ბარბაქაძე

ქართლის სამეფოს (კავკასიის იმპერია) დიპლომა-ტიური სარბიელი რომის იმპერიასთან

არქეოლოგიური მასალა ხშირად მრავალ საიდუმლოს, ჩაბნელებულ, ვეტოდადებულ თემას გამოაშკარავებს. იბერიის სამეფომ ქართველ და უცხოელ მკვლევართათვის დიდი ინტერესი ჰქოვა XIX საუკუნის 50-იანი წლიდან. აღმოსავლეთ საქართველში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები, ფაქტობრივად, II საუკუნოვან უწყვეტ ციკლს მოიცავს.

წელთაღრიცხვათა მიწნაზე რომაულმა ტრადიციებმა გარდამტები როლი შეასრულეს იბერიის (ქართლის) სამეფოს განვითარებაში. ადგილობრივ წეს-ჩვეულებებთან ერთად მოსახლეობა ღია და გახსნილია, ისინი არ ერიდებიან განსხვავებული რწმენა-ზარმოდგენების მიღებას და თითქოს ჰარმონიულად ქმნიან ერთ კულტურულ სოციუმს.

იბერიელ დიდებულებს აინტერესებდათ და, აღბათ, აღფრთოვანებას ვერ მაღავდნენ რომის ცენტრალურ სახელოსნოებში შექმნილ ნაწარმზე. ისინი მათ გონიერებაში აღიქმებოდა, როგორც ახალი ეპოქის დასაწყისი, უმნიშვნელოვანესი ძვრა კულტურული მექანიზმისა. იბერიელები რომაელებთან ერთად ექცევიან ერთ დიდ წრეში და ფერხულით ჰყვებიან მაშინდელი სამყაროს დღის წესრიგს.

მატერიალური ნივთები, თითქოს მმართველების მაგივრად მეტყველდებიან და განსაკუთრებულ როლს ასრულებენ მშვიდობის დამყარებაში, ვნებათალელვის ჩასახშობად ეს ერთგვარი პოლიტიკური ჟესტია რომის მხრიდან. ძვირფასი ნივთების გაგზავნა კი ერთ-ერთი გამჭრიახი გადაწყვეტილება და წინ გადადგმული ნაბიჯი იყო დიდებულების გადმოსაბირებლად: 1. ხაზს უსვამდნენ რომაელთა ძლიერებას, „პოლიტიკურ ძღვენში“ შედის უამრავი ძვირფასი ნივთი, რომლებიც პირდაპირი თუ ირიბი მნიშვნელობით აღიქმება ძალაუფლების სიმბოლოდ; 2. ძვირფასი საჩუქრით ხაზი ესმება პატივისცემას „პოლიტიკურად მეგობრულად“ განწყობილი მმართველის მიმართ, ეს იმას ნიშნავს, რომ რომის ხელისუფალნი მათ დიდ პატივს სცემენ და ანებივრებენ ცენტრალურ სახელოსნოებში შექმნილი უნატიფესი ოსტატობით შექმნილი ნივთებით.

მოხსენებაში ყურადღება იქნება გამახვილებული ისტორიულ წყაროებზე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ რამდენიმე ნივთზე, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავს და დაადასტურებს პოლიტიკურ სარბიელს, მძლავრ სავაჭრო და პოლიტიკურ ურთიერთობებს.

ავთანდილ ბაღათურია

„ვეფხისტყაოსნის“ შესაძლო ჩაღწევის გზები XVII საუკუნის ინგლისში

ბოლოდროინდელმა ქართველოლოგიურმა კვლევებმა ქართულ და მსოფლიო მეცნიერებაში მსჯელობის ახალი საკითხი წამოაყენა, კერძოდ, აკადემიკოს ელგუჯა ხინთიბიძის ნაშრომებმა წარმოაჩინა, რომ „ვეფხისტყაოსნი“, შესაძლოა, XVII საუკუნის ინგლისელ დრამატურგებს – ფრანცის ბომონტს, ფონ ფლეტჩერსა და თვით უილიამ შექსპირს პიესების ლიტერატურულ წყაროდ გამოეყენებინათ.

რამდენიმე ინგლისურ პიესაზე, სახელდობრ: „მეფე და არა მეფე“, „ფილასტერი“ და „ციმბელინი“, დაკვირვებისა და შესწავ-

ლის შედეგად გამოვლინდა კავშირები „ვეფხისტყაოსანთან“ და გამოიკვეთა მათი საერთო ფაბულა.

XVII საუკუნის ამ პიესებსა და „ვეფხისტყაოსანს“ შორის არსებულმა კავშირებმა საჭირო გახადა ისტორიული კონტექსტის ფართოდ გაშლა და „ვეფხისტყაოსანის“ ინგლისამდე შესაძლო ჩაღწევის გზების შესახებ დამატებითი წყაროების მოძიება.

კვლევისას გამოიკვეთა, რომ XVI საუკუნის ბოლოს ინგლისიდან სპარსეთისაკენ გამოემართა 26-კაციანი ექსპედიცია, რომელსაც მეთაურობდა ცნობილი ინგლისელი მოგზაური და დიპლომატი სერ ანტონი შერლი, რომელიც შაჰ აბას I-მა დიდი პატივისცემით საპატიო სტუმრად მიიღო.

სწორედ ამ პერიოდში შაჰის კარზე მთავარ მრჩევლად მოღვაწეობდა ქართული წარმოშობის აღავერდი ხან უნდილაძე, რომელსაც ანტონი შერლი მალევე დაუახლოვდა. მეტიც, მას შერლი თავის ჩანაწერებშიც იხსენიებს, რომელიც 1613 წელს ინგლისში წიგნადაც გამოიცა.

აღავერდი ხან უნდილაძემ, შაჰ აბას I-ის ბრძანებით, ანტონ შერლისა და მის ძმას, რობერტ შერლის, სპარსული ჟარის წვრთნა და მოდერნიზაცია დაავალა, ხოლო ამის შემდეგ შაჰმა ის ევროპის ქვეყნებში მიავლინა თავის ელჩად. 1601-1602 წლებში შერლი, როდესაც რომში იმყოფებოდა, შეხვდა უილიამ კემპს, შექსპირთან დაახლოებულ მსახიობს, რომელმაც პირველმა ჩაიტანა ინგლისში ამბები შერლის მოგზაურობის შესახებ. ეს ამბები 1607 წელს, როგორც პიესა, სცენაზეც კი დაიდგა სწორედ მაშინ, როცა ფლეტჩერი, ბომონტი და შექსპირი პარალელურად თავიანთ ახალ პიესებზე მუშაობდნენ.

შესაკამებლად უნდა ითქვას, რომ აღნიშნული საკითხი სამომავლოდ დიდ კვლევას მოითხოვს და დადასტურების შემთხვევაში კიდევ ერთხელ გაუსვამს ხაზს „ვეფხისტყაოსანის“ მნიშვნელობასა და ადგილს მსოფლიო კულტურაში.

თათია ბაჩიაშვილი

თამარ ბერაია

ანი ივანიძე

შანდორ პეტეფის შემოქმედება და მისი გავლენა

XIX საუკუნის მხატვრობაზე

მოხსენება დიდი უნგრელი პოეტის, შანდორ პეტეფის, შემოქმედების შესახებაა, რომელსაც დიდი ადგილი უკავია უნგრულ და ევროპულ ლიტერატურასა და მხატვრობაში. მოხსენება მოიცავს მისი შემოქმედების განხილვას და მის გავლენას XIX საუკუნის მხატვრობაზე. არაერთ ასპექტში პეტეფის პოეზიას ახასიათებს თემათა მრავალფეროვნება, რომლის მიხედვითაც დასავლეთ ევროპას წარმოდგენა პქონდა იმ დროის უნგრეთის შესახებ. თემათა სხვადასხვაობა ასევე ღრმა შთაგონების წყარო იყო ხელოვნების სხვა დარგების მიმდევართათვის. ისეთი დიდი და მნიშვნელოვანი მხტვრების შემოქმედება, როგორებიც შომა ორლაი-პეტრიჩი, მიჰაი მუნკაჩი, მიკლოშ ბარაბაში, ან ლანშაფტების ასახვის ოსტატი – კაროი მარკო იყვნენ, ნაწილობრივ პეტეფის პოეზიითა ნაკარნახევი. კონფერენციის მიზანია, ამ თემის ფარგლებში სხვადასხვა ინტერპრეტაციები შეაჯამოს და შანდორ პეტეფის საქართველოში ცნობილი პოეზია კიდევ უფრო ფართო გაგებით წავიკითხოთ.

ვერონიკა ბერაია

შიშის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები ინგლისურსა და ქართულში

მოხსენება ეხება შიშის გამომხატველ ლექსიკურ ერთეულებს ინგლისურ და ქართულ ენებში. მოცემული ერთეულები განხილულია ეტიმოლოგიისა და სემანტიკის კუთხით. მაგალითად, სიტყვა fear, რომლის ფესვებიც პროტოერმანიკული ენიდან მოდის, იძლევა შიშის, როგორც პირდაპირი გრძნობის, ასევე მისი

გადატანითი და დადებით კონტექსტში განხილვის შესაძლებლობას: trembling with fear მიუთითებს შიშის განცდის ძლიერ გრძნობაზე, მაგრამ face your fears გულისხმობს, რომ ჩვენს შიშებს უნდა დავუპირისპირდეთ და დავძლიოთ. ქართული სიტყვა „შიში“ უარყოფითი კონოტაციისაა, მაგრამ შედგენილ სიტყვაში „ღვთისმოშიში“ უკვე დადებით კონოტაციას იძენს.

კვლევაში ასევე განხილულია შიშის გრძნობის გამომხატველი იდიომები, ანდაზები როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში. კვლევამ გამოავლინა, რომ შიშის გამომხატველი იდიომები ორივე საკვლევ ენაში ხშირად სომატურია და უმეტესად უკავშირდება გულს. მაგალითად, მოცემული იდიომი heart skips a beat სიტყვა-სიტყვით ნიშნავს, რომ გული წყვეტს ცემას. ეს იდიომი გამოიყენება, როდესაც ვინმე განიცდის უეცარ შოკს ან შიშს, რაც იწვევს გულისცემის შეკუმშვას. ქართული ენაში კი გვაქვს ასეთი იდიომი „გული ჩაუვარდა“, რაც ნიშნავს უეცარი, მოულოდნელი შიშის გრძნობას.

ასაკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ორივე ენა უხვად იყენებს შიშთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებს, თუმცა სინონიმების შესწავლამ გამოავლინა, რომ, ამ მხრივ, ინგლისური ენა უფრო მდიდარია და რომ შიშის გამომხატველი ინგლისური ლექსიკა მოიცავს როგორც მშობლიურ, ასევე ნასესხებ სიტყვებს.

მარიამ ბულისკერია

პარალიზი, როგორც სულიერი ხსნის სიმბოლო ჰეიმზ პოდსის „ფუბლინელებში“

ჰეიმზ ჭოისის მცირე ზომის მოთხრობათა კრებული „დუბლინელები“ (1914) იმდენად მყარ და კომპოზიციურად შეკრულ მთლიანობას წარმოადგენს, რომ მას ზოგჯერ რომანადაც აღიქვამენ, თუმცა საერთოდ არ არის საეჭვო, რომ მასში შემავალი ყოველი მოთხრობა ცალკე, დაუსრულებელი ნაწარმოებია. თავად ავტორი ამბობს, რომ მისი მთავარი ჩანაფიქრი ქვეყნის ზნეობრივი ისტორიის შექმნა იყო და სწორედ ამიტომ აირჩია მან დუბლინი, რადგან ეს ქალაქი პარალიზის ეპიცენტრად წარმოედგინა.

„დუბლინელებში“ ოთხი მთავარი ასპექტია წარმოდგენილი – ბავშვობა, სიყმანვილე, ასაკობრივი სიმწიფე და საზოგადოებრივი ცხოვრება. შესაბამისად, ნაწარმოები მრავალმხრივი ინტერ-პრეტირების საშუალებას იძლევა, ეხმიანება რა ისეთ ღრმა სა-კითხებს, რომლებზე მსჯელობისას ყოველ ჰერჩე ახალი და საინ-ტერესო დასკვნის გამოტანაა შესაძლებელი.

მოხსენების მიზანია, „დუბლინელების“ მთავარი თემისა და ლაიტმოტივის პარალიზის ახალი პერსპექტივით გააზრება. მისი საშუალებით ავტორი პერსონაჟების არა მარტო სულიერ ჩაკეტი-ლობას, არამედ მათ გათავისუფლებას, სულიერ ხსნას წარმო-გვიდგენს. „დუბლინელების“ ყველა მოთხოვნაში გვხვდება სო-ციუმისგან უშედეგოდ გაქცევისა და პიროვნული თავისუფლების პრობლემატიკა, რაც ნათლად ასახავს დუბლინელების ნაცრის-ფრად შეფერილ ცხოვრებას. ამ ისტორიების საშუალებით ავტო-რი წარმოაჩენს იმ ემოციურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ ბარი-ერებს, რომელთა კლანჭებში უიმედოდ არიან გამომწყვდეულნი მისი პერსონაჟები. პარალიზი კი ერთგვარი რიტორიკული ხერხია, რომლის საშუალებით ჭოისი ირონიულად უპირისპირებს ერთმა-ნეთს ამ ტერმინის ძირითად და მეტაფორულ მნიშვნელობებს. მოხსენებაში პარალიზის თემა და სიმბოლო, რომელიც, როგორც წესი, განხილულია როგორც პერსონაჟთა შეზღუდული და ჩაკეტი-ლი ყოფის ნიშანი, პარადოქსულად არის წარმოდგენილი და კონ-კრეტული პერსონაჟების ანალიზის გზით ნაჩვენებია მისი უფრო მრავალფეროვანი ინტერპრეტაცია.

ირა გელაძე

სემალ ნოდაიდელი აჭარის ეთნოგრაფიის სათავეებთან

ჰემალ ნოდაიდელი (1906-1966) აჭარის მეცნიერების დამსა-ხურებული მოდვაწეა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო აჭარის ყოფისა და კულტურის კვლევა. მისი ინტერესის სფერო საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანი გახლდათ. მრავალი წლის განმავლობაში სწავლობდა აჭარის ხალხურ შემოქმედებას, დია-

ლექტებსა და ეთნოგრაფიას. მის მონოგრაფიებსა და ნაშრომებში ასახულია ეთნოგრაფიული მასალა აჭარელი ხალხის ყოფიდან და კულტურიდან: აჭარული ოჯახის ყოფა, სამეურნეო საქმიანობა, სამეურნეო იარაღების აღწერა, ადათები, ჩვეულებები, ბავშვის აღზრდის ტრადიცია, ქორწინება, გართობა, დაკრძალვის წესები, სახალხო მკურნალობა და სინკრეტული ელემენტები. საკითხის კომპლექსურობიდან და საკვლევი ობიექტის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ნაშრომში წყაროთმცოდნეობითი ანალიზითა და თვისობრივი კვლევის მეთოდით შევისწავლე საკითხი, რის საშუალებითაც მკაფიო გახდა ყოფის ტრადიციებისა და ღირებულებებისა თუ შეხედულების კომპლექსური სისტემა. ნაშრომში ვრცლად ვისაუბრებ თითოეულ ზემოთ ხსენებულზე, რაც მკაფიოსა და ცხადს გახდის ჰემალ ნოღაიდელის დიდ ღვაწლსა და წვლილს, რომელიც აჭარის ეთნოგრაფიის აღწერასა და განვითარებაში შეიტანა.

დაკვირვებისა და კვლევის მიზანია, სიღრმისეულად შევისწავლოთ მე-20 საუკუნის აჭარის ყოფითი რეალობა და შევძლოთ ეთნოგრაფიული წყაროს გამოყენებით აღდგენა იმ ეპოქა: ყოფაცხოვრების ელემენტების, კულტურული მახასიათებლების, ტრადიციებისა და მათი ტრანსფორმაციული პროცესების. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ თვალნათლად წარმოვაჩინოთ ის კულტურის ელემენტები, რომლებსაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა აჭარელთა ყოველდღიურ ყოფაში, ცხოვრებასა და საქმიანობაში.

ლუკა გოგალაძე

საველე ფიქსაციის მეთოდიკა არქეოლოგიაში

(გრაკლიანი გორა და კვიპროსის
ნმ. გიორგის სახელობის ეკლესია)

არქეოლოგიური კვლევის პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს საველე ფიქსაცია, ანუ სრული დოკუმენტაციის შედგენა. ფიქსაცია გულისხმობს არქეოლოგიური ველის თანამიმდევრულ დასურათებასა და აღწერას.

ფიქსაციის სახეობათა შორის ერთ-ერთი უმთავრესია ფოტო-ფიქსაცია, რომლის მოდიფიცირებული ვერსიებია სატელიტური და დრონით ფიქსაცია.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ საველე ფიქსაციაც შედარებით დახვეწა და გაამარტივა. დღესდღობით საკვლევი ველის დასურათებასთან ერთად იქმნება უშუალოდ ძეგლის და იქ აღმოჩენილი ნაგებობებისა და არტეფაქტების 3D მოდელები, რაც ძეგლის აღქმას გაცილებით ამარტივებს (3D ფოტოგრამეტრია).

3D მოდელირების მსგავსი პროგრამა წელს პირველად შემოწმდა გრაკლიან გორაზე.

ველის დასურათებისას ერთ-ერთ პრობლემას შეიძლება წარმოადგენდეს ფოტოს ხარისხი, რადგან შორი ხედიდან გადალებული ფოტოს გადიდებით ყოველთვის იკარგება ხარისხი. ამ შემთხვევაში გამოსავლად შეიძლება ჩაითვალოს ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული სპეციალური პროგრამა. მსგავსი პროგრამა გამოიყენებოდა წელს კვიპროსის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაზე, სადაც ჩატარდა საკონსერვაციო სამუშაოები და დაფიქსირდა კონსერვაციის ყოველი მსვლელობა.

მსგავსი ტექნოლოგიების გამოყენება ძეგლის შესწავლის პროცესს გაცილებით ამარტივებს და საშუალებას აძლევს არქეოლოგებს მოკლე დროში მაღალი ხარისხის შედეგების მიღებაში.

გიორგი გოგიშვილი

ხაზართა ხაკანაში და აფხაზთა სამეფოს წარმოქმნა

ხაზართა სახელმწიფო, რომელიც გადაჭიმული იყო კასპიის ზღვის ჩრდილოეთიდან შავი ზღვის ჩრდილოეთამდე, VIII-IX საუკუნეებში სერიოზულ ძალას წარმოადგენდა. ხაზართა ხაკანატის მთავარი მოწინააღმდეგე იყო არაბთა სახალიფო. VII-VIII სს-ში არაბთა ექსპანსიამ კავკასია მოიცვა, შესაბამისად, ორი სახელმწიფო ერთმანეთს გაუმეტობლდა. მათ შორის კონფრონტაციის

საფუძველს წარმოადგენდა საკვანძო გადმოსასვლელებისა და გზების კონტროლი. ასეთ რეალობაში ხაზართა ხაკანებს მოკავშირედ არაბების მტერი ბიზანტიის იმპერია ესახებოდათ (ჰერ კიდევ არაბების გამოჩენამდე არსებობდა თანამშრომლობის პრეცენდენტი – ჰერაკლე კეიისრის და ჰიბლუს საერთო კამპანია თბილისში 627-628 წ.), თუმცა VIII საუკუნის მიწურულს სახეზეა გარკვეული ცვლილებები.

არაბებთან ბრძოლის ხანგრძლივ პროცესში, საქართველოს ტერიტორიაზე VIII საუკუნის ბოლოდან იწყება სამეფო-სამთავროთა ჩამოყალიბების პროცესი. ლეონმა (სავარაუდოდ, I-მა) მიიღო აფხაზთა ერისთავის სტატუსი. ამის შემდგომ უკვე ლეონის ძმის შვილმა ლეონ II-მ შეძლო აფხაზთა მეფის ტიტულის მიღება¹, რაშიც საკმაო წვლილი მიუძღვდა ხაზართა ხაკანს. ეს უკანასკნელი იყო ლეონ II-ის პაპა დედის მხრიდან. საგულისხმოა, რომ ხაზართა ხაკანს თავისივე შვილიშვილი (ან დისწელი) ჰყავდა ბიზანტიაში იმპერატორად კონსტანტინე VI-ის სახით, თუმცა ის შემდგომ ტახტიდან ჩამოაგდო და დააბრმავებინა დედამ (ირინემ). ამ პოლიტიკური კრიზისის დროს სარგებლობს ლეონი და სწორედ ამ ვითარებაში აცხადებს თავს მეფედ. გამოთქმულია ვარაუდი, რომ შესაძლოა, ეს აქტი წახალისებული ყოფილიყო სწორედ ხაზართა ხაკანატიდან (კონსტანტინე VI-ის ჩამოვდების გამო). ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა ხაზარები ანტიბიზანტიურ პოზიციაზე არიან და მხარს უჭერენ სამხრეთ კავკასიაში, აფხაზეთის სამეფოს სახით, დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის არსებობას, რასაც კარგად დაემთხვა არჩილის მემკვიდრეობის პრობლემაც: „მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულიყო ჰუანშერი. და შემდგომად ამისა ჰუანშერიცა მიიცვალა“ (მატიანე). ამგვარად, დიდი გართულების გარეშე ლეონი დასავლეთ საქართველოში გაბატონდება.

¹ მეცნიერთა ნაწილი ამ ორ ლეონს ერთ პიროვნებად მიიჩნევს.

ლიკა გოგიჩაშვილი ანა ტარასკინა

არაბიზაციის პროცესი მელქიტებს შორის (ანტიოქიის საპატრიარქო)

არაბიზაციის პროცესი სირიაში ქრისტიან არაბებს შორის VIII საუკუნის შუა წლებიდან დაიწყო და არაბული ენა, როგორც საეკლესიო ენა, პირველად შევიდა მელქიტურ (ქრისტიანულ მართლმადიდებლურ) საზოგადოებაში. VIII საუკუნიდან მოყოლებული არაბული ენის გამოყენება მელქიტურ საზოგადოებაში, კერძოდ, ანტიოქიის საპატრიარქოში, როგორც საეკლესიო ენისა, უფრო და უფრო გაიზარდა. არაბულენოვანმა მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა (მელქიტებმა) დაიწყეს მთარგმნელობითი პროცესები ბერძნული ენიდან არაბულ ენაზე, ვინაიდან ისინი დაშორდნენ ბიზანტიას. ბერძნული ენა ნელ-ნელა ამოვარდა საეკლესიო ხმარებიდან, თუმცა, ლიტურგია ნაწილობრივ ისევ ბერძნულ და სირიულ ენაზე მიმდინარეობდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია VIII-XIII და XVII საუკუნეები, როდესაც მთარგმნელობითმა საქმიანობამ პიკს მიაღწია და საბოლოოდ XVII საუკუნეში ანტიოქიის საპატრიარქოს არაბიზაციის პროცესი დასრულდა. XVII საუკუნეში მთარგმნელობითი პროცესის განვითარებაში დიდი როლი მიუძღვით ანტიოქიის საპატრიარქოს სასულიერო პირებს, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მელეთიოს ქარმა, მაკარი ანტიოქელი და ათანასე ად-დაბასი.

ნინო გულუა

აფაქიძეების საგვარეულოს მნიშვნელობა ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიაში

სათავადო სახლები საქართველოს ფეოდალური ხანის პერიოდში დიდ როლს ასრულებდნენ. ნაშრომის მიზანია, წარმოვაჩინოთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გამოჩენილი აფაქიძეების სათავადო სახლი. აფაქიძეთა გვარის რამდენიმე წარმომადგენე-

ლი სხვადასხვა დროს დიდ ძალაუფლებას ფლობდა როგორც ოდიშის სამთავროში, ასევე, შესაძლებელია, ვივარაუდოთ, სამეფო კარზეც. ნაშრომში განხილულია ყველაზე ადრეული ცნობები ამ სათავადო სახლის წარმომადგენლებზე, ასევე მათი დამსახურება ქვეყნის წინაშე და ის ტერიტორიები, რომლებსაც ისინი უშუალოდ განაგებდნენ.

აფაქიძეთა სათავადო სახლის შესახებ ცნობებს არაერთი ქართველი და უცხოელი მემატიანე გვაწვდის. ნაშრომში სწორედ ეს ოფიციალური წყაროები და დოკუმენტებია განხილული და შეკამებული. ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა: ო. სოსელიას, ივ. ჭავახიშვილის, იოანე ბატონიშვილის, ილ. ანთელავას, პ. ინგოროვას, ზ. გუგუშვილის, ე. თაყაიშვილის, თ. ჟორდანიას, ს. კაკაბაძის, ი. მეურარგიასა და გიულდენშტედტის მიერ მოწოდებულ ცნობებსა და მათ განხილვებს.

ნაშრომში ასევე განხილული იქნება აფაქიძეთა გვარის ფუძეზე დაყრდნობით მათი წარმომავლობის საკითხი. იოანე ბატონიშვილის მიხედვით არსებობს ვერსია, რომ აფაქიძეთა წინაპარი თათარი იყო, რომელმაც რჩალი შეიცვალა.

საყურადღებოა, აფაქიძეთა მამულის ტერიტორიული ცვლილებები და ამ საკითხთან მათი დაპირისპირება ნიკო დადიანთან.

ამდენად, აფაქიძეთა სათავადო სახლი მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა, რომლის შესახებ ცნობები ძირითადად XIII საუკუნიდან გვხვდება.

ნანი გურიმაზაშვილი

**ინგლისური ლექსიკური ერთეული WAIT და
მისი ქართული კორელატები, ეტიმოლოგია
და სემანტიკა**

ნაშრომში განხილულია ინგლისური სიტყვა Wait და მისი ქართული კორელატები. თეორიული მასალის ანალიზის საფუძველზე, დადგენილია მათი სემანტიკა და ეტიმოლოგია, გამოვლენილია მსგავსებები და განსხვავებები ორ საკვლევ ენას შორის. ემპერიული მასალა აღებულია ინგლისური და ქართული

ენების ავტორიტეტული ლექსიკონებიდან და ინტერნეტშაროებიდან.

„Wait“ თავისი ისტორიული განვითარების პროცესში დაკავშირებულია პროტოგერმანიკულ და ძველ ინგლისურ ფორმებთან. ნაშრომში ნაჩვენებია სიტყვის განვითარების ეტაპები და აღწერილია პროცესი, თუ როგორ ფართოვდება მისი მნიშვნელობა და დატვირთვა. საყურადღებოა, რომ Wait-ის გამოყენება „მოლოდინის“ მნიშვნელობით თარიღდება გვიანი საშუალო ინგლისური პერიოდით, დაახლოებით XIV საუკუნით. დროის გასვლასთან ერთად, ლექსიკური ერთეულის განმარტებაც მეტად მრავალფეროვანი ხდება, იმდენად, რომ იგი გამოიყენება კომპიუტერულ ტერმინოლოგიასა და მომსახურების სფეროში.

რაც შეეხება გამოყენებას, ინგლისური და ქართული ენის ლექსიკონების თანახმად, Wait გამოიყენება ორი მთავარი ფორმით, როგორც არსებითი სახელი და როგორც ზმნა, ანუ საქმე გვაქვს კონვერსიასთან. რა თქმა უნდა, აღნიშნული დებულება დასტურდება მაგალითებით, რაც კიდე უფრო მეტ სიცხადეს სძენს მსჯელობას. ემპირიული მასალა მოვიპოვე ინგლისურენოვანი და ქართველი მწერლების ცნობილი ნაშრომებიდან, როგორიცაა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“, ჰარპერ ლის „ნუ მოკლავ ჭაფარას“ და ა. შ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე საკვლევ ენაში ვხვდებით ნაწარმოებ სიტყვებს, რომლებიც მომდინარეობს ინგლისურ ენაში „Wait“ სიტყვიდან, ხოლო ქართულ ენაში – ლექსიკური ერთეულიდან „ლოდინი“.

საკვლევი ერთეულები სხვადასხვა კონტექსტში განსხვავებული კონოტაციით შეიძლება შეგვხვდეს. ხშირ შემთხვევაში, კონოტაცია არის უარყოფითი, რადგან ლოდინი საზოგადოებისთვის ასოცირდება გაურკვევლობასა და შფოთვასთან, თუმცა ეს არ გამორიცხავს დადებითი კონოტაციის არსებობას. ეს კი ძირითადად მაშინ ხდება, როდესაც სიტყვა დაკავშირებულია იმედთან და რაიმე სასიხარულოს მოლოდინთან. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ Wait-ის კონოტაცია განისაზღვრება სიტუაციურად და პერსონალურ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ეს კი ყველა ადამიანისთვის ინდივიდუალურია.

აღნიშნული ლექსიკური ერთეული ანდაზებსა და ინგლისურ იდიომატურ გამოთქმებში ხშირად გვხვდება, რომლებიც სხვა-დასხვა კულტურულ კონტექსტში ქმნიან საინტერესო სემანტიკურ განსხვავებებსა და მსგავსებებს. ნაშრომში დადგენილია ანდა-ზებისა და იდიომატური გამოთქმების წარმოშობის ისტორია და ძირითადი განმარტებები. ისინი ხშირად გამოიყენება მოთმინების, გამოცდილების, ღალატის, რჩევა-დარიგებისა და იმედის კონტექსტში.

ამდენად, ანალიზის საფუძველზე სიღრმისეულად იქნა გა-მოკვლეული ინგლისური სიტყვა Wait და მისი ქართული კორელა-ტები, როგორც ისტორიულ და ეტიმოლოგიურ, ისე სემანტიკურ ქრილში.

გვანცა დარასელია

საბა შოთაძე

„პეგლისდება“, როგორც ადგილობრივი ქალების შემაკავშირებელი სამართლის წიგნი

გიორგი V-მ პოლიტიკური თუ ეკონომიკური თვალსაზრისით დაშლილი ქვეყანა ჩაიბარა. მისი საგარეო პოლიტიკა გამოირჩეოდა სიმტკიცით, დიპლომატიური სიძლიერითა და სტრატეგიული საშინაო გეგმით. იგი მიზნად ისახავდა საქართველოს რეგიონული და საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებას.

გიორგი „ბრწყინვალე“ მიზნად ისახავდა ორი დიდი ამოცანის გადაჭრას: მონღოლთა უღლისგან ქვეყნის გათავისუფლებასა და საქართველოს გაერთიანებას. მან სწორად განსაზღვრა, რომ იმხანად დასუსტებული საქართველოსთვის იღებანთა საყაენოს-თან ბრძოლა საბედისწერო იქნებოდა და ამჟობინა მათთან ლოიალური პოლიტიკის გატარება დროის მოგების მიზნით.

საქართველოს გაერთიანებისათვის კი მან, პირველ რიგში, ქართლში ადაგინა წესრიგი, მან განდევნა გორში დამკვიდრებული ოსები. იგი წარმატებით ებრძოდა ადგილობრივი ფეოდალების მისწრაფებებს დამოუკიდებლობისკენ.

გიორგი V-ის მეფობა მნიშვნელოვანია ფართო საკანონმდებლო მოღვაწეობის თვალსაზრისით. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მთიელთა თემებს, სადაც ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წინააღმდეგ გამოსვლები მიმდინარეობდა. მეფე გიორგიმ პირადად შემოიარა მთიულეთი. აქედან მან თბილისში ჩაიყვანა წარმომადგენლები, სადაც მოიწვია დარბაზი და მთიულეთს შეუდგინა სამართლის წიგნი „ძეგლის დადება“, რომელიც დათარიღებულია 1334-1335 წლებით.

„ძეგლისდების“ დაწერის მიზეზი, როგორც მის შესავალშია ნათქვამი, მთიულეთში დაწყებული არეულობა ყოფილა. ხელნებული წიგნი ძირითადად ითვალისწინებდა სამართლებრივ ნორმებს, არეგულირებდა მეფის და ფეოდალების ურთიერთობას. იგი აღწერდა საკუთრების, მიწის, ვალისა და სხვა სოციალური ურთიერთობების სამართლებრივ მხარეებს. ითვალისწინებდა ტრადიციების დაცვას, პოლიტიკურ სტაბილურობას და თემებს შორის მშვიდობიანობის შენარჩუნებას.

აღსანიშნავია, რომ ძეგლი გადათარგმნილია ინგლისურად ოლივერ უორდოპის მიერ, ასევე – ფრანგულად ი. კარსტის მიერ. ამ ძეგლს გამოკვლევა მიუძღვნა ნ. ურბიელმა (ხიზანიშვილმა), ხოლო ივ. ჰავახიშვილმა, ი. დოლიძემ, ივ. სურგულაძემ და სხვებმა იგი თავიანთ შრომებში ვრცლად განიხილეს.

„ძეგლისდება“ არა მხოლოდ სამართლებრივი ნორმების კრებულს წარმოადგენდა, არამედ ადგილობრივი ძალების შემაკავშირებელ ფუნქციასაც ასრულებდა და ქვეყნის ფეოდალური სისტემის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან გიორგი „ბრწყინვალემ“ მისი გამოყენებით შეძლო ადგილობრივების მორიგება. ეს კი ქვეყანაში საშინაო ვითარების დასტაბილურებასა და მშვიდობიანობის აღდგენას უწყობდა ხელს. სწორედ ამ ქრილში ვეცდებით, განვიხილოთ წინამდებარე სამართლის წიგნი, რომელიც, ვფიქრობთ, ძალზე საინტერესო იქნება დაინტერესებული აუდიტორიისთვის.

თამარ დევრისაშვილი ნათია სულთანიანი

ევროპული სახელმწიფოების ბრძოლა აფრიკის კოლონიური დანაშილებისთვის 1871-1880-იან წლებში

1871-1890 წლების პერიოდი იყო აფრიკაში კოლონიური ექსპანსიისა და „დიდი დანაშილების“ ე. წ. გრძელი და კონფლიქტური პერიოდის დასაწყისი, როდესაც ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა დაიწყეს კონტინენტის კოლონიზაცია. ამ ათწლეულში ევროპის ქვეყნები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს გავლენის სფეროების გაფართოებისა და ახალი ტერიტორიების დაპყრიბის მიზნით. მსოფლიოს უდიდესი კოლონიური ძალები ეცადნენ, დაემორჩილებინათ ისინი როგორც ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ინტერესების დასაკმაყოფილებლად, ისე თავისი ძლიერების დემონსტრირების მიზნით.

ევროპული ძალები ერთმანეთს აფრიკაში ვაჭრობისა და რესურსების მოპოვების მიზნით ეკიბრებოდნენ. აფრიკული რესურსები, როგორიცაა ტყვია, ოქრო, სიმინდი და ბუნებრივი ნაკთობი, გახდა მნიშვნელოვანი ფაქტორები ამ კონფლიქტში. ამასთან, ევროპული ქვეყნების მისწრაფებები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ეკონომიკური ინტერესით, არამედ ისინი ცდილობდნენ გავლენის გაფართოებას თავიანთი გეოპოლიტიკური სტრატეგიებისთვის. მაგალითად, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ეკიბრებოდნენ ერთმანეთს დასავლეთ აფრიკასა და მოროკოში გავლენის ზრდისათვის, ხოლო გერმანია და ბელგია ცდილობდნენ, სწრაფად მიეღოთ დიდი ტერიტორიები ცენტრალურ აფრიკაში.

ამ პროცესის აქტუალურობას სწორედ ის წარმოადგენს, რომ აფრიკის მოსახლეობის ინტერესები ხშირად იგნორირებული იყო ევროპელი მონარქებისა და მმართველების მხრიდან, ხოლო კონტინენტზე განხორციელებული ძალადობა და ექსპლუატაცია შემდგომი კოლონიური მმართველობის დასაწყისი გახდა. ამასთან, აფრიკაში აქტიურად ვრცელდებოდა დასავლური კულტურა და, მიუხედავად იმისა, რომ ევროპელებს მათი ასიმილაცია არ მოუხდენიათ, აფრიკის ბევრ ქვეყანაში დღეს ევროპული ენა, კულტურა და ტრადიციებია გავრცელებული. 1871-1890 წლებში

აფრიკაში კოლონიზაციის ეს ადრეული პერიოდი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ევროპული ძალების შეფიბრის და აფრიკის მმართველობის გლობალური მოდელის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, შესაბამისად, საკითხი აქტუალობას არ კარგავს.

ნაშრომის მიზანია: გაააწალიზოს, თუ რა გავლენა იქონია ევროპული სახელმწიფოების მიერ აფრიკის რეგიონის კოლონიზაციამ მის მოსახლეობაზე და რამდენად გააძლიერა კოლონიზაციის პროცესმა ევროპის რეგიონი, როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად.

მეთოდოლოგია: ნაშრომში გამოყენებულია ისტორიულ-ლიტერატურული წყაროები, ამ თემის ირგვლივ არსებული სტატიები და ინტერნეტრესურსებიდან მოპოვებული მასალების ანალიზი.

თეონა დოლიძე ლიზა ხასაია

მონები ძველ საბერძნეთში

მონება სამყაროში, შეიძლება ითქვას, რომ ცივილიზაციის გაჩენასთან ერთად თანდათან ჩამოყალიბდა. გამონაკლისი არც ძველი საბერძნეთი იყო. ყველა ანტიკურ ცივილიზაციაში მონა ჩვეულებრივი მოვლენაა. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა „კოლხი“ მონების ფენომენი ძველ საბერძნეთში. არაერთი ბერძნული ეპიგრაფიკული ძეგლი თუ წერილობითი წყარო ადასტურებს ფაქტს, რომ საბერძნეთში კოლხი მონებიც ჰყავდათ. ეს თემა აქტუალურია, რადგან ჩვენ ვსაუბრობთ უცხო ანტიკური ცივილიზაციის გავლენებსა და ურთიერთობებზე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მაშინ მცხოვრებ ტომებთან.

სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, კოლხეთსა და ბერძნულ პოლისებს სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდათ, რაც მათ ერთმანეთზე ეკონომიკურად დამოკიდებულს ხდიდა. ამასთან, უძველეს ბერძნულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში არაერთგზის ვხვდებით კოლხი მონების ხსენებას, რითიც ვასკვნით, რომ კოლხი მონები ნამდვილად იყვნენ ძველ საბერძნეთში და ისინი თავიანთი ცოდნით ხელოსნობის დარგშიც იწყებდნენ მოღვაწეობას. თუმცა უნდა

აღვნიშნოთ ისიც, რომ არა მარტო კოლხი მონებია ჩვენთვის ცნობილი, არამედ დელფოს წარწერებში, კოლხების გარდა, სხვა ქართველებიც, მაგალითად: ტიბარენი მონა ქალი საფო, მაკრონი (ქართველური სატომო სახელი უკვე საკუთარ სახელად ქცეული) იხსენიებიან. აღსანიშნავია, რომ მონებს ძველ საბერძნეთში სწორედ სატომო სახელით მიმართავდნენ. ამიტომაც, ადვილია, ვთქვათ, რომ ეს მონები ნამდვილად ქართველური ტომებიდან არიან და ამ სივრცეს ეკუთვნიან. ამგვარად, ჩვენს ხელთ არსებული წყაროების მეშვეობით დასტურდება ქართველური ტომების აქტიური ჩართველობა მონათვაჭრობის სფეროში, რომლის გზითაც შემდეგ ძველი საბერძნეთის ბაზარზე ხვდებოდნენ. ეს მეტყველებს ჩვენს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობებზე ანტიკურ სამყაროსთან.

საბოლოოდ, ჩვენი განსახილველი თემა იქნება კოლხი მონების ფენომენი ძველ საბერძნეთში შესაბამისი ეპიგრაფიკული წყაროების დახმარებით და როგორ ახერხებდნენ მონები ისე დაწინაურებას, რომ შეეძლოთ, ხელოსნური საქმიანობისთვის მიეყოთ ხელი.

ნიკოლეტა ვერულიძე

თფილისური პორტრეტის ისტორიიდან: ზოგიერთი ახალი ცნობა ნინო თორნიკე ქსნის ერისთავის ასულის იდენტიფიკაციისთვის

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მხატვრობა, რომელიც ტფილისური პორტრეტის სახელითაა ცნობილი, მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს როგორც ისტორიული მნიშვნელობით, ასევე მხატვრული თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ მას არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა, დღემდე არ არის ბოლომდე გარკვეული ამ ჯგუფის ნამუშევართა გენეზისის საკითხი.

აღსანიშნავია, რომ ჩვენამდე მოღწეული ტფილისური პორტრეტის ნიმუშებიდან თითქმის არცერთს არ ახლავს მისი შემსრულებელი ავტორის ვინაობა და თარიღი. ამ მხრივ, გამონაკ-

ლის წარმოადგენს ზუსტად დათარიღებული ნინო თორნიკე ქსნის ერისთავის ასულის პორტრეტი, რომელზეც მთავარი პერსონაჟი მთელი ტანით არის გამოსახული. პორტრეტს სხვადასხვა საინტერესო მხატვრული ნიშნები გამოარჩევს, რის საფუძველზეც მკვლევართა მიერ აღნიშნულია, რომ იგი განიცდის როგორც გვიანი შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის, ასევე ყავარული ფერწერის გავლენას. ამასთან, აღნიშნულია, რომ პორტრეტი გამოირჩევა იმითაც, რომ ტფილისური პორტრეტების სხვა ნიმუშებისაგან განსხვავებით, პორტრეტირებული პეიზაჟის ფონზეა გამოსახული.

მოხსენების მიზანია, ახალი მონაცემების საფუძველზე, დააზუსტოს პორტრეტზე გამოსახული პერსონაჟის ვინაობა და მისი შესაძლო კავშირი იმ მოვლენებთან, რომელთაც განაპირობეს ამ პორტრეტში პეიზაჟური ფონის ჩართვა.

ლიკა თადიაშვილი

ფატმანისა და ბათელი ქალის შედარებითი ანალიზი: ნორმათა რღვევა და მხატვრული ხატვის თავისებურებანი

მოხსენება შეეხება შუა საუკუნეების ლიტერატურის ორ გამორჩეულ პერსონაჟს, რომლებიც არღვევენ ტრადიციულ მორალურ და სოციალურ ნორმებს, მაგრამ მაინც ინარჩუნებენ მკითხველის სიმპათიას. კერძოდ, განვიხილავ შოთა რუსთაველის ფატმან-ხათუნსა და კეფრი ჩისერის ბათელ ქალს „პენტერბერიული მოთხოვნებიდან“.

მოხსენებაში ყურადღება ეთმობა იმ მხატვრულ ხერხებსა და ნარატიულ სტრატეგიებს, რომლებსაც ავტორები იყენებენ ამ არაორდინალური ქალი პერსონაჟების დასახატად.

ფატმანის მიმართ მკითხველის გრძნობა ცვალებადია. თუ, მაგალითად, ავთანდილისადმი მიწერილი სამიჯნურო წერილი წინააღმდეგობრივ ემოციებს იწვევს, ჭაშნაგირის ეპიზოდში იგი აშკარა თანაგრძნობას იმსახურებს, ხოლო ნესტან-დარეჭანის ამბის შეტყობის შემდეგ მის მიმართ სიმპათია გვიჩნდება. გარდა

ამისა, გასათვალისწინებელია რუსთაველის მიერ ფატმანის ხატვის სპეციფიკაც, იქნება ეს სტილისტიკური საშუალებები თუ ტროპული მეტყველება.

რაც შეეხება ბათელ ქალს, იგი განსხვავდება ფატმანისგან, თუმცა ისიც ენინააღმდეგება დამკვიდრებულ ზნეობრივ წესებს. ჩოსერი მას წარმოგვიდგენს თავისუფალი ბუნების, გამოცდილ და მოხერხებულ ქალად, რომელმაც ხუთჯერ იქორწინა და კარგად იცის, როგორ დაიმკვიდროს თავი საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ იგი არღვევს შუა საუკუნეების მორალურ ნორმებს (განსაკუთრებით ქორწინებასთან დაკავშირებით), ჩოსერი მას ხატავს იუმორითა და სიმპათიით.

მოხსენებაში გამოყენებულია კომპარატივისტული, ტიპოლოგიური და ნარატოლოგიური ანალიზის მეთოდები. ამ მეთოდოლოგიური მიდგომის საფუძველზე გამოვლინდა როგორც მსგავსებები, ისე განსხვავებები ფატმანისა და ბათელი ქალის სახეებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ორივე პერსონაჟი უგულებელყოფს ეპოქის ეთიკურ სტანდარტებს, ავტორები განსხვავებული მხატვრული ხერხებითა და ნარატიული სტრატეგიებით ახერხებენ მათი სახეების წარმოჩენასა და მკითხველის სიმპათიის შენარჩუნებას.

ლაშა თაკაშვილი

**კორუფცია, დაპირისპირება და პერსონაჟი:
კატილინა და იულიუს კეისარი სალუსტიუს
კრისპუსის ნარატივში**

ძვ. წ. I საუკუნე რომის ისტორიაში გამორჩეულად დიდ ინტერესს აღძრავს ცნობილი სამოქალაქო დაპირისპირებებისა და ომების გამო. სულა-მარიუსის ბრძოლას ძალაუფლებისთვის და დიქტატურას 80-იან წლებში ძალების ხელახალი გადანაწილება მოჰყვა რესპუბლიკაში. ამ მოვლენებმა დიდწილად განსაზღვრა როგორც 60-იან წლებში შეთქმულების მცდელობები, ისე კეისარსა და პომპეუსს შორის წამოწყებული სამოქალაქო ომი.

მოხსენებაში ყურადღებას სწორედ „კატილინას შეთქმულებაზე“ გავამახვილებთ, რომელიც ნახსენებ ორ დიდ სამოქალაქო დაპირისპირებას შორის აღმოცენდა. ამ შეთქმულების შესახებ ორი ძირითადი წყარო არსებობს – ციცერონის „სიტყვები კატილინას წინააღმდეგ“ და სალუსტიუს კრისპუსის „კატილინას შეთქმულება“.

ცნობილია, რომ თავად სალუსტიუსი სამოქალაქო ომში კეისრის იდეებს იზიარებდა. აქტიური პოლიტიკური ცხოვრებიდან მისი ჩამოშორების შემდეგ, საკუთარ ნაწერებში კრისპუსი ცდილობს, ნახსენები მოვლენები და მათი მიზეზები ერთმანეთთან დააკავშიროს, რის შედეგადაც ვიღებთ რომის ელიტური და მდიდარი ფენის წინააღმდეგ მიმართულ ისტორიულ ნარატივს.

მოხსენებაში სალუსტიუსის იდეოლოგიური ნარატივის გათვალისწინებით, ტექსტუალური ანალიზის გზით შევეცდებით ლ. კატილინასა და იულიუს კეისრის პიროვნებათა ანალიზს, თუ რა მსგავსებასა და განსხვავებებს ავლენენ ისინი როგორც ენობრივ, ისე – მსოფლმხედველობრივ დონეებზე და რა ხერხებით ცდილობს ავტორი მკითხველისთვის ამის მინიშნებას.

ელენე თამაზაშვილი

ქართული და დარგული ბალადების ქალი პერსონაჟები კომპარატივისტულ ჰრილში

ქართული ბალადების ფინალი მეტად დრამატულია ან ტრაგიკული. ყველა ბალადა დამოუკიდებელ სიუჟეტურ ქარგაზეა აგებული. მრავალ ბალადას უდევს საფუძვლად ერთი კომპოზიცია, რომელსაც პერსონაჟების მოქმედებების თანმიმდევრობა ქმნის. განსხვავებულია სიუჟეტი, იგი ეფუძნება ნამდვილ ამბავს, გამოძახილს პოულობს ხალხის შეხედულებებში, რომლებიც ბალადებში მოტივების სახით ჩანს. დარგული ბალადები უბრალო ხალხის უანგარო, თავგანწირულ სიყვარულს უმღერის. ამ ბალადების დასაწყისიც მოულოდნელი და წამიერია. ქართულ ბალადებთან შედარებით აქ შეინიშნება ქალი პერსონაჟების სიმრავლე.

ქალ პერსონაჟებთან დაკავშირებული ბალადები კავკასიის ხალხთა ფოლკლორში უმეტესად აგებულია უფლებაშელაბული, უძმო ქალისა და შურისძიების მოტივებზე.

დარგულ ბალადებში ასახულია ქალის იდეალი – მშვიდი, ალერსიანი ქალი „გამხმარი მიწისათვის ცის გრილი წვიმაა“. მას შეუძლია, როგორც სიყვარული, ისე – სიძულვილი. ქართულ ბალა-დებში ქალ პერსონაჟთა სახეები თავშეკავებულად, ძუნად, ტრა-დიციათა ერთგულებით არის წარმოდგენილი. თუკი ქართულ (ფშავ-ხევსურულ) ბალადებში ქალებს ეკრძალებათ შვილის ხმით დატირება, დარგულ ბალადებში მრავლად გვხვდება საპირისპი-რო შემთხვევა. ხშირად ბალადის მთავარი პერსონაჟი საერთო-დაც ქალია, რაც იშვიათობაა ქართულ ბალადებში. საერთო მახა-სიათებლებიც არის ამ ბალადებს შორის: ქართულ ბალადაშიც შევხვდებით დედას, რომელიც შვილს „დაუცხობს საგძალთა“ და ასევე – დარგულშიც. ორივე მხარის ბალადებში ვხვდებით სტუ-მარმასპინძლობის დამცველ მანდილოსნებს.

მსგავსებების სავარაუდო მიზეზი ისაა, რომ კავკასიელი ხალხი ცხოვრობდა ერთმანეთის მეზობლად. ტრადიციულ საზო-გადოებას ჰქონდა მსგავსი შეხედულება ერთსა და იმავე საკითხ-ზე, ეს შეხედულებები მისაღები იყო თემის ყველა წევრისთვის. ბალადებში აისახა დღენიადაგ ბრძოლაში ჩაბმული ხალხის ცხოვრებისეული ეპიზოდები და განცდები. ეთნიკური სიქრელით არის გამოწვეული ის თავისებურებები, რაც დარგულ ბალადებს ახასიათებს. ტერიტორია, რომელიც დარგულებს უკავიათ, საზო-გადოებრივ კავშირებად იყოფოდა. ეს კავშირებიც ერთმანეთის-გან განსხვავდებოდა ტრადიციებითა და ენით, ამიტომ, ლოგიკუ-რია, რომ ქართულ და დარგულ ბალადებს შორის შეინიშნება მკვეთრი განსხვავებებიც.

ნინო თედიაშვილი ბაჩანა უგრეხელიძე

ჭეშმარიტება, როგორც ქალთა შევიწროების მეთოდი XVIII–XIX საუკუნის ინგლისურ ლიტერატურაში

ფემინიზმი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა. თავისუფლებისა და თანასწორობის მაძიებელი ქალების წინააღმდეგ საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა იარაღს იყენებდნენ: იქნებოდა ეს ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური მანიპულაცია. ერთ-ერთი მიდგომა, რომელიც ქალთა თავისუფლების შეზღუდვისკენ იყო მიმართული, „ჭეშმარიტების“ სახელით არის ცნობილი.

მოხსენებაში განხილულია ჭეშმარიტება, როგორც ქალთა შევიწროების მეთოდი XVIII–XIX საუკუნის ინგლისურ ლიტერატურაში. ვინაიდან თავად ტერმინს „ჭეშმარიტება“ არაერთი განსაზღვრება აქვს, ჩვენს მოხსენებაში „ჭეშმარიტება“ განხილულია ფრანგი ფილოსოფოსის, მიშეღ ფუკოს ცნების, „ცოდნა/ძალაუფლების“ მიხედვით. ფუკოსთან „ჭეშმარიტება“ ოპერაციონალიზებულია არა როგორც უნივერსალური კონცეფცია და აბსოლუტური სიმართლე, არამედ, როგორც ძალაუფლებისა და სოციალური უპირატესობის მოპოვების საშუალება.

მოხსენებაში ამ ცნებას ფემინიზმს ვუკავშირებთ და განვიხილავთ, როგორ არის ეს საკითხები წარმოჩენილი XVIII–XIX საუკუნეების ინგლისურ ლიტერატურაში, კერძოდ, რომანებში: დანიელ დეფოს „რობიზონ კრუზო“ და შარლოტა ბრონტეს „ჰეინ ეარი“. დეფოს რომანის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მახასიათებელია ქალი ბერსონაჟების ნაკლებობა. ნაწარმოებში მხოლოდ რამდენიმე ქალი ფიგურირებს, რომელთა აზრი და გრძნობები არასდროს არის გათვალისწინებული. აქ ქალი წარმოჩენილია როგორც მამაკაცის დამხმარე და არა როგორც ცალკეული პიროვნება, საკუთარი გონებითა და ინდივიდუალური მახასიათებლებით, რაც რომანის თანამედროვე რეალობას ასახავს. „ჰეინ ეარი“ კი „რობიზონ კრუზოს“ საპირზონედ, მთლიანად ქალის ცხოვრების გარშემო ბრუნავს და ნათლად წარმოაჩენს იმ სირთულეებს, რომელთა გადალახვაც ქალს უწევს აბსურდული გენ-

დერული სტერეოტიპებიდან გამომდინარე. ნაწარმოები ერთ-ერთ პირველ ფემინისტურ ლიტერატურულ ნაშრომად მიიჩნევა. სამყაროში, რომელშიც მამაკაცის სიტყვა უპირობო ჭეშმარიტებაა, მთავარი გმირი ვიქტორიანული ეპოქის გენდერულ სტერეოტიპებს ამსხვრევს და პატრიარქალურ დოგმატიკას საკუთარი პრინციპებით ეწინააღმდეგება. იგი პიროვნულ განვითარებას და ინდივიდუალურ მოგზაურობას ქორწინებასა და ტრადიციებზე წინ აყენებს. მისთვის შეუღლება ხდება არა მოვალეობის მიზნით, არამედ უპირობო ორმხრივი პატივისცემისა და სიყვარულის საფუძველზე.

ამგვარად, მოხსენების მიზანია, წარმოვაჩინოთ, როგორ არის ფემინიზმისა და პატრიარქალური დომინირების პრობლემატიკა წარმოჩენილი ლიტერატურულ ნაშრომებში, როგორ უკავშირდება აღნიშნული თემატიკა ფუკოსეულ ფილოსოფიურ პერსპექტივას და თანამედროვე რეალობას.

ანნა კაჭარავა

ქართული წარმომავლობის მოხელეების მოღვაწეობა სიღონის ეიალეთში XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში

ქართული წარმომავლობის მამლუქების მოღვაწეობის შესწავლას ქართულ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. პროფესორები ბ. სილაგაძე და დ. კანელიძე იყვნენ ერთ-ერთი პირველები, ვინც გამოსცეს კომპლექსური ნაშრომი ქართული წარმოშობის მამლუქების მოღვაწეობის შესახებ ეგვიპტესა და ერაყში. მნიშვნელოვანი კვლევები იქნა გაწეული ან განსვენებული პროფესორ გოჩა კაფარიძის მიერ ეგვიპტეში მოღვაწე ქართველი მამლუქების თემატიკაზე. ერაყში მოღვაწე ქართული წარმოშობის მამლუქების თემაზე ასევე მნიშვნელოვანი კვლევა ჩაატარა ირაკლი თოფურიძემ. აქვე მნიშვნელოვანი კვლევები გასწია კონსტანტინე ფერაძემ ქართული წარმოშობის მმართველი მამლუქების მოსაძიებლად ჩრდილოეთ აფრიკის არაბულ ქვეყნებში: ლიბია, ტუნისი, ალჟირი. ხოლო პრო-

ფესორმა მერაბ ტიკაძემ ნაშრომი მიუძღვნა XVII საუკუნის 70-იან წლების სირიაში მოღვაწე ქართული წარმომავლობის ოსმან ფაშა აღ გურჯის მოღვაწეობას.

ეგვიპტესა და ერაყში მოღვაწე ქართული წარმომავლობის მამლუქების კომპლექსური კვლევის კვალობაზე შედარებით ნაკლები ყურადღება ჰქონდა დათმობილი ქართული წარმოშობის პოლიტიკური და სახელმწიფო მოხელეების მოღვაწეობის შესწავლას პალესტინაში. შეა საუკუნეების მიწურულს და ახალი ისტორიის გარიურაჟზე ოსმალეთის იმპერიის ამ არაბული პროვინციის (პალესტინა) პოლიტიკურ სარბიელზე აქტიურად გამოჩნდნენ ქართული წარმომავლობის მოხელეები, რომელთაც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს პოლიტიკურ სარბიელზე და იყავებდნენ საკმაოდ მაღალ თანამდებობებს ოსმალურ ადმინისტრაციულ აპარატში, კონკრეტულად კი – სიდონის ეიალეთში. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია ქართული წარმომავლობის სულეიმან ფაშამ, რომელმაც შეძლო დაეკავებინა პროვინციის უმაღლესი სამოხელეო თანამდებობა. სულეიმან ფაშას თითქმის თხუთმეტი წლის განმავლობაში ეკავა სიდონის ეიალეთის მმართველის პოსტი. ამავე პერიოდში მის სამოხელეო აპარატში მოღვაწეობდნენ სხვა ქართული წარმომავლობის უმაღლესი თანამდებობის მოხელეები. მათ ქართულ წარმომავლობაზე პირდაპირ უთითებს XIX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე მოგზაურები თუ ისტორიკოსები, ასევე თანამედროვე ეპოქის სირია პალესტინის უცხოელი მკვლევრები.

წინამდებარე საკონფერენციო მოხსენება ეძღვნება XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX პირველ ნახევარში ოსმალეთის იმპერიის სიდონის ეიალეთში (იგივე აქქას საბეჭლარბეგო) პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწე ქართული წარმომავლობის მაღალი თანამდებობის მოხელეების მოღვაწეობას. მოხსენებაში კონკრეტულად განხილული იქნება:

1. ქართული წარმომავლობის სახელმწიფო მოხელეთა მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ასპექტები სიდონის ეიალეთში;
2. მათი ქართული წარმომავლობის შესახებ არსებული ცნობები და გამოთქმული მოსაზრებები ისტორიოგრაფიაში.

მირანდა კახიშვილი გიორგი ნადირაძე

კოლექტივიზაცია, რეპრესიები და სტალინის მემკვიდრეობა

1930-იან წლებში საბჭოთა კავშირში სტალინის მიერ ჩამოყალიბებულმა რეჟიმმა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო, მათ შორის ეკონომიკაც, სრულად დაიქვემდებარა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ კურსი ახლად შექმნილი სახელმწიფოს ინდუსტრიალიზაციისკენ აიღო, რაც ემსახურებოდა საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერების განმტკიცებას. იოსებ სტალინს მიაჩინდა, რომ საგარეო ექსპანსიისთვის საჭირო იყო მძიმე მრეწველობის განვითარება, რაც სამხედრო ძლიერების საწინდარია. 1929 წელს ნათელი გახდა, რომ ინდუსტრიალიზაცია არასაკმარისი ფინანსური რესურსების გამო ჩიხში ექცეოდა, ამიტომ საბჭოთა მთავრობამ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გეგმა დასახა. ეს ნიშნავდა „კულაკების“ ანუ შეძლებული, შრომისუნარიანი გლეხების, ფაქტობრივად, ხელახალ დაყმევებას და მათი მიწების, ინვენტარის, პირუტყვის კოლმეურნეობაში გაერთიანებას. კოლექტივიზაციას ახლდა რეპრესიები და იძულება, რამაც დიდი ზიანი მიაყენა გლეხებს, მათ წაართვა საკუთარი შრომით მოპოვებული ქონება და დააზარალა სოფლის მეურნეობა. გარდა ამისა, ამ პროცესს მოჰყვა მასობრივი შიმშილი, განსაკუთრებით ცნობილია „გოლოდომორი“ უკრაინაში. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ხელისუფლებამ ამ გზით შეძლო აგროკულტურის აყვავება და კოლმეურნეთა მრავლმილიონიანი არმიის ჩამოყალიბება.

ეს საკითხი უაღრესად საინტერესოა, გამომდინარე იქიდან, რომ კოლექტივიზაცია ქართველ შეძლებულ გლეხებსაც შეეხო და მნიშვნელოვანი კვალი დააჩინია რესპუბლიკის მეურნეობას და მოსახლეობის ეკონომიკურ თუ კულტურულ განვითარებას. რაც შეეხება აქტუალობას, დღემდე მიმდინარეობს დებატები, ერთი მხრივ, კოლექტივიზაციის წარმატების მასშტაბების შესახებ, რომელსაც უპირისპირებენ იმ ადამიანურ მსხვერპლს, რომელის ფასადაც საბჭოთა ხელისუფლებამ ამ წარმატებას მიაღწია.

გარდა ამისა, დღესაც საინტერესოა სოფლის მოსახლეობისა და ტოტალიტარულ რეჟიმს შორის ურთიერთობების გაანალიზება, ის გრძელვადიანი სოციალური და ეკონომიკური შედეგები, რომელიც მივიღეთ. ეს თემები დღესაც რეზონანსულია და შესწავლის საგანს წარმოადგენს.

ჩვენი მიზანია, გავაანალიზოთ კოლექტივიზაციის სოციალური და ეკონომიკური გავლენა ქვეყნებზე, ის ადამიანური ხარჯი, რომელიც მას მოჰყვა. გამოვიკვლიოთ პოლიტიკური და იდეოლოგიური მიზნები, რომლებიც სტალინს გააჩნდა, აგრეთვე, შევაჭამოთ კოლექტივიზაციის შედეგები და წინ წამოვწიოთ საბჭოთა საქართველოში მიმდინარე რეპრესიები და დაპირისპირებები, რომლებიც მოსახლეობის გაკულაკების შემდეგ მივიღეთ.

ანა კვიჟინაძე

ლექსიკური ერთეული TOP და მისი ქართული შესატყვისები: სემანტიკური ანალიზი

მოხსენება ეხება ლექსიკურ ერთეულს Top და მის ქართულ ეკვივალენტებს.

სიტყვა Top გერმანიკული წარმომავლობისაა და ეს კონკრეტული ლექსიკური ერთეული პირველად გვხვდება ძველი ინგლისურის პერიოდში 1150 წლამდე შემდეგი ფორმით "topp". კვლევაში გაანალიზებულია როგორც Top-თან, ასევე მის ქართულ ეკვივალენტებთან დაკავშირებული იდიომები, სლენგები, გამონათქვამები და ანდაზები.

ქართულ ენაში ზემოთ აღნიშნულ სიტყვას აქვს შემდეგი მნიშვნელობები: მწვერვალი, კენწერო, წვერი. თუმცა სიტყვა top-ს ქართულ ენაში უმეტესად ბარბარიზმის სახით ვხვდებით, მაგალითად, ტოპ მენეჯერი. აღსანიშნავია, რომ ქართული ეკვივალენტი „წვერი“ მომდინარეობს ძველი ქართულიდან „წუერი“. ქართულ ენაში გვაქვს წვერთან დაკავშირებული იდიომები, რომელთაგან ერთ-ერთია: ენის წვერზე ადგას (რამე) – იცის, საცაა, მოაგონდება, მაგრამ ფერ ვერ მოუგონებია. სხვადასხვა კონტექსტში საკვლევი ინგლისური სიტყვა სხვადასხვანაირად ითარგმნება, როგორც „წვერო“, „კენწერო“, „უმაღლესი დონე“ და სხვა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ორივე ენაში გამოვლინდა სიტყვა "Top"-თან დაკავშირებული კოლოკაციები, იდიომები, გამონათქვამები, სლენგები და ანდაზები, თუმცა აღსანიშნავია გამოკვეთილი განსხვავებაც, ინგლისურ ენაში ლექსიკური ერთეული "Top" წარმოდგენილია როგორც არსებითი სახელის, ასევე ზმინის სახით, ანუ ადგილი აქვს კონვერსიას, ქართულ ენაში კი მოცემულ ლექსიკურ ერთეულს ვხვდებით მხოლოდ არსებითი სახელის სახით.

ნიკოლოზ კიწმარიშვილი

მარშალ სალინსის მემკვიდრეობა და ახალი გამოწვევები ეკონომიკურ ანთროპოლოგიაში

ანთროპოლოგის, როგორც სამეცნიერო დარგის, განვითარებას დიდი ისტორია აქვს. XIX საუკუნიდან დაწყებული ანთროპოლოგიური საკვლევი თემების ველი არაერთხელ გაფართოვდა და ინტერდისციპლინური მუშაობის წყალობით არაერთი ახალი საკითხი მოიცვა. ჩამოყალიბდა მრავალფეროვანი ანთროპოლოგიური მიმართულებები და მათ შორის ეკონომიკური ანთროპოლოგია. ეკონომიკური ანთროპოლოგიის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია ამერიკელი კულტურული ანთროპოლოგი მარშალ სალინსი (1930-2021), რომელსაც ამ მიმართულებისთვის უმნიშვნელოვანესი ნაშრომები ეკუთვნის.

მან განათლება მიიღო მიჩიგანის უნივერსიტეტში, სადაც ლესლი უაიტის მონაცე იყო. სამეცნიერო ხარისხი კოლუმბიის უნივერსიტეტში მიიღო. მოგვიანებით, თავად გახდა არაერთი გამორჩეული ანთროპოლოგის ხელმძღვანელი. მისი ხელმძღვანელობით სადოქტორო ნაშრომები დაიცვეს ანთროპოლოგებმა დევიდ გრებერმა, მართა კაპლანმა, დომინიკ ბოიერმა. მათ შემდგომში დიდი წვლილი შეიტანეს ანთროპოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით განვითარებაში. დევიდ გრებერი ანთროპოლოგიური ანარქიზმის ფუძემდებელი, აკრიტიკებდა კაპიტალიზმს, ბიუროკრატიას და ეკონომიკურ სისტემას, რომელიც კულტურაზე აღარ არის მორგებული. მისმა ნაშრომებმა – „ვალი“, „უსარგებ-

ლო სამსახურები“ – გარდატეხა მოახდინა სამეცნიერო სივრცეში, ხოლო მართა კაპლანმა და დომინიკ ბოიერმა გავლენა მოახდინეს ანთროპოლოგიის გამოყენებითი მხარის გააქტიურებაში, მის თანამედროვე პოლიტიკასთან, გლობალიზაციის პროცესებთან და კულტურული იდენტიტების საკითხებთან დაახლოებაში.

თავად მარშალ სალინსმა ბიძგი მისცა რეფლექსიური ან-თროპოლოგიის განვითარებას სტრუქტურალიზმის კრიტიკითა და ჩართული მიდგომის წინ წამოწევით. მან სიმბოლური ინტერაქციონალიზმი და ანთროპოლოგია დაუკავშირა ერთმანეთს. მისი იდეები სიმბოლოებზე, პოლიტიკურ ცოდნაზე, ძალაუფლების დინამიკაზე დღესაც იწვევენ ცხარე აკადემიურ დებატებს. მისმა შრომებმა გავლენა იქონია თანამედროვე ანთროპოლოგიურ თეორიებზე.

მისი კვლევის მთავარ არეალს წარმოადგენდა წყნარი ოკეანე, კონკრეტულად კი კვლევების უმეტესი ნაწილი ფიჭიზე (კუნძულ მოალაზე) და ჰავაზე აწარმოა, იკვლევდა კულტურის გავლენასა და როლს ადამიანების აღქმებისა და მოქმედებების ჩამოყალიბებაში. მარშალ სალინსის ძირითადი ნაშრომებია: „ქვის ხანის ეკონომიკა“, „ბიოლოგიის გამოყენება და ექსპლოატაცია“, „ისტორიის კუნძულები“, „კულტურა და პრაქტიკული მნიშვნელობა“ და „დასავლური ილუზია ადამიანის ბუნების შესახებ“.

მოხსენებაში განვიხილავ მარშალ სალინსის თეორიული თეზისების პრაქტიკულ გამოყენებას დღეს, მის მემკვიდრეობას და დღევანდელ გამოწვევებს.

ელენე კოპალიანი

**ქალის ლიტერატურული პერსპექტივა
ნაირა გელაშვილის რომანში „მე ის ვარ“ და
ლია ლიქონელის ლექსების პრებულში
„გოგოობის კანონი“**

თანამედროვე ქართველი ქალი ავტორების შემოქმედება, ბუნებრივია, განსხვავებულია არაერთი ასპექტის მიხედვით. განსხვავება ბევრი მიზეზითაა გამოწვეული: ინტელექტი, განათლება

და, რაც მთავარია, გამოცდილება. მკითხველისთვის, რომელიც ტრადიციული, მასკულინური ნარატივისგან დაცლილ საკითხავს ეძებს, ქალი ავტორების მიერ შექმნილი ქალი პერსონაჟები, თავიანთი ისტორიებითა და შინაარსით, საინტერესონი არიან.

ნაირა გელაშვილი რომანში „მე ის ვარ“ გადმოსცემს 13 წლის გოგონას, ნია ლელიშვილის ისტორიას. რომანის ქვესათაურია: „ძველებური ამბავი მოზარდებისთვის“. ეს არის სიყვარულის ისტორია, რომელიც ნებისმიერი ასაკის მკითხველს თვალწინ გადაუშლის შეყვარებული გოგონას განცდებს. მას უკვე უჭირს საერთო ენის გამონახვა თანატოლებთან, ოჯახის წევრებთან და მისი მდგომარეობის ასახსნელ პასუხებს სამედიცინო ლექსიკონსა და პოეზიაში ეძებს. რომანს მრავალფეროვანს ხდის ნიას ცხოვრების ორი პერიოდის მონაცვლეობა: მისი ბავშვობა და ხანშიშესულობა. დრო გავიდა, თუმცა, „გოგოობის კანონის“ თანახმად, 58 წლის ნია ისევ პირველადი აღფრთოვანებით ნატრობს იმ ადამიანთან სიახლოვეს, ვინც გოგონას ოთხი ყველაზე დასამახსოვრებელი შეხვედრა აჩქა.

ლია ლიქოკელის ლექსების ციკლი „გოგოობის კანონი“ მოიცავს სამოცამდე ლექსებს. ლექსებში ასახულია ქალის პოეტური პერსპექტივა. ქალად ყოფნა, როგორც მდგომარეობა, რომელიც ურთიერთსანინაალმდეგო და, ამავდროულად, პარმონიული და თავსებადი ელემენტებისაგან შედგება.

ქალი ავტორის ფენომენი იმაში მდგომარეობს, რომ გამოხატავს და იცნობს ქალისთვის დამახასიათებელი განცდებითა და ხელწერით სავსე სამყაროს. ამ თვალსაზრისის გათვალისწინებით, საინტერესოა ორივე ავტორის დამოკიდებულება ქალური საფიქრალის შესახებ. ნაირა გელაშვილი წერს: „მწერლობაზე მძაფრად ვერავინ იგრძნობდა ქალის დაუცველობას, სიმარტოვესა და უუფლებობას“. ლია ლიქოკელი კი თავის პოეზიაში ქალებს ფიქრისთვის თავისუფალ სივრცეს აძლევს. მოხსენების მიზანია, იმსჯელოს ქალი ავტორების მიერ შექმნილი ქალი პერსონაჟების არსებობის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე.

ანა კურტანიძე ანი როსტიაშვილი

ქალის პერსონიფიცირების საკითხებისათვის ილია ჭავჭავაძის მოთხოვნები

საუკუნეების განმავლობაში ქალი მამაკაცის ტრფობის ობიექტია, რომელსაც უმღერდნენ, აქანდაკებდნენ, ხატავდნენ, სილამაზის ეტალონად მიიჩნევდნენ, თუმცა რაც უფრო აღმერთებდნენ და თაყვანს სცემდნენ, მით უფრო დამორჩილებულ მდგომარეობაში იყო. ქალის მიმართ სტერეოტიპული შეხედულებების განმტკიცებაში მონაწილეობდა ფილოსოფია და ლიტერატურა, თუმცა სწორედ ლიტერატურამ იგრძნო და ასახა ქალთა უუფლებობა და დაუცველობა, სწორედ მან გამოიტანა სააშვარაოზე ის პრობლემები, რომლებსაც ქალები ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდებიან.

ქვეყნის ღირსების, კულტურისა და მომავლის არსებით ნიშნად ითვლება ის, თუ როგორ უფრთხილდება ქალის სულსა და სხეულს მამაკაცი და საზოგადოება. არც ქართული მწერლობა ყოფილა გამონაკლისი და მანაც ასახა ქალის ღირსებისა და უღირსობის, თავისუფლებისა და მონობის, სიძლიერისა და სისუსტის ნიშნები.

აღსანიშნავია მე-19 საუკუნის მწერლობა, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის პროზა, რომელიც გამოირჩევა ქალთა პერსონიფიცირების მრავალფეროვნებით, წარმოაჩენს ქალს, როგორც სუბიექტს და როგორც ობიექტს – ქალის სრულფასოვან როლს საზოგადოებასა თუ ოჯახში, მის ღირსებებს, ასევე, გვიხატავს პატივაყრილი ქალის ფსიქოტიპს. სწორედ ილიას პროზა იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც დააყენა საკითხი ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე და მათ როლზე საზოგადოებისა თუ ოჯახის წინაშე.

სწორედ ამ საკითხს შეეხება ილიას შემდეგი მოთხოვნები: „ოთარაანთ ქვრივი“, „კაცია ადამიანი?!“, „გლახის ნაამბობი“, „სარჩობელაზედ“, რომელთა შესახებ ვისაუბრებთ მოხსენებაში.

გვანცა კუპრეიშვილი ნინო გაბელია

სიყვარულისა და ღალატის თემა შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში

სიყვარულს შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი უქირავს, თუმცა ეს გრძნობა წმინდა სახით არ არის წარმოდგენილი მის ნოველებში. მკითხველის წინაშე იშლება გაორებული – ბიპოლარული განცდები. ერთმანეთის პარალელურად ვხედავთ სიყვარულის ბანგით დამთვრალ წყვილებსა და, მეორე მხრივ, ღალატის სურვილით შეპყრობილ მატყუარა, ორპირ ადამიანებს, რომელთათვისაც პრობლემას არ წარმოადგენს თავიანთი მეუღლეებისათვის ნათქვამი ტყუილები, ისინი ორმაგ თამაშს თამაშობენ, სხვადასხვა ნიღაბს ირგებენ და ასე მალავენ საკუთარ ნამდვილ ემოციებს სხვებისაგან.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გულწრფელი სიყვარული არ არსებობს. ამ პირობებში პოეტის მიერ ლამაზად დახატული სამიჯნურო სცენები ყალბი ილუზია. პრაქტიკულად, ის ანგარებასა და ჟინიანობაზე აგებული განცდაა. სიყვარულს რომ ცბიერების სამოსელი მოვაცილოთ, ხელში შეგვრჩება მატყუარობა და გაუტანლობა. ცოლ-ქმარი საქმით თუ არა, განზრახვით მაინც ღალატობს ერთმანეთს.

ჩვენს დროში დაიკარგა ნამდვილი მიჯნურობა, წმინდა, ფაქტიზი განცდები შეცვალა ანგარებამ და ფულმა. სიყვარულის გრძნობა იქცა ნივთად, რომელიც ბაზარზე იყიდება.

ყოველივე ზემოთ ხსენებული კარგად არის წარმოდგენილი მწერლის შემდეგ ნოველებში: „მხრებიღა ავიჩეჩე“, „ხითხითებს და ხითხითებს“, „და-ძმა“, „ქარი კი ამ დროს ზმუოდა, კვნესოდა და გმინავდა“. ზემოთ ხსენებული საკითხი ფართოდ არის წარმოდგენილი როგორც ლიტერატურაში, ისე სახვით ხელოვნებაში. მოხსენებაში ვისაუბრებთ სიყვარულისა და ღალატის თემების რეპრეზენტაციაზე შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში. ყურადღებას გავამახვილებთ ამ საკითხების მხატვრულ ასახვაზეც.

თამარ კუტივაძე

მეიფლაუერის ხელშეარულების როლი ამერიკული დემოკრატიის ჩამოყალიბებაში

მოხსენებაში განვიხილავ მეიფლაუერის ხელშეკრულებას, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამერიკული დემოკრატიის ჩამოყალიბებაში. მას ხელი მოაწერეს 1620 წელს მეიფლაუერის გემზე მყოფმა პილიგრიმებმა. ხელშეკრულება წარმოადგენდა პირველ ოფიციალურ შეთანხმებას თვითმმართველობის შესახებ ახალ სამყაროში. პურიტანები, რომლებიც პილიგრიმების უმრავლესობას წარმოადგენდნენ და ახალ სამყაროში რელიგიური თავისუფლება მოიპოვეს, ვალდებულები გახდნენ, შეექმნათ საკუთარი მმართველობის ახალი პრინციპები ახალ მიწაზე საერთო თანხმობის საფუძველზე.

მოხსენებაში ხაზს ვუსვამ, რომ მეიფლაუერის ხელშეკრულება ინოვაციური იყო. პილიგრიმები შეთანხმდნენ, შეექმნათ დამოუკიდებელი „სამოქალაქო პოლიტიკა“, რომელიც მორგებული იქნებოდა ხალხზე, მათ კეთილდღეობაზე და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მმართველი ორგანო იქნებოდა ხალხი, ე. ი. იქნებოდა თვითმმართველობა. ამგვარი მიდგომა მას გამოარჩევდა ტრადიციული მონარქიული მმართველობისგან, სადაც ხელისუფლება მხოლოდ მონარქს ექვემდებარებოდა. სწორედ ეს არის იდეები, რომლებიც მოგვიანებით ამერიკული დემოკრატიის ძირითადი პრინციპები გახდა. ამ ხელშეკრულებამ საფუძველი ჩაუყარა დემოკრატიულ პრაქტიკას, რომ ადამიანთა ჯგუფს თავად შეუძლია საკუთარი ქვეყნის მართვა და კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღება, რამაც გავლენა მოახდინა აშშ-ის კონსტიტუციის შექმნაზე.

მოხსენებაში ვასაბუთებ საკითხის აქტუალობას და ვეთანხმები მკვლევრებს, რომ აღნიშნულ შეთანხმებაში დაფიქსირებული თავდაპირველი დემოკრატიული პრინციპები დღემდე უცვლელი რჩება.

მარიამ ლურსმანაშვილი

ანტონიმური წყვილი „სავსე“ და „ცარიელი“

მოხსენებაში განხილულია ინგლისური სიტყვების empty და full ეტიმოლოგია, განმარტებები, გამოყენება და მათი ანტონიმური ბუნების ასახვა საკვლევ ენებში. სიტყვა empty მომდინარეობს ძველი ინგლისური ჰამტიგ-დან, რომელიც პროტო-გერმანიკულ ფუძეს უკავშირდება და „დაცარიელებას“ აღნიშნავს. თავის მხრივ, full წარმოდგება ძველი ინგლისური ფუძიდან და სავსეს, სისავსეს აღნიშნავს.

ლინგვისტური ანალიზი აჩვენებს ამ სიტყვების მნიშვნელოვან როლს მეტყველებაში, მათ მრავალფეროვან ფორმასა და კონტექსტში გამოყენებას. მაგალითად, empty და full ხშირად გვხვდება ზედსართავი სახელების, ზმნების და ზმნიზედების სახით: “The glass is empty” (ჭიქა ცარიელია), “The room was full of people” (ოთახი სავსე იყო ხალხით). ამავდროულად, ფიქსირდება მრავალი იდიომატური გამოთქმა, როგორიცაა “empty promises” (ცარიელი დაპირებები) ან “full of joy” (სიხარულით აღსავსე).

ქართულში „სავსე“ და „ცარიელი“ წარმოადგენენ ანტონიმურ წყვილს, რომლებიც შინაარსობრივად ასახავენ მოცემულობის მდგომარეობას. მათი ეტიმოლოგია კომპლექსურია: მაგალითად, „სავსე“ შეიძლება უკავშირდებოდეს ძველ ქართულ ფუძეს „სავ“, ხოლო „ცარიელი“ – ნაცვალსახელ „რა“-სა და უარყოფით ნაწილაკს „ცა“.

შედარებითი ანალიზი ქართულ და ინგლისურ ენებს შორის აჩვენებს, რომ ეს სიტყვები ხშირად გამოიყენება როგორც პირ-დაპირი, ასევე მეტაფორული მნიშვნელობით. ორივე ენაში სავსე/full პოზიტიურ კონტექსტში გვხვდება, ხოლო ცარიელი/empty – უარყოფითში. თუმცა, სულიერ-რელიგიურ კონტექსტში ცარიელი შესაძლოა, დადებითადაც აღიქმებოდეს.

სალომე მაისურაძე ნინო ფაჩულია

იდენტობისა და თავისუფლების პრინციპები „რობინზონ პრუზოსა“ და „ბუზთა ბატონის“ მიხედვით

მოხსენების მიზანს წარმოადგენს, გადმოვცეთ, რა ეტაპებს გადიან „რობინზონ კრუზოსა“ და „ბუზთა ბატონის“ პერსონაჟები იდენტობისა და თავისუფლების არსის შეცნობის გზაზე, მათი მორალური თვისებების ხაზგასმით, როგორ აღნევენ ისინი მიზანს და რა არსებითი მსგავსება და განსხვავება იკვეთება ამ ორი ნაწარმოების გმირთა ხასიათსა და ქცევაში.

დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზოსა“ და უილიამ გოლდინგის „ბუზთა ბატონს“ ორი საუკუნე აშორებს ერთმანეთისგან, თუმცა ორივე მათგანი გადმოგვცემს ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორებიცაა: ადამიანის მიერ საკუთარი იდენტობის შეცნობა და თავისუფლების არსის ძიება. ამ ორ ნაწარმოებს შორის სიუჟეტური მსგავსების მიუხედავად, უამრავი განსხვავებაცაა, რაც ვლინდება გმირთა ხასიათში, მათ მიერ არჩეულ თვითგადარჩენის გზასა და ცხოვრების სტილში. უკაცრიელ კუნძულზე აღმოჩენილნი, სრულიად იზოლირებულნი ცივილიზებული საზოგადოებისგან, საკუთარ თავს გარდაქმნიან. აქ გამოხატულია ადამიანის ბუნების ბნელი და ნათელი მხარეები, ბუნების კანონებთან ჭიდილი, ბრძოლა თავის გადარჩენისათვის, დამოკიდებულება საგნებისა და მოვლენებისადმი, რელიგიური ხედვები და მრავალი სხვა. ადამიანი საკუთარი თავის მეთაურია, თუმცა, ზოგჯერ ის სხვისი ბატონიც ხდება. განსხვავებული ხედვები სხვადასხვა მიზანს წარმოქმნის, რამაც ადამიანი შეიძლება განსხვავებულ დასასრულამდე მიიყვანოს.

**ქეთი მაისურაძე
ანი ივანიძე
ლიზი კორკელია**

თაივანის რბილი ძალა და საპარო დიპლომატია

1949 წლის 1 ოქტომბერს მაო-ძედუნმა პეკინში გამოაცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ხოლო 1950 წლისათვის ჩინეთის მთელი ტერიტორია ტიბეტის ჩათვლით განთავისუფლებული იქნა ჩან კაი-შის ჰარებისგან. ისინი ევაკუირებულები იყვნენ კუნძულ თაივანზე აშშ-სა და ბირმის დაცვის ქვეშ. ეს იყო ჩინეთის გახლეჩვის დასაწყისი – კონტინენტური და კუნძულოვანი ჩინეთი.

1950 წლიდან თაივანი ცდილობდა, ძირითადად, საკუთარი ძალებით განვითარებულიყო. მის მიზანს ყოველთვის წარმოადგენდა ჩინეთისგან დამოუკიდებლად არსებობა. ჰყავდა დემოკრატიული დამოუკიდებლად არსებობა. ჰყავდა დამოუკიდებლად არსებობა. ჰყავდა დამოუკიდებლად არსებობა. მიუხედავად ამ მისწრაფებისა, თაივანი დღესაც ჩინეთის რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილია.

თაივანი თანაარსებობს და მოქმედებს რთულ გეოპოლიტიკურ გარემოში, შეზღუდვების ფორმალური დიპლომატიური აღიარებით. მიუხედავად ამისა, ძალზე საინტერესოა თაივანის რესპუბლიკის პოზიცია საერთაშორისო ასპარეზზე, რაც განპირობებულია მისი უნიკალური პოლიტიკური და დიპლომატიური გამოწვევებით.

მიუხედავად ამ შეზღუდვებისა, თაივანი აგრძელებს თავისი სუვერენიტეტის, როგორც დემოკრატიული რესპუბლიკის მტკიცებას, ცდილობს, ჩაერთოს მსოფლიო ასპარეზზე, როგორც საკარო დიპლომატიის, ასევე ფართო საერთაშორისო დიპლომატიის გამოყენებით. თაივანის დიპლომატიური სტრატეგია არის დამოკიდებული როგორც პოლიტიკურ იდენტობაზე, ასევე რესპუბლიკაზე, რომელიც აფასებს დემოკრატიას, ადამიანის უფლებებს და ეკონომიკურ ინოვაციებს. ასევე თაივანში რბილი ძალის არსებობა ფართოდ არის აღიარებული საკარო დიპლომატიასთან ერთად, რომელიც განიხილება სამი ასპექტით: ინსტიტუციური, სტრატეგიული და ოპერატიული. ამასთანავე, მისი საკარო დიპლომატია მეტად მრავალფეროვან სფეროებს მოიცავს, რომლებ-

ზეც ხელისუფლება ძალისხმევას არ იშურებს. ამ სფეროებიდან ერთ-ერთია ეროვნული ბრენდინგი, რომლის მიზანია საკუთარი ქვეყნის წარმოჩენა მსოფლიოსთვის. თაივანი ცდილობს, რბილი ძალა და საჭარო დიპლომატია გამოიყენოს არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით, რომლებმაც რეგიონის ტერიტორიაზე არსებობა 1987 წლიდან დაიწყეს, აქედან 2100 საერთაშორისო დონეზე მუშაობს.

ნინო მანჩხაშვილი

პოლ გოგენი: საიდან მოვდივართ? რა ვართ? სად მივდივართ?

პოსტიმპრესიონისტი მხატვრის, პოლ გოგენის მონუმენტური ნახატი – საიდან მოვდივართ? რა ვართ? სად მივდივართ? (1897-98) მისი ეგზისტენციალური, ფილოსოფიური და კულტურული გამოკვლევების ღრმა ვიზუალური მანიფესტია. ნარატივის, სიმბოლიზმისა და ესთეტიკური ინოვაციების უნაკლო ნაზავის მეშვეობით გოგენი მოუწოდებს მაყურებელს, დაფიქრდეს ადამიანის არსებობის უნივერსალურ საკითხებზე.

გოგენის ნახატი სცილდება მის უშუალო კულტურულ და ისტორიულ კონტექსტს და წარმოიქმნება როგორც მარადიული მედიტაცია ცხოვრების ციკლებზე: დაბადება, სიცოცხლე და სიკვდილი. კომპოზიციის ხაზოვანი პროგრესირება – ჩვილიდან მარცხნივ ჩაფიქრებულ ფიგურამდე ცენტრში და მოხუც ქალამდე მარჯვნივ – წარმოგვიდგენს კაცობრიობის განვლილ გზას.

ნამუშევარი ასახავს გოგენის გადასვლას ნატურალისტური წარმოდგენიდან სიმბოლური და ინტროსპექტული მიდგომისკენ, რაც აღნიშნავს გადამწყვეტ მომენტს პოსტიმპრესიონიზმის ევოლუციაში. ეს ნახატი არ არის მხოლოდ გოგენის პირადი რწმენის არტეფაქტი; ეს არის მარადიული ნამუშევარი, რომელიც იწვევს მუდმივ დიალოგს კულტურული ურთიერთქმედების სირთულეების, მნიშვნელობის ძიებისა და ხელოვნების მუდმივი ძალის შესახებ კაცობრიობის ღრმა კითხვების გარკვევაში.

ანი მატუა

ექენ დელაპრუას ნატურმორტები მოდერნიზმის კონტექსტში

მე-19 საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხატვარი, ეჯენ დელაპრუა (1798-1863), რომელიც ფრანგული რომანტიზმის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვლება, თავისი ხან-გრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე, 1820-დან 1863 წლამდე, სხვადასხვა ჟანრის ტილოებს ქმნიდა, მათ შორის, საბრძოლო სცენებს, თანადროული პოლიტიკური მოვლენებისა თუ აფრიკული მოგზაურობის შთაბეჭდილებებით შექმნილ სურა-თებს, პორტრეტებს, ცხოველთა გამოსახულებებს, სცენებს მითო-ლოგიური სიუჟეტებითა და შექსპირის ნაწარმოებთა ილუსტრა-ციებს. მისი შემოქმედებითი დიაპაზონი იმდენად მრავალფერო-ვანი იყო, რომ დელაპრუას მხატვრობას, მოდერნიზმის ერთ-ერთ მთავარ ინსპირაციის წყაროდ მიიჩნევენ თანამედროვე ხელოვ-ნების კრიტიკოსები.

მიუხედავად იმისა, რომ დელაპრუას შემოქმედებას არაერთი სამეცნიერო ჰუბლიკაცია და გამოფენა მიეძღვნა, შედარებით ნაკლებადაა გაანალიზებული დელაპრუას ნატურმორტები, რომ-ლებაც მხატვარი განსაკუთრებული ინტენსივობით ქმნიდა 1850-იან წლებში. თუმცა, ფერენტერული ინოვაციებით ცნობილი მხატ-ვრის ეს ნამუშევრები განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა 1860-იანი წლებიდან შემოქმედებით ასპარეზზე გამოსული მო-დერნისტი მხატვრების შემოქმედებისათვის, მათ შორის: იმპრე-სიონიზმის, პოსტიმპრესიონიზმის, სიმბოლიზმისა და სხვა მხატ-ვრული მიმდინარეობის ისეთი ცნობილი ნარმომადგენლების-თვის, როგორებიც იყვნენ: ედუარდ მანე, პოლ სეზანი, პოლ გოგე-ნი, ვან გოგი, პოლ სინიაკი, უორქ სერა და სხვები.

მოხსენების მიზანია, გააანალიზოს, თუ რამ განაპირობა ეჯენ დელაპრუას ნატურმორტებისადმი ახალგაზრდა მოდერნისტი მხატვრების ასეთი ინტერესი. ასევე განხილული იქნება, თუ რა იყო თავად მხატვრის ნამუშევრებისათვის ის ფილოსოფიურ-ეს-თეტიკური მოდელი, რომლის ფერწერულ ენაზე ტრანსფორმირე-ბაც მოხდა ეჯენ დელაპრუას ნატურმორტების ამ სერიაში.

მარიამ მეარაყიშვილი

პასილ ბარნოვის მოთხოვბების ქალი პერსონაჟები

ქართულ ლიტერატურაში ვასილ ბარნოვმა თავისი თვითმყოფადი სამწერლო სახე უპირატესად ისტორიული რომანებით გამოავლინა. თუმცალა, იგი ავტორია, აგრეთვე, რამდენიმე ათეული სოციალური ხასიათის მოთხოვბისა, რომელთა აქტუალური თემატიკა მეტად საინტერესოა მკითხველისთვის.

მწერლის მოთხოვბები შესაძლებელია, სხვადასხვა ასპექტით განიხილებოდეს, თუმცა, ამათგან არანაკლებ საინტერესოა ბარნოვის მოთხოვბების ქალი პერსონაჟების ყოველდღიური ყოფა, მათი ურთიერთობა გარშემომყოფებთან, იმ გამოწვევების აღწერა და გათავისება, რომლებითაც ქალებს უწევთ ცხოვრება. აქედან გამომდინარე, მოხსენება შეხება ქალი პერსონაჟების როლისა და ფუნქციის გამოკვეთას კონკრეტულ სოციუმში.

მწერლის ერთ-ერთი მოთხოვბა „ტკბილი დუდუკი“ თავისებური ელფერითა და ფილოსოფიური თემით გამოირჩევა. ქეთეთოს პერსონაჟი ცალსახად გვიჩვენებს, როგორია ტიპური, ნამდვილი ქართველი ქალის სახე. ამ ქალში თავმოყრილია ღირსეული, კდემამოსილი, ხელოვანი ადამიანის თვისებები და უნარები.

სოციალური პრობლემებია აღწერილი მოთხოვბაში „თებერას დანიშნული“. ნაწარმოები გვაჩვენებს, თუ როგორ შეუძლია პერსონაჟს, მოთხოვბის სიუჟეტის მსვლელობისას, განიცადოს ცვლილება და სულ სხვა პიროვნებად მოევლინოს საზოგადოებას. ეონა, გარკვეულწილად, ბედისაგან დაჩაგრული ქალია, მაგრამ ამ პერსონაჟში იმაღლება ის პოტენციალი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ძლიერ, დამოუკიდებელ ქალად ჩამოყალიბება.

ვასილ ბარნოვი მოთხოვბებში არ ერიდება ისეთი პრობლემების გაშუქებას, როგორიცაა, მაგალითად, ქალზე ძალადობა, მისი შევიზროება ფსიქოლოგიურად თუ ფიზიკურად. სწორედ ამ თემას ეხმიანება მოთხოვბა „გველის ზეიმი“. ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი, ფეფიკო, ძალადობის მსხვერპლი ქალია.

შესაბამისად, ვასილ ბარნოვის ქალი პერსონაჟები გამოირჩევიან ინდივიდუალიზმითა და მძაფრი ტრაგიზმით. მათი ტრაგი-

კული ყოფა კი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ბედისგან დაჩაგრული ქალები არიან. ისინი არც სოციუმისგან გრძნობენ ემპათიას და არც შეუძლიათ, აღუდგნენ მას.

ეკატერინე მუშკუდიანი

გერმანული იმპერიალიზმი და საქართველო 1918-1921 წლებში

მას შემდეგ, რაც ოსმალთა აგრესია მომძლავრდა, ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალ ქვეყნებს ძლიერი მოკავშირეების ძებნა მოუხდათ გადასარჩენად. 1918 წელს ბათუმში გაიხსნა საზავო კონფერენცია, სადაც მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. ამის გამო საქემეში ჩაერთო გერმანია, რომელმაც ჰერ კიდევ 1914 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნულ კომიტეტთან იკისრა, რომ ქართველებს დაეხმარებოდა, თუ ისინი დამოუკიდებლობას გამოაცხადებდნენ. თუმცა საინტერესოა ის ფაქტი, თუ რატომ გადაწყვიტა გერმანიის იმპერიამ, საქართველოს დახმარებოდა და საკუთარი მოკავშირის წინააღმდეგ წასულიყო. უნდა გავიხსენოთ, რომ გერმანია იმპერიაა, მას თავისი იმპერიალისტური მიზნები და გეგმები აქვს. მას სჭირდება არა მარტო ტერიტორიული რესურსი, არამედ ეკონომიკურიც. ჰერ კიდევ მანამდე, სანამ ომი დაიწყებოდა, იმპერიას გააჩნდა „აღმოსავლური პოლიტიკა“ (ostpolitik), რომელშიც კავკასიაც მოიაზრებოდა. ოსმალეთის აგრესიის ფონზე, როცა მან ბრესტის ზავით მინიჭებულ ტერიტორიებზე მეტი მოითხოვა, ქართველთა შორის აშკარად გამოიკვეთა პროგრენმანული კურსი, რასაც იმპერია დადებითად შეხვდა, გერმანიამ იკისრა „ალიკაპის“ როლი. ბათუმის კონფერენციაზე იმყოფებოდა გერმანული დელეგაცია გენერალ ოტო ფონ ლოსოვის მეთაურობით, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა მოლაპარაკებებში. ამასთან, გერმანიის კავკასიურ პოლიტიკაში აქტიურად იკვეთებოდა ხაზი, სადაც იგი ხელს უწყობდა ადგილობრივი ხალხების ანტირუსულ ბრძოლებს, მიზეზი ცხადია, მას ომში მონინააღმდეგის ჩამოშორება სურდა. რაც შეეხება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ეს პირზმინ-

დად გარედან „თავსმოხვეული“ იყო. რომ არა გერმანია, სოციალ-დემოკრატებს საერთოდ არ სურდათ საქართველოს დამოუკიდებლობა, მეტიც, ისინი ავტონომიის ცნებისგანაც შორს იყვნენ და ამაში მხოლოდ კულტურულ ავტონომიას მოიაზრებდნენ. აქედან გამომდინარე, 1918 წელს გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობა სრულებით საგარეო პოლიტიკური მდგომარეობით იყო გამოწვეული და არა მმართველი პარტიის სურვილით.

დოდო მუქერია მარიმ ლიპარტელიანი

ქართული, სკანდინავიური და ბერძნულ-რომაული მითოლოგიების გმირები და ლიტერატურა: მსგავსებები და განსხვავებები

ჩვეულებრივი და ღვთაებრივი არსებები, გმირები და მათი ისტორიული როლები ქართული, სკანდინავიური და ბერძნული მითოლოგიის ფარგლებში ხშირად საინტერესო პარალელებს წარმოშობენ. ეს კვლევა მიზნად ისახავს მათ შორის მსგავსებებისა და განსხვავებების გამოკვლევას, რათა ამის საფუძველზე აჩვენოს ცივილიზაციის ზოგადი ნიშნები და ამასთანავე აღნიშნოს, რომ ბუნებასთან და უზენაეს ძალასთან კავშირი ყველა კულტურაში პრიორიტეტს წარმოადგენდა. მითოლოგიების შედარებისას ყურადღება მახვილდება ისეთ ძირითად თემებზე, როგორიცაა ბუნების ძალებთან კავშირი, გმირობის და ღვთაების როლი, ნაყოფიერება, ბრძოლა და სამართლიანობა. შევადარებთ ისეთ პერსონაჟებს, როგორებიც არიან, მაგალითად: ქართული თავიზიონი, სკანდინავიური თორი და ბერძნული ზევსი და გამოვლინდება, თუ როგორ მოიხსენიებენ ისინი ადამიანთა ცხოვრებაში ღვთაებრივ ძალებს და სამყაროს მოწყობის კანონებს. კვლევა აჩვენებს, რომ თითოეულ კულტურაში ღმერთები და გმირები არა მხოლოდ ბუნებრივი მოვლენების ანარეკლია, არამედ ისინი თავიანთი კულტურების ეთიკურ და ფილოსოფიურ ღირებულებებსაც გამოხატავენ. მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენის შედეგად შესაძლებელი იქნება იმ კულტურული ღირებულებების

და რწმენა-ზარმოდგენების გაგება, რომლებიც საბოლოოდ საზოგადოების საფუძველს ქმნის. შესაბამისად, ამ მეთოდოლოგიის მიზანია მითოლოგიების გავლენისა და მათი სულიერი და ფილოსოფიური კონტექსტის განმარტება, რაც ხელს შეუწყობს საერთო მითოლოგიური თემების უფრო ღრმა გააზრებას.

ნინო ნაწიფაშვილი

საბჭოთა კავშირში გავრცელებული პნევროლიგიური პროპაგანდა

ჩემი თემა შეეხება საბჭოთა კავშირში გავრცელებულ ათე-იზმს. კომუნისტური პარტიის ლიდერები თვლიდნენ, რომ კაპიტალიზმის აღმოფხვრა მხოლოდ რელიგიის უგულებელყოფით იქნებოდა შესაძლებელი. ცხადია, რელიგიას შეუძლია ადამიანის მსოფლმხედველობებისა და ღირებულებების შეცვლა და სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირში ანტირელიგიური პოლიტიკა დაიწყეს. შეიქმნა 35 რაიონული საბჭო, გამოდიოდა უამრავი ანტირელიგიური შინაარსის მქონე ლიტერატურა და იქმნებოდა უღმერთოთა ორგანიზაციები, იბრძოდნენ, კაპიტალიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად მარქსისტულ-ლენინური ათეიზმის იდეოლოგიებიდან.

რადგან ქრისტიანობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და უამრავი ძველი მწერლობა იყო მასზე შექმნილი, სწორედ ამიტომ უღმერთოთა კავშირმა გადაწყვიტა, რომ შეექმნათ იგივე შინაარსის, ოღონდ ახალი შეფასებებით პიესისა და რომანის სახით, ანდაც კინოსცენარი დაეწერათ და ასე „გამოეაშკარავებინათ შიგ მიჩქმალული სიყალბე“.

კომუნისტები განსაკუთრებით ემზადებოდნენ წინასაშობაოდ და წინასააღდგომოდ ანტირელიგიური პოლიტიკის გასავრცელებლად. საუფლო დღესასწაულზე კოლმეურნეები ისვენებდნენ, შესაბამისად, კომუნისტებს მუშახელი აკლდებოდათ და ეს არ მოსწონდათ.

ანტისააღდგომო კამპანიისთვის იქმნებოდა უამრავი ლოზუნები: „აღდგომა ხუცური სიცრუე და მოტყუებაა. ის შობს გაცდენებს, ლოთობას, ჩხუბს, მას დიდი ზიანი მოაქვს წარმოებისათვის. საზღ-

ვარგარეთ – ეს არის ხუცურ-ფაშისტური ცილისწამების კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“. ტარდებოდა ანტირელიგიური ლექციები, სადაც გლეხებისთვის გასაგებ ენაზე საუბრობდნენ ქრისტეს არარსებობასა და აღდგომის დამღუპველ ტრადიციაზე”...

ძირითად აქცენტს სკოლაზე აკეთებდნენ, რადგან ანტირელიგიური აღზრდა პატარა ასაკიდანვე შთაეგონათ ბავშვების-თვის, ამონმებდნენ ანტირელიგიური მუშაობის მდგომარეობას სკოლებში. სტალინის თქმით, რელიგიის წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში სწორედ რომ ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო: „იმიტომ, რომ ახალგაზრდობა ყველაზე უფრო ადვილად ითვისებს ლენინურ ანდერძს, იგი მოწოდებულია, წაიყვანოს წინ ჩამორჩენილნი და მერყევნი“.

დიანა ნოზაძე

ინგლისური სიტყვა HAIR და მისი ქართული კორელატი „თმა“

კვლევის მიზანი იყო სემანტიკურად შემესწავლა ინგლისური სიტყვა hair და მისი ქართული კორელატი „თმა“. შევისწავლე თმის სიმბოლიკა და საკვლევი სიტყვების ეტიმოლოგია და სემანტიკა. როგორც ინგლისური, ასევე ქართული წყაროებიდან გამოვლინდა თმის სიმბოლური მნიშვნელობები, როგორიცაა: სიძლიერე და თავისუფლება.

ეტიმოლოგიურად, hair მომდინარეობს ძველი ინგლისურიდან, რომელიც ადამიანის და ცხოველის თმას გულისხმობდა, ისევე, როგორც ქართულში „თმა“ ძირითადად ადამიანის ან ცხოველის ბეწვს აღნიშნავდა.

თმასთან დაკავშირებული სემანტიკური კლასები მოიცავს სიტყვებს, რომლებიც თმის ფორმას, ფერსა და ასაკთან დაკავშირებულ ცვლილებებს ასახავს, რაც აისახება ისეთ სიტყვებში, როგორიცაა haircut, hairstyle, თმაშეკრული, თმახუჭუჭა და სხვა.

ორივე ენაში თმასთან დაკავშირებული გამონათქვამები ხშირად გამოიყენება ემოციური მდგომარეობის გამოსახატავად. მაგალითად, ქართულში „თმა ყალყზე დაუდგა“ და ინგლისურში

„make someone's hair stand on end“ ორივე შიშს აღნიშნავს. ინგლი-სურ ენაში გამოვლინდა თმასთან დაკავშირებული ანდაზების დი-დი მრავალფეროვნება, ქართულში კი თმასთან დაკავშირებული ანდაზები უფრო ნაკლები რაოდენობით შეგვხვდა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე საკვლევი სიტყვა აღნიშნავს თმას, მათი გამო-ყენება განსხვავდება კულტურული კონტექსტების მიხედვით.

მარიამ ნოზაძე

გარდასახვის პიმნები: რიტუალი და მითი ორფიზმი

ორფიზმი, როგორც მისტიკურ-რელიგიური მიმდინარეობა, ძალზე ძველია. მისი მრავალი ასპექტით კვლევა შეგვიძლია, იქნე-ბა ეს რელიგიური, ფილოსოფიური, თუ მითორიტუალური მხარე.

ჩვენამდე მოღწეულია ორფიკული ჰიმნები და ორფიკული ფირფიტები, რომლებიც ძალზე საინტერესო ინფორმაციას გვაწ-ვდის უძველეს რიტუალებსა და იმ ღვთაებებზე, რომელნიც ანტი-კური მითოლოგიის განუყოფელი ნაწილი არიან.

ჩემი მოხსენება მიზნად ისახავს ყურადღების გამახვილებას გარდასახვის რიტუალებსა და იმ მითებზე/მონომითებზე, რომ-ლებსაც დღემდე შემორჩენილ უძველეს ორფიკულ ჰიმნებსა და ფირფიტებში ვხვდებით.

ნუცა ოსაძე

ქურთი ქალების სამხედრო-პოლიტიკური აქტივობა, როგორც გლობალური ინსტიტუტი

ქურთი ქალების სამხედრო-პოლიტიკური ჩართულობა ჰქონდება 1980-იანი წლებიდან იწყება, როდესაც „ქურთისტანის მუ-შათა პარტიის“ რიგებში ქალები ანგარიშგასაწევ ძალას წარმო-ადგენდნენ. ქურთი ქალების სამხედრო-პოლიტიკური აქტივობა დღემდე მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია, განსაკუთრებით აღ-სანიშნია მათი წევრობა „ქურთისტანის მუშათა პარტიას“ (PKK) და „სირიის დემოკრატიულ ძალებში“ (SDF). წლების განმავლობა-

ში, ქურთი ქალები არა მხოლოდ სამხედრო ფრონტზე საბრძოლო სულისკვეთებითა და უშრეტი გამბედაობით გამორჩეულნი აღმოჩნდნენ, არამედ ისინი სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების ძირითადი შემოქმედნი გახდნენ, რამაც დანარჩენ მსოფლიოს დაანახა ქალების ძალა გენდერული თანასწორობის პრინციპების შენარჩუნების საკითხში. ქურთი ქალების ბრძოლაშ შთააგონა ფემინისტური და ანტივტორიტარული მოძრაობები მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში, სადაც ქურთი ქალების მოღვაწეობა განიხილება, როგორც გლობალური წინააღმდეგობის სიმბოლო. ქურთი „მებრძოლი ქალების“ როლი საკვანძოა როჟავას რევოლუციში, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ და სოციალურ დონეზე, მეტიც, აღნიშნული რევოლუციის იდეოლოგიური საფუძველი დემოკრატიული კონფედერალიზმია, რომელიც ქალებს აღიქვამს არა მსხვერპლად, არამედ როგორც ბრძოლისა და ცვლილებების მთავარ აგენტებად.

მოხსენების მიზანია, ერთი მხრივ, განისაზღვროს გენდერული თანასწორობის იდეის გლობალური გავლენა, მიზანი, პრობლემები და გამოწვევები როჟავას რევოლუციის კონტექსტში და, მეორე მხრივ, გამოიკვეთოს საკვანძო ჰაუფები და ინდივიდები, რომლებისთვისაც ქურთი ქალების ბრძოლა თვითგამორკვევისა და სოციალური სამართლიანობისთვის ერთგვარი მოტივაციაა, სადაც ცვლილება იწყება პიროვნული და კოლექტიური ძალის ხმევისგან.

საკითხი აქტუალური გახდა რამდენიმე მიზეზით, რომელთაგან თითოეული ეხება გენდერულ თანასწორობას, რეგიონულ კონფლიქტებს, სამხედრო როლების ახლებურ ინტერპეტაციასა და საზოგადოებრივი ცვლილებების საჭიროებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

საკველევ კითხვას წარმოადგენს:

1. რამ განაპირობა ქურთი ქალების სამხედრო აქტივობის საერთაშორისო ყურადღების ცენტრში აღმოჩენა? რა როლი შეასრულა ამ მიმართულებით „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ მონაწილეობამ კობანის ბრძოლაში?
2. რა მნიშვნელობა აქვს „ქურთი მეომარი ქალების ისტორიებსა“ და სხვა მსგავს პროექტებს ქალთა ჩართულობის ზრდასთან ერთად გლობალური ცნობადობის ამაღლების მიმართულებით?

ნაშრომში ემპირიული დასკვნების გამოსატანად გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები. კერძოდ, პირველადი და მეორეული წყაროების ანალიზი, ლიტერატურული წყაროების დამუშავება, კონტენტანალიზი და, აგრეთვე, ექსპერტული ინტერვიუ, რომელიც ფოკუსირებული იქნება ძირითადი საკითხის სიღრმისეულ გააზრებასა და სხვა ისეთი დეტალების აღმოჩენაზე, რაც გაცილებით საინტერესოს გახდის კვლევის პროცესს და, მეორე მხრივ, მასთან დაკავშირებული შედეგების შეფასება/ანალიზს.

ტატა ოქროჭანაშვილი

მიშელ ფუკოს ობიექტივილან დანახული თეოდორ ჯერიკოს პორტრეტული სერია მონომანია

თანამედროვე სამყაროში მიმდინარე ისტორიულმა და პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა, პოსტპანდემიურმა ტრამვებმა და რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა საზოგადოებაზე. გახშირდა ცალკეულ ინდივიდთა თუ სოციალური ჯგუფების მიმართვა ფსიქოლოგებსა და ფსიქიატრებთან, რომლებიც აფიქსირებენ სხვადასხვა ასაკის პაციენტებს შორის კრიზისით გამოწვეულ პრობლემებს. სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთა მზარდმა შეშფოთებამ გაზარდა ინტერესი ლიტერატურასა და ხელოვნებაში ამ პრობლემების ამსახველ ნამუშევართა მიმართაც. სწორედ ამ კონტექსტში აღმოჩნდა საინტერესო ფრანგული რომანტიზმის ფუძემდებლის, თეოდორ ჟერიკოს (1791-1824) პორტრეტული სერია მონომანია, რომელზეც ავტორმა ფსიქიურად დაავადებული – აკვიატებული იდეების მქონე პაციენტები ასახა.

ხელოვნების ისტორიკოსთა შორის დღემდე მიმდინარეობს დისკუსია, თუ რა გახდა მხატვრის ინსპირაციის წყარო: მისი პერსონალური ფსიქიური პრობლემები თუ ცვლილება თანადროულ ფრანგულ ფსიქიატრიულ პრაქტიკაში, როდესაც პაციენტების მკურნალობის სხვადასხვა სტადიაზე ხდებოდა მათი ვიზუალური გამოსახულების ფიქსირება ავადმყოფობის მიმდინარეობის დასადგენად.

მოხსენების მიზანია, თეოდორ ჟერიკოს (1791-1824) პორტრეტული სერიის მონომანია განხილვა ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსის, მიშელ ფუკოს (1926-1984) ნაშრომების კონტექსტში, რამდენადაც ფუკო პირველი იყო იმ მეცნიერთა შორის, რომელთაც ფსიქიატრულ პაციენტებთან დაკავშირებულ პრობლემებზე დაკვირვება ხელოვნების ნიმუშებით დაიწყეს. მის მიერ ჩატარებულმა ხედოვნების ახელებოგიამ საშუალება მისცა ავტორს, ეჩვენებინა, თუ როგორ იცვლებოდა სახელმწიფოსა და საზოგადოების დამოკიდებულება ფსიქიკური დაავადებისადმი და აეხსნა ამ ცვლილებების მიზეზი.

ელენე პაპუაშვილი

უილიამ ბლეიკის 12 ფიფი ფერადი გრავიურის სერია XXI საუკუნის პერსპექტივიდან

XXI საუკუნის ციფრული ინფორმაციის ეპოქაში სხვადასხვა სოციალური ქსელების მომხმარებელი აქტიურად ადევნებს თვალს ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების შემდგომ განვითარებას, რომელმაც მოსალოდნელ პროგნოზს გადააჭარბა და გარკვეული სიფრთხილე გამოიწვია თავად იმ მეცნიერებში, რომლებიც მის ალგორითმზე მუშაობენ. ახალი ტექნოლოგიის განვითარების ამ ელვისებურმა ტემპმა და მისგან გამოწვეულმა შესაძლო საფრთხეებმა კრიტიკოსებსა და ანალიტიკოსებს გაახსენა დიდი ინგლისელი მხატვრისა და პოეტის, უილიამ ბლეიკის (1757-1827) შემოქმედება და წინასწარმეტყველური ხილვები, რომელიც ჰერ კიდევ მე-19 საუკუნეში, თავის პოეტურ თუ ვიზუალურ ქმნილებებში გამაფრთხილებლად მიანიშნებდა, თუ რა მოყვებოდა ტექნიკური პროგრესისკენ შეუჩერებელ სწრაფვას: ადამიანის დეჰუმანიზაცია და ინდივიდის, როგორც პიროვნების, თანდათანობითი განადგურება.

უილიამ ბლეიკს გამორჩეული ადგილი უკავია ხელოვნების ისტორიაში, რამდენადაც იგი ერთდროულად იყო დიდი პოეტი და დიდი მხატვარი. მის შემოქმედებაში ეს ორი მედიუმი უმეტესწილად ერთმანეთისგან განუყოფელია, რადგანაც ის თავადვე ახ-

დენდა საკუთარი პოემების ილუსტრირებას. თუმცა, მის მიერ 1795 წელს შესრულებული 12 დიდი ფერადი გრავიურა ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს, რადგან მათ ტექსტი არ ახლავს.

მოხსენების მიზანია, გააანალიზოს, თუ რამ გამოწივია გრავიურების ამ სერიის შესრულებისას ბლეიკის მიერ მხოლოდ ერთი – ვიზუალური მედიის არჩევა, მით უმეტეს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ეს ნამუშევრები უილიამ ბლეიკის, როგორც მხატვრის, შემოქმედების მწვერვალად მიიჩნევა. ასევე განხილული იქნება, თუ რა იყო ამ დიდი მოაზროვნის გზავნილი საზოგადოებისადმი ამ ილუსტრაციებით და რა მიმართებაშია იგი თანამედროვე პრობლემებთან.

სალომე პატარიძე

ფრანგული ორიენტალიზმის განსხვავებული ხედები: ექენ დელაკრუას „სარდანაპალუსის სიკვდილი“

ფრანგული ოჩინეტადიზმის ვიზუალური სახეებიდან, ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ტილოა დიდი ფრანგი რომანტიკოსი მხატვრის, ექენ დელაკრუას (1798-1863) „სარდანაპალუსის სიკვდილი“, რომელიც პირველად პარიზის 1827-28 წლის სალონში გამოფინა და კრიტიკოსთა უარყოფითი შეფასება გამოიწვია.

ამ ნამუშევრისთვის მხატვრის ინსპირაციის წყარო გახდა ინგლისელი პოეტის, ლორდ ბაირონის 1821 წელს გამოსული დრამატული პოემა „სარდანაპალუსი“, რომელიც ასირიელი მეფის, სარდანაპალუსის სიცოცხლის ბოლო ეპიზოდს ეხება. ძველ ისტორიულ წყაროზე დაყრდნობით, ბაირონის პოემაში გაცოცხლებული ეს ლეგენდა მარცხით გამოწვეული ადამიანის ტრაგედიას აღნერს, როდესაც მან სიკვდილის წინ მისი დიდების ყველა სიმბოლოს განადგურება გადაწყვიტა. ბაირონის პოემის ვიზუალურ ენაზე ტრანსფორმაციისთვის დელაკრუამ სრულიად ახალი მხატვრული კონცეფცია გამოიყენა. თუმცა, ვიზუალური ინოვაციების გარდა, ეს ტილო ყურადღებას იქცევს ავტორის დამოკიდებულებითაც ასახული სიუჟეტისა და მისი მთავარი გმირისადმი.

მოხსენებაში გაანალიზებული იქნება, როგორც ექენ დელაკრუას ფერწერული ინოვაციები, ასევე ის მიზეზები, რომელთაც

განაპირობეს XIX საუკუნის პირველ ნახევარში კრიტიკოსებისა და საზოგადოების უარყოფითი რეაქცია, რომელიც ტილოს სალონში წარდგენას მოყვა და დელაკრუს ამ წარმეტებულისადმი დამოკიდებულების ცვლილება XIX საუკუნის მეორე ნახევრის პარიზულ არტისტულ წრეებში.

ლიზა პაქსაძე რაულ თოფურია

„პანკისის ხეობის პრიზისი“ და მისი გავლენა საქართველოს პოლიტიკაზე

1980-90-იანი წლების მიწნაზე საბჭოთა კავშირის დანგრევამ ჩეჩენეთში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისკენ მისწრაფება გააღვივა, რასაც ჩეჩენეთის 2 სისხლიანი ომი მოჰყვა, რომელთაგან მეორემ განსაკუთრებული გავლენა იქონია საქართველოზე, კერძოდ, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილზე, სადაც ჩრდილოკავკასიელმა ლტოლვილებმა პანკისის ხეობას შეაფარეს თავი.

2001 წლის ნიუ იორკის ტერაქტის შემდეგ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ფაქტობრივად, მოკავშირეებად ქცეულმა აშშ-მა და რუსეთის ფედერაციამ ჩეჩენ ამბოხებულებსა და ისლამისტ ტერორისტებს შორის კავშირი დაინახეს. თავის მხრივ, საქართველოს ხელისუფლებასაც მოუწია მოვლენებში ჩართვა და გარკვეული ნაბიჯების გადადგმა, კერძოდ, ქართული მხარე იღებდა ჩეჩენ ლტოლვილებს და პოლიტიკურ თავშესაფარს აძლევდა ჩეჩენეთის მოკლული პრეზიდენტის ოკასს, ხოლო, ამავდროულად, ჩართული იყო ანტიტერორისტულ კამპანიაში აშშ-სთან ერთად.

აღნიშნული საკითხი კვლევის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი და საინტერესოა, ვინაიდან განვითარებულმა პროცესებმა საქართველო მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტორების ყურადღების ცენტრში მოაქცია და ტერორიზმთან მებრძოლი სახელმწიფოების მოკავშირე გახადა. ამასთან, ამ მოვლენებმა მეტნილად გავლენა მოახდინეს საქართველოს იმჟამინდელ შიდა პოლიტიკასა და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებზე. ტერორიზმის წი-

ნააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს მიერ შეტანილმა წვლილმა შექმნა დადებითი განზყობა დემოკრატიულ ქვეყნებში, რამაც უზრუნველყო საქართველოსა და დასავლეთის ურთიერთობების გა-უმჯობესება.

საკონფერენციო მოხსენების მიზანია, გამოიკვლიოს 2000-იანი წლების დასაწყისში პანკისში განვითარებული მოვლენების თა-ვისებურებები, განსაზღვროს სახელმწიფოს მიერ გატარებული ანტიტერორისტული ორნისძიებები, გააანალიზოს იმდროინდე-ლი საერთაშორისო წესრიგის როლი კრიზისის განვითარებაში და მიმდინარე პროცესების გავლენა საქართველოს საგარეო ურ-თიერთობებზე.

მოხსენების საკვლევ კითხვებს წარმოადგენს: რატომ და რო-გორ გაჩნდა ტერორიზმის ნიშნები პანკისში? რა ქმედებებით უპასუხა ხელისუფლებას პანკისის კრიზისს? რომელი საგარეო აქ-ტორების ინტერესი და ჩართულობა გამოიწვია განვითარებულმა მოვლენებმა? რა მნიშვნელობა ჰქონდა კრიზის საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებში?

თამარ რეხვიაშვილი აისელ ახმედოვა

სოციალური პრობლემათიკის ჭრილი შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში

შიო არაგვისპირელი XIX-XX სს-ის ერთ-ერთი გამორჩეული, მნიშვნელოვანი და საინტერესო ფიგურაა, რომელმაც პირველმა დაამკვიდრა პრობაული ჟანრის მცირე ფორმები, როგორებიცაა: ნოველა, ეტიუდი, ესკიზი. მის შემოქმედებაში ნათლად არის წარ-მოჩენილი ეროვნული და სოციალური საკითხები, გარდა ამისა, ის ეხება პატრიოტიზმისა და სიყვარულის თემას, მაგრამ ამჯე-რად ჩვენს ყურადღებას იძყრობს ნოველები, რომლებიც ეხმაუ-რებიან სოციალურ თემატიკას. ეს ნოველები კი გახლავთ: „ესაა ჩვენი ცხოვრება“ „ჩემი ბრალი არ არის ღმერთო“ და „ადე ჩამო-ვიდა“. სამივე ნოველა მნარე რეალობის გადმოცემას ემსახურე-ბა, გლეხების ცხოვრების უფრო სიღრმისეულად აღქმას და იმ

ნაკლოვანებების ჩვენთვის ჩვენებას, რომლებსაც შიო არაგვის-პირელი ხედავდა თავისი ცხოვრების განმავლობაში. პირველ რიგში, ყურადღებას გავამახვილებთ ნოველაზე „ესაა ჩვენი ცხოვრება“, რომელიც ერთ-ერთ უძველესად ივარაუდება და სათაურშივე ჩანს, თუ რისი წაკითხვა ელის მკითხველს. ავტორი ძირითადად ადამიანის გარშემო ტრიალებს, აღონებს და აწუხებს მათი ბედი, გლეხთა ჩაგვრა და იმ დროს არსებული სოციალური უთანასწორობა.

სხვა ნოველებშიც, კერძოდ, „ადე ჩამოვიდა“ და „ჩემი ბრალი არ არის ღმერთო“, ნათლად არის წარმოჩენილი უუფლებო, და-ჩაგრული გლეხთა მძიმე ყოფა, სოციალური უთანასწორობა, გაჭირვება, შიმშილი, კეთილისა და ბოროტის დაპირისპირება. შიო არაგვისპირელმა იცის, რამდენად რთულად აღმოსაფხვრელ პრობლემებს ეხება და დასაფასებელია ის, რომ იგი არ უშინდება ამ წაკითხებზე ღიად საუბარს.

ამრიგად, შიო არაგვისპირელის ნოველები და მოთხრობები გვაჩვენებს სოციალურ ფენათა უთანასწორობას, ჩაგრულ და უუფლებო გლეხთა ცხოვრებას, მათ ტრაგიკულ ისტორიასა და XIX-XX საუკუნის საზოგადო ყოფას.

მარიამ რობაქიძე

კასპარ დავით ფრიდრიხის „პეიზაჟის ტრაგედია“

ვიზუალურ ხელოვნებაში 2024 წელი დიდი გერმანელი რომანტიკოსი მხატვრის, კასპარ დავიდ ფრიდრიხის (1774-1840) წლად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მისი დაბადებიდან 250 წლის აღსანიშნავად არაერთი დიდი გამოფენა მოეწყო ბერლინის, ჰამბურგის, დრეზდენისა და სხვა გერმანული ქალაქების დიდ საგამოფენო სივრცეებში. ამავე დროს, ამ მოვლენის მნიშვნელობა გასცდა ევროპულ სახელოვნებო ორბიტას და 2025 წლის თებერვლიდან უკვე ამერიკელ ხელოვნების მოყვარულებსაც შეეძლება, სრული წარმოდგენა იქნიოს მხატვარსა და მის შემოქმედებაზე, რადგან მზადების პროცესშია მხატვრის ყველაზე დიდი რეტროსპექტული გამოფენა სახელწოდებით: „კასპარ დავიდ

ფრიდრიხი: ბუნების სული”, რომელიც ნიუ იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმში გაიხსნება. ამ გამოფენებმა კიდევ ერთხელ მისცა საშუალება მნახველს, უკვე თანამედროვეობის პერსპექტივიდან შეეფასებინა კასპარ დავიდ ფრიდრიხის როლი არა მხოლოდ რომანტიკული პეიზაჟური მხატვრობის განვითარების ისტორიაში, არამედ მისი შემოქმედების, როგორც ინსპირაციის წყაროს, მნიშვნელობა ცნობილი თანამედროვე მხატვრებისთვის, განსაკუთრებით კი დიდი თანამედროვე გერმანელი მხატვრის, გერჰარდ რიხტერის შემოქმედებისთვის.

მოხსენებაში განხილული იქნება როგორც მხატვრის ნამუშევრები, ასევე ის პოლიტიკური კონტექსტი, რომელმაც გამოიწვია XX საუკუნის პირველ ნახევარში კასპარ დავიდ ფრიდრიხის შემოქმედებისადმი საზოგადოების დისტანცირება და ის მიზეზები, რომელმაც გამოიწვია მხატვრის მზარდი პოპულარობა XXI საუკუნეში.

მარიამ სალუქვაძე ნინო ანანიძე

ქრისტიანული ფოქტრინა პოპულარული შესახებ და მისი ინტერპრეტაცია დანთა ალიგიერის „ღვთაებრივ კომედიაში“

ნაშრომის მიზანია დანტე ალიგიერის მიერ წარმოდგენილი ჭოჭოხეთის მხატვრული სახის განხილვა, რომელიც შექმნილია სრულიად მის წარმოსახვაზე დაყრდნობით. აღსანიშნავია, რომ დანტეს მიერ აღწერილმა ჭოჭოხეთის დამთრგუნველმა სურათმა საზოგადოების თვალთახედვის გაფართოებასაც შეუწყო ხელი ამ საკითხთან დაკავშირებით. თუმცა, როგორც ცნობილია, გარკვეული წარმოდგენა ჭოჭოხეთზე დანტემდეც არსებობდა.

ტრადიციული რწმენის მიხედვით, არსებობს სამოთხე და ჭოჭოხეთი, დანტე კი გამოყოფს ჭოჭოხეთს, სალხინებელსა და სამოთხეს. ქრისტიანული თვალსაზრისით, ჭოჭოხეთი არის ადგილი, სადაც არ სუფევს ღვთის მადლი, აქედან გამომდინარე, სიკეთეს მოკლებული ადამიანები შესაბამისად იტანკებიან, თუმცა

კონკრეტულად არ ვიცით, რა ფორმით ისჯებიან ცოდვილნი, რა-საც კიდევ ერთ განსხვავებამდე მივყავართ დანტეს მიერ წარ-მოდგენილ სურათთან, რომელიც დეტალურად აღწერს, ცოდვე-ბის სიძიმიდან გამომდინარე, სასჯელის ფორმებს.

მიუხედავად ამისა, დანტეს მიერ აღწერილი ჰოკოხეთისა და რელიგიური თვალსაზრისით აღქმულ ჰოკოხეთს შორის შეიძლება რაღაც მცირე, საერთო ფუნდამენტი, რაც ამ ორს აერთიანებს. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ, რეალურად, რა ხდება ჰო-კოხეთში, არავინ იცის. ადამიანების გონებაში არსებული ჰოკო-ხეთის სურათი ძირითადად რწმენასა და წარმოდგენის უნარს ეყ-რდნობა. არავის შეუძლია თქვას, რომ რაღაც ახალი მოვიგონეთ, არამედ ჩვენ მიერ წარმოდგენილი მსჯელობა, უბრალოდ, ფაქტე-ბის ახლებური დალაგებაა.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ წაშრომი ორიენტირებუ-ლია, გავიაზროთ დანტე ალიგიერის მიერ აღწერილი ჰოკოხეთი და იგი შევადაროთ ჰოკოხეთის იმ სურათს, რომელიც ქრისტია-ნულ რელიგიაში ჩამოყალიბებულია ტრადიციული მოცემულობე-ბიდან. ფაქტების ახლებური გააზრებით შესაძლოა, წათლად წარ-მოვაჩინოთ დანტე ალიგიერის წარმოსახვის შთაგონების წყარო, რომელიც ქრისტიანული დოქტრინით განისაზღვრება.

სალომე სამხარაძე

იერუსალიმის პვრის მონასტერი და მისი სიძველეები

შეა საუკუნეებში როგორც საქართველოში, ისე მის ფარ-გლებს გარეთაც არსებობდა ქართული კულტურისა და ლიტერა-ტურის კერები, რომლებიც დიდ როლს ასრულებდნენ ქვეყნის სამწიგნობრო საქმიანობის განმტკიცებაში. უცხოეთში არსებული მონასტრებისა და იქაური ქართველი მოღვაწეების წყალობით, საქართველოს საშუალება მიეცა, გასცნობოდა საეკლესიო თხზუ-ლებებსა და განათლებული ქვეყნების კულტურულ წამოღვანარს.

ქართული სავანეების წარმოშობას პალესტინაში ხელი შე-უწყო ქართული ეკლესიის აღმოსავლურმა წარმომავლობამ, ქრი-

სტიანობისა და ქრისტიანული მწერლობისადმი ინტერესმა, ბიბლიურმა ადილმდებარეობებმა.

პალესტინაში X საუკუნემდე არ არსებობდა იქ მოღვაწე ქართველთა ერთიანი ცენტრი, რომელიც განაპირობებდა მათ უფლებებს წმინდა მიწაზე და აგრეთვე წარმოაჩენდა წინაპართა ღვაწლს. სწორედ ამ მიზნით დაარსდა იერუსალიმის ჰართველთა მონასტერი. იგი XI საუკუნის 30-50-იან წლებში შავშელმა მოღვაწემ, გიორგი-პროხორემ დააარსა და ამით საფუძველი ჩაუყარა იქ მოსახლე ქართველთა მწიგნობრულ-შემოქმედებითი საქმიანობის გაღვივებას. სწორედ გიორგი-პროხორეს თაოსნობით იწყება თხზულებების გადაწერა და გამოჩენილ მოღვაწეთა „ცხოვრების“ კრებულების შედგენა.

გიორგი-პროხორეს მომდევნო ხანებში ჰარის მონასტერი ძველ დიდებას კარგავს, რაც განპირობებული იყო მაჰმადიანური სამყაროს სიახლოვითა და ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობების გაცხოველებით, რამაც გამოიწვია ქართველთა შემოქმედებითი საქმიანობის კერების გადანაცვლება ბიზანტიის ტერიტორიაზე. ერთგვარი გამოცოცხლება ჰარის მონასტრისა იყო დავით აღმაშენებლისა და მოგვიანებით თამარ მეფის ზეობის პერიოდი. ისინი დიდ მზრუნველობასა და ძლიერ პოლიტიკურ მხარდაჭერას ინარჩუნებდენ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც, რამაც დიდი პრივილეგიები მიანიჭა მუსლიმურ რკალში მყოფ ქართულ მონასტერს.

მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ჰარის მონასტრის შენარჩუნება დიდ სირთულეს წარმოადგენდა და 1273 წელს იგი მეჩეთადაც კი გადაკეთდა. აქედან მოყოლებული ეროვნული გრძნობით განმსჭვალული ქართველები მუდმივად ცდილობდნენ იერუსალიმის ქართული სიძველეების, ღირსებისა და სარწმუნოების დაცვას და მეტ-ნაკლები ძალით აგრძელებდნენ საგანმანათლებლო საქმიანობას. საბოლოოდ, ჰარის მონასტრის შენარჩუნება ვერ მოხერხდა, თუმცა მისი მემკვიდრეობა ქართული კულტურისა და ისტორიისათვის უაღრესად ფასეულია.

ნიკ სიარგი

ესტონური ფული მარკიდან და პრონიდან თანამედროვე ევროს მონეტებამდე

მოხსენებაში ვისაუბრებთ ესტონეთის ვალუტაზე – იმაზე, თუ როგორი ფული ტრიალებდა თანამედროვე ესტონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე სხვადასხვა საუკუნეში, როგორ შემოვიდა ესტონური მარკები, ესტონური კრონები და ევრო. გადავხედავთ, რა მონეტები და ბანკნოტები გამოუშვა ესტონეთმა და რა არის გამოსახული მათზე.

პირველი ფული დღევანდელი ესტონეთის ტერიტორიაზე, ალბათ, რომის იმპერიის მონეტები იყო: ისინი აქ გაჩნდნენ ჩვ. წ.-მდე II საუკუნეში. თუმცა, თავად ესტონეთის სახელმწიფოებრიობა გაცილებით გვიან გაჩნდა. XII საუკუნისთვის არსებობდა რიგი პროტოსახელმწიფოებრივი წარმონაქმნები და ქალაქი ტალი-ნი დაარსდა დაახლოებით 1154 წელს. 1206-1208 წლებში ეს მიწები დაიკურეს გერმანელმა ფაროსნებმა და მათზე დაარსდა ტერა მარიანას სამთავრო.

1219 წელს ესტონეთის ჩრდილოეთი სანაპირო დაიკურეს დანიელებმა და გაჩნდა დანიის ესტონეთი. დანიის მმართველობის დროს მონეტების მოქრა ტალინში დაიწყო.

1260 წლისთვის სამხრეთ ესტონეთი დაიკურეს ლივონის ორდენის (ხმლის ორდენი) ფაროსნებმა და გახდა ლივონის კონფედერაციის ნაწილი, რომელიც ასევე მოიცავდა ახლანდელი ლატვიის ზოგიერთ მიწებს. მათივე ლივონის ფულის გარდა, იქ ტრიალებდა მონეტები სხვადასხვა ჰანზეური ქალაქებიდან. მონეტებს ასევე ჭრიდნენ ეპიკონსები და რეგენტები ესტონეთის სხვა-დასხვა კუთხეში.

რეფორმაციის დროს დაიწყო დაპირისპირება კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის, რამაც გამოიწვია 1600-1629 წლების პოლონეთ-შვედეთის ომი და ლივონის კონფედერაციის დაყოფა პოლონეთ-ლიტვის კათოლიკურ თანამეგობრობასა და პროტესტანტ შვედეთს შორის. შედეგად, თანამედროვე ესტონეთის მთელი ტერიტორია გადავიდა შვედებზე, მათ შორის დანიის ყოფილ სამფლობელოებში.

ამ მიწებისთვის, ელიზაბეტ პეტროვნას დროს, 1756-1757 წლებში გამოიცა სპეციალური მონეტები 2, 4, 24, 48 და 96 კაპიკებით. 96 კაპიკს უწოდეს „ლივონეზი“, რაც პრუსიული ტალერის ანალოგია. მას თანდათან უნდა შეეცვალა ადგილობრივი ფულადი მიმოქცევის მთელი მრავალფეროვნება ჩვეულებრივი რუსულენოვანი მონეტებით, მაგრამ ეს იდეა ჩაიშალა. აյ უცხოური მონეტების მიმოქცევის მთლიანად შეჩერება მხოლოდ ნიკოლოზ I-ის დროს იყო შესაძლებელი 1846 წელს.

ნათია სიბაშვილი

ბედისა და ადამიანის დამოკიდებულება ჰომეროსის ეპოსისა და სოფოკლეს „ოიდიკოსის მეფის“ მიხედვით“

საკონფერენციო მოხსენებაში განხილული იქნება ბედის/ბედისწერის მნიშვნელობა ადამიანისთვის ანტიკურობის მიხედვით. კერძოდ, ვისაუბრებთ, თუ რა არის ბედისწერა, ნამდვილად არსებობს იგი თუ არა და რა მნიშვნელობა აქვს მას ჩვენს ცხოვრებაში.

ბედისწერა რელიგიურ-ფილოსოფიური ცნებაა, რომელსაც საფუძვლად უდევს რწმენა, რომ ადამიანზე ბრმა ძალები ბატონობენ. ანტიკურობის მიხედვით, მოირები იყვნენ ღვთაებები, რომლებიც თითქოს ბედის ძაფს ართავდნენ და გარკვეულ შემთხვევაში წყვეტდნენ მას. ადამიანთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ბედისწერა არ არის მნიშვნელოვანი და ადამიანები თვითონვე ქმნიან საკუთარ ბედს, თუმცა ანტიკური ნაწარმოებები საპირისპიროს გვიმტკიცებენ. ამ ნაშრომში ვრცლად განვიხილავთ ჰომეროსისა და სოფოკლეს პოემების მთავარ გმირებს და ბედისწერის მათთან კავშირს.

ჰომეროსის „ილიადა“ ტროას ციკლის ერთ-ერთი მთავარი ნაწარმოებია, რომელშიც ნათლადაა ასახული ბედისწერისა და ადამიანის ჭიდილი. ყველაფერი იწყება იმით, რომ ზევსი უარს იტყვის საყვარელ ქალზე (თეტისზე) და მას პელევსს მიათხოვებს. მათ ქორწილში ვაშლს შემოაგდებს განხეთქილების ქალ-

ღმერთი (ერისი) და სწორედ მაშინ ეყრება საფუძველი ტროას ომს. და რა არის ეს ყოველივე, თუ არა ბედისწერა? ასევე, რომ არა ბედისწერა, ალბათ, ბერძნებისთვის შეუძლებელი იქნებოდა ამ ბრძოლაში გამარჯვება და ტროის აუღებელი ქალაქის ხელში ჩაგდება.

საკონფერენციო მოხსენებაში ჩვენ ასევე განვიხილავთ პო-მეროსის მეორე პოემას „ოდისეას“ და მის მთავარ გმირს (ოდი-სევსს), რომლის ბედი ღმერთებს თავიდანვე განსაზღვრული პქონდათ. სწორედ ბედისწერამ შემოატარა ოდისევს უამრავი ქვეყანა, ბევრ განსაცდელს გააძლებინა და ბოლოს, სწორედ მან დააბრუნა თავის მშობლიურ ითაკაში.

როდესაც ბედისწერაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება, რომ არ ვახსენოთ სოფოკლეს ყველაზე მძიმე ტრაგედია „ოიდიპოს მეფე“, რომლის მთავარ გმირსაც ღმერთებმა თავიდანვე დაანათლეს ტრაგიკული ბედი და თავიდანვე განსაზღვრულს მისი შემდგომი ცხოვრება. ჰერ კიდევ მის დაბადებამდე იყო ჩაფიქრებული, რომ ის საკუთარ მამას მოკლავდა და დედას ცოლად შეირთავდა და, ყველაფრის მიუხედავად, წინასწარმეტყველება მაინც ასრულდა. ოიდიპოსი ბევრჯერ ეცადა ბედისწერისგან გაქცევას და მისგან თავის დაღწევას, თუმცა რამდენჯერაც მისგან შორს წასვლა დააპირა, იმდენჯერ უფრო მიუახლოვდა მას. ამრიგად, ბედისწერას-თან შეკამათება, მისი შეცვლა და მისგან თავის დაღწევა ყოვლად შეუძლებელია. სწორედ ზემოხსენებული თემების განხილვა და გააზრება იქნება ჩვენი საკონფერენციო ნაშრომის თემა.

თეკლა სიხარულიძე

ფერის სიმბოლიკა თურქულ ფრაზეოლოგიაში

ფერი მარადისობის დინამიკური სიმბოლიკაა, დროულ სივ-რცეში გამოხატული. სამყაროს აღქმის ეს ერთ-ერთი საშუალება ძველთაგანვე ბევრი მოაზროვნის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა. ფერთა სემანტიკა და სახელდება არაჩვეულებრივად ასახვს სხვადასხვა ხალხის კულტურულ ნორმებს, ღირებულებებსა და მსოფლმხედველობას.

ამ მხრივ, თურქული ენა და კულტურა გამოირჩევა მდიდარი და მრავალფეროვანი ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მარაგით, რომელშიც ფერებს განსაკუთრებული როლი ენიჭებათ.

თურქული ენის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მარაგი გვაჩვენებს, თუ როგორი ოსტატობით გამოიყენება ფერთა სიმბოლიკა ყოველდღიურ კომუნიკაციასა და ლიტერატურაში. იგი კარგად ასახავს თურქეთის ისტორიულ, კულტურულ და რელიგიურ კონტექსტებს, ხოლო მათი შესწავლა გვეხმარება თურქული კულტურის უკეთ გაცნობასა და გაგებაში. თურქულ კულტურაში ფერების გამოყენება და მათი სიმბოლიკა მრავალფეროვანია, რაც მიუთითებს ამ ქვეყნის მდიდარ ისტორიასა და კულტურაზე.

სიმბოლიკა, რომელიც წარმოდგენილია თურქულ ფრაზეოლოგიზმებში, არ არის მხოლოდ ისტორიულ-კულტურული ფაქტორების შედეგი და ფერების გამოყენება არ შემოიფარგლება მხოლოდ ვიზუალური ასპექტებით, მასზე მოქმედებს ასევე რელიგიური და სოციალური ფაქტორებიც. რელიგიურ კონტექსტებში ისინი სიმბოლურ დატვირთვას ატარებდნენ. როდესაც ფერების სიმბოლიკას განვიხილავთ თურქული კულტურის მაგალითზე, აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ფერთა სიმბოლიკა ყურანში, რადგან ის უდიდეს გავლენას ახდენს თურქულ ენასა და კულტურაზე. ყურანში ფერების სიმბოლიკის გამოყენება აადვილებს შეგონებების გადმოცემასა და განმარტებას. მაგალითად, ლურჯი ფერი აღნიშნავს სულიერ სიწმინდესა და ღვთიურ ძალას, წითელი – განსკას, ყვითელი კი – სიხარულსა და სინათლეს. ფრაზეოლოგიზმები წათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ მოქმედებს კულტურა ფერთა აღქმასა და გამოყენებაზე. თანამედროვე თურქულ საზოგადოებაში სიმბოლური დატვირთვით ფერები დღესაც აქტიურად გამოიყენება, რადგან ის ასახავს როგორც ტრადიციულ, ასევე თანამედროვე ღირებულებებსა და ნორმებს.

თემურ სიხარულიძე

ბიზანტიის ქრისტიანული გეოპოლიტიკის ჩამოყალიბება

ქრისტიანობის გავრცელებამ გარდამტეხი როლი იქონია ბიზანტიის იმპერიის საგარეო პოლიტიკაზე. ეს კარგად ჩანს კონსტანტინე დიდისა და მისი მემკვიდრეების დროსაც. მაგალითად, კონსტანტინე თავად სწერს სასანიანთა იმპერატორ შაბურ II-ს, რომ იგი არა მარტო იმპერიის შიგნით არის ქრისტიანების დამცველი, არამედ მის გარეთაც. ამავე პოლიტიკას ემსახურება სამარტებებები მოპოვებული გამარტვების შემდეგ გაფორმებული ხელშეკრულებები, სადაც ცალკე თავებად იყო შეტანილი ქრისტიანებისა და მათი რელიგიის ხელშეუხებლობა.

მოხსენებაში ვისაუბრებთ ქრისტიანულ პოლიტიკაზე, რომელსაც ბიზანტიის იმპერია მეზობელი სახელმწიფოების მიმართ ატარებდა. განსაკუთრებით საყურადღებოა გუთი ვულფილა და გუთების მიმართ ბიზანტიის პოლიტიკა, თუ რა მიზანს ემსახურება ქრისტიანობის გავრცელება იმპერიისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში. ასევე, საინტერესოა, რით არის დაკავშირებული ქრისტიანული რელიგია სახელმწიფოს საზღვრების დაცვასთან და რა სახის პოლიტიკა ჰქონდა აღმოსავლეთ რომის იმპერიას არა მხოლოდ დიოფიზიტებთან, არამედ – მონოფიზიტებთანაც. საინტერესოა ის გარემოება, რომ ბიზანტია ეთიომიასთან, სომხეთთან, საქართველოსთან, გუთებთან და არაბულ ტომებთან ერთი და იმავე ტიპის რელიგიურ პოლიტიკას აწარმოებს. აღმ. რომის იმპერია ყოველთვის ქრისტიანული რწმენის მთავარი მხარდამჭერია აღნიშნულ ქვეყნებში და როგორც ფინანსურ, ისე სამხედრო დახმარებაზეც არ იხევს უკან. სწორედ ჩამოთვლილი და სხვა მრავალი მიზეზი გვიბიძგებს, ბიზანტიის პოლიტიკის ეს ნაწილიც შევისწავლოთ.

ნათია სურმანიძე

მიგრანტთა აქტივიზმის ვექტორებისა და საქართველოში

მიგრაციების საკითხი დაკავშირებულია ადაპტაციის, მიმღებლობის, კომუნიკაციის პრობლემებთან. საქართველოში ბოლო წლებში გაზრდილია მიგრანტთა რიცხვი. რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებისთანავე, საქართველოში გაჩნდა უკრაინელების, ბელორუსებისა და რუსების ჯგუფები. მათი მიგრაციის მიზეზები განსხვავებულია. შესაბამისად, მომავლის სხვადასხვანაირი ხედვა გააჩნიათ. გერმანიის აკადემიური გაცვლის პროგრამის ფარგლებში მონაწილეობა მივიღე პროექტში, რომლის მიზანიც იყო ანთროპოლოგიური მეთოდოლოგიის სიღრმისეული შესწავლა. ამ პროექტის ფარგლებში, ქართველ, სომებ, აზერბაიჯანელ და გერმანელ სტუდენტებთან ერთად ვმუშაობდით თემაზე – „ომის შედეგად დაზარალებულ მიგრანტთა აქტივიზმი საქართველოში“. საკითხი აქტუალურია იმის გასაანალიზებლად, თუ რა განსხვავებები არსებობს ეთნოკულუტურული კუთვნილების მიხედვით.

მოხსენებაში განხილულია რუს, უკრაინელ, ბელარუს და ქართველ აქტივისტთა საქმიანობის რამდენიმე მიმართულება. კვლევის მიზანი იყო, დაგვეფენინა, თუ რამდენად შესაძლებელია განსხვავებული ჯგუფების თანამშრომლობა მაშინ, როდესაც განმასხვავებელ ნიშნებთან ერთად ყველას აქვს საერთო მახასიათებელი – ყველა არის რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად დაზარალებული.

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ ეთნოლოგიური კვლევის მეთოდები, ინტერვიურების მეთოდი (ნახევრად სტრუქტურებული ინტერვიუ, სიღრმისეული ინტერვიუ).

კვლევის შედეგად დადგინდა, თუ როგორია ომის შედეგად დაზარალებულ მიგრანტთა აქტივიზმი, რაც გამოიხატა ჰუმანიტარული, მორალური და პოლიტიკური კუთხით. აგრეთვე, საქართველოში როგორ თანამშრომლობენ უკრაინელი, რუსი, ბელარუსი და ქართველი აქტივისტები, რომლებსაც ჩამოყალიბებული აქვთ ორგანიზაციები, რომლებიც ოფიციალური ხასიათისაა. საკითხი შემდგომ კვლევასა და ანალიზს საჭიროებს.

კონსტანტინ სოროკინი

იესე ფალავანდიშვილის მოგონებები პუშკინის საქართველოში ვიზიტის შესახებ

მოხსენებაში განხილულია თავად იესე ფალავანდიშვილის შესახებ და საქართველოში რუსი პოეტის, ალექსანდრე პუშკინის, ყოფნის თაობაზე მისი მოგონებები. კვლევის მეცნიერული სიახლე განპირობებულია ბიოგრაფიული ფაქტების არსებობით, რომელ-ბიც ადრე არ იყო შესწავლილი და სამეცნიერო წრეების განსაკის საგანი.

თავადი იასე ფალავანდიშვილი დაიბადა მე-19 საუკუნის და-საწყისში კეთილშობილ ქართულ ოჯახში, რამაც საშუალება მისცა, გამხდარიყო თბილისის არისტოკრატული ცხოვრების მონაწილე. იმდროინდელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქარ-თველოში რუსი პოეტის – ალექსანდრე პუშკინის ჩამოსვლა, რომ-ლის პატივსაცემად კავკასიაში გუბერნატორმა პასკევიჩმა მოაწყო მიღება. მას ესწრებოდა ფალავანდიშვილიც. 1831 წელს ქართ-ველი თავადაზნაურობის შეთქმულებაში მონაწილეობისთვის ფა-ლავანდიშვილი საქართველოდან გააძევეს და რამდენიმე წლის შემდეგ რუსეთში, არხანგელსკის პროვინციაში მეტყევე გახდა. იქ რუსმა მოგზაურმა და შურნალისტმა მაქსიმოვმა ჩაწერა თავადის მემუარები, რომლებიც მოგვიანებით გამოიცა პეტერბურგში სა-თაურით „პეტორის თავადი“. ეს მასალები, პრაქტიკულად, არ შე-უსწავლიათ პუშკინის თემით დაინტერესებულ მეცნიერებს, რის გამოც იკარგება 1829 წელს პუშკინის კავკასიაში ყოფნის ყოვ-ლისმომცველი დეტალები, მათ შორის ტფილისის იმ ადგილების აღწერა, რომლებიც მან მოინახულა და როგორ იქცეოდა ადგი-ლობრივ მოსახლეობასთან. კვლევის ფაქტობრივ მასალას წარ-მოადგენს 1887 წლის დეკემბერში გამოცემული „რუსუ-ლი აზროვნება“ და საქართველოს ეროვნული არქივის დოკუ-მენტები.

**მარიამ ტეფნაძე
მარიამ არუთინოვი**

**ორმხრივი დამოკიდებულება: სომხები, მუსლიმები
და ქართველები სასწავლო დაწესებულებებში**

მოხსენებაში ვისაუბრებთ სოციალიზაციის პროცესსა და მის შედეგებზე სხვადასხვა კულტურაში; სხვადასხვა ეთნიკური კულტურის წარმომადგენლების სოციალიზაციის პროცესზე საქართველოში; ქართველების დამოკიდებულებაზე სხვა ეთნიკური კულტურის წარმომადგენლების მიმართ; სხვადასხვა ეთნიკური კულტურის წარმომადგენლების ენის ბარიერზე, განსხვავებულ მსოფლმხედველობაზე, რელიგიაზე, ნორმებსა და წარმოდგენებზე. ქართველების მოსაზრებაზე ეთნიკურად განსხვავებული ადამიანების ცხოვრებასა და საქმიანობასთან დაკავშირებით; მათ სირთვეებზე განათლების პროცესში.

როგორც ცნობილია, სოციალიზაციის პროცესის შედეგად ყალიბდება იდენტობა. ჩვენთვის საინტერესოა, რამდენად რთულია იდენტობის ჩამოყალიბება სხვადასხვა ეთნიკური კულტურის წარმომადგენლებისთვის.

ნათია ტურაშვილი

„უბატონო ქვეყანა“

საქართველოს ისტორია მრავალფეროვანია და ამას ის განაპირობებს, რომ ყველა კუთხე-კუნძული უნიკალური და მნიშვნელოვანია. მოხსენება დაფუძნებულია არქეოლოგი ვაჟა ვარაზაშვილის კვლევაზე, რომელმაც დეტალურად აღწერა ჭიმითის ისტორია და თავის ნაშრომში გადმოგვცა. ჭიმითი პატარა სოფელია გარე კახეთში, ჰერეთის (ცივ-გომბორის) ქედის სამხრეთ ფერდობზე. იგი ორ ხეობას შორისაა მოქცეული, სოფელი ჭერმისგან დაშორებულია რამდენიმე კილომეტრით. ჭიმითის ღირსშესანიშნაობებში რამდენიმე ეკლესიაა, რომელსაც გვიან შუასაუკუნეებს მიაკუთვნე-

ბენ. ასევე ამ ტერიტორიაზე გვხვდება გვიან ბრინჯაოს ხანის ნა-
მოსახლარები. აღმოჩენილია ყორდანები, მოსახლეობამ ამ ტერი-
ტორიაზე იპოვა გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ქვაყუ-
თები, წინა ქრისტიანული პერიოდის სასანიდური გემმა, რამაც სა-
მარხი ახ. წ. II-III საუკუნით დაათარიღა. დღემდე სოფელში მოსახ-
ლეობა პოულობს სხვადასხვა არქეოლოგიურ ნიმუშს. სოფელი
მდიდარია ბრინჯაოს ეპოქის არქეოლოგიური ძეგლებით.

ჰიმითის ყველაზე ძველი ნამოსახლარი ძვ. წ. IV ათასწლე-
ულს განეკუთვნება. ხშირად სოფელს მოიხსენიებდნენ „უბატონო
ქვეყნის“ სახელითაც, რადგან დიდი ხნის მანძილზე თავადი არ
ჰყავდა. რა თქმა უნდა, ამას თავისი მიზეზი აქვს, რასაც მოხსენე-
ბაში წარმოვადგენ. ასევე ვისაუბრებ ლეგენდების შესახებ, რომ-
ლებიც სოფელ ჰიმითს უკავშირდება. ვფიქრობ, საქართველოს
ისტორიული სოფლების ისტორიის გაცნობა საზოგადოებისთვის
უფრო გაამრავალფეროვნებს საქართვლოს ისტორიას და კულტუ-
რას, აგრეთვე, გაზრდის ცნობადობას.

ინა ტყეშელაშვილი ანი ჭილვარია

ორი „ეროვნული პოეტი“ – ილია ჭავჭავაძე, შანდორ პეტეფი პოეტისა და პოეზიის დანიშნულებაზე

უნგრულ და ქართულ კულტურათა შორის დამაკავშირებელ
ხიდად ორ ეროვნულ პოეტს – ილია ჭავჭავაძესა და შანდორ პე-
ტეფის ვთვლით, რადგან ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ მათ
ერთი მნიშვნელოვანი რამ, ეროვნული სულისკვეთება აერთია-
ნებთ, სამშობლოს სიყვარული, პოლიტიკურ საკითხებში ლიდე-
რობა, თავგანწირვა და გარდაცვალება სამშობლოს გამო. მათი
ნაწარმოებები არა მხოლოდ ლიტერატურული ღირებულება, არა-
მედ ეროვნული ბრძოლის სიმბოლოა, რომელიც მიმართულია
დამოუკიდებლობისა და კულტურული სიძლიერისაკენ. ილია ჭა-
ვჭავაძე XIX საუკუნის დიდი ქართველი მწერალი და ეროვნული
მოძრაობის ლიდერი იყო ეროვნულ-განმანთავისუფლებელი
იდეებით. ის აქტიურად იღებდა სტუდენტთა გამოსვლებში მონა-

წილეობას ისე, როგორც შანდორ პეტეფი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა 1848 წლის რევოლუციაში და თავისი ლექსებით გამოხატავდა უნგრეთის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვას. საინტერესოა, ემთხვევა თუ არა მათი აზრი პოეტებისა და პოეზიის დანიშნულების საკითხზე, რადგან ორივე იყენებდა პოეზიას იმისათვის, რომ ყოფილიყვნენ სამშობლოსთვის გარემოების საყვირნი. ნაშრომში ილია ჭავჭავაძის ლექსები „პოეტი“ და „ჩემო კალამო“ შევადარეთ შანდორ პეტეფის ლექსს „XIX საუკუნის პოეტებს“ და დავადგინეთ, ემთხვეოდა თუ არა მათი მოსაზრება ერთმანეთს. ნაშრომი ასევე მიზნად ისახავს პოეზიის, როგორც კულტურული ფენომენის ღირებულების აღიარებას და იმ ფაქტის ხაზგასმას, რომ ილია ჭავჭავაძისა და შანდორ პეტეფის შემოქმედება სამუდამოდ დარჩება ეროვნული კულტურის მნიშვნელოვან ნაწილად, რომელიც ნაყოფიერი მსჯელობის საგანი იქნება მომავალ თაობებში.

ანამარია ფანგანი

სათემო ტრადიციების როლი ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაში: სვანეთის მაგალითი

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის სხვადასხვა ფორმით განვითარებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია, რომელიც უძველესი დროიდან არსებობდა. განსაკუთრებით საინტერესოა მისი განვითარების ეტაპები მთიან და უმეტესად იზოლირებულ რეგიონებში, სადაც კულტურული და ტრადიციელი მახასიათებლები ხშირად დომინირებენ ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ სტრუქტურებზე. ყურადსაღები და მრავალმხრივი საკითხია, თუ როგორ ახდენს თემური ტრადიციები გავლენას სვანეთის ადგილობრივ თითმმართველობაზე. ამის კვლევა საშუალებას გვაძლევს, სიღრისეულად შევისწავლოთ რეგიონალური პოლიტიკის თავისებურებებთან ერთად, პოლიტიკური ორგანიზაციებისა და უნიკალური სვანური კულტურული მემკვიდ-

რეობის კავშირი. სვანეთის მაგალითით ავხსნი, რომ თემურ ტრადიციებზე განვითარებული თვითმმართველობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პოლიტიკური რეალობისთვის, არამედ რეგიონის კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

საკვლევი ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, კვლევის პროცესში გამოვიყენე თვისებრივი კვლევის მეთოდები, რათა დეტალურად შემესწავლა საკითხი, თემის არსი და ღირებულება. სახელმწიფოსა და თემური ტრადიციების ურთიერთმიმართების კვლევისას გამოვიყენებ აწ უკვე არსებულ წყაროებსა და ჩატარებულ გამოკითხვებს, რის შედეგადაც პირველ ეტაპზე მოხდება სვანეთის ეთნოგრაფიული და ისტორიული ანალიზი, რათა უკეთ დავინახოთ ტრადიციების მნიშვნელობა რეგიონში, ხოლო მეორე ეტაპზე – აღვწერე თანამედროვე ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირება და ბოლოს, ამ პროცესში ინტეგრირებული თემური ტრადიციების ანალიზი.

კვლევამ აჩვენა, რომ სვანეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება ტრადიციებს. აღმოჩნდა, რომ ადგილობრივ თვითმმართველობაზე თემურ ტრადიციებს დიდი გავლენა აქვს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივების იდენტობის, თვითშეგნებისა და ერთიანობის ჩამოყალიბებაში. არსებული პრობლემები კი აფერხებს ამ ორი სუბიექტის ჰარმონიულ ფუნქციონირებას. აუცილებელია, თვითმმართველობის სისტემაში ინტეგრირდეს თემური ტრადიციები, ამ პროცესით დავიცავთ როგორც ტრადიციებს, ისე მმართველობის სისტემის ეფექტუანობას, გამჭვირვალობას და მოსახლეობის ჩართულობის ზრდას. კომპრომისული მოდელის შექმნით არ დაზარალდება არცერთი მხარე, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რეგიონის განვითარებას და ტრადიციული ღირებულებების თვითმმართველობის სისტემაში გამყარებას.

ელენე ფანჩულიძე სალომე სულაკაური

წარუმატებელი არჩევნების მნიშვნელობა დემოკრატიული განვითარებისათვის: 1993 წლის ნიგერიის არჩევნების ანალიზი

არჩევნები მნიშვნელოვან როლს ასრულებს წარმომადგენ-ლობითი დემოკრატიის სისტემაში. ამის თვალსაჩინო მაგალი-თია ნიგერია. 1964, 1979 და 1983 წლებში ჩატარებულმა არჩევნებ-მა აჩვენა, რომ ქვეყანამ ვერ შეძლო ისეთი ნდობით აღჭურვილი არჩევნების ჩატარება, რომელიც მას დემოკრატიზაციის გზის მა-ღალ საფეხურზე დააყენებდა. შესაბამისად, ნიგერიაში მომდევ-ნო არჩევნებსაც აკლდა დემოკრატიული საარჩევნო პროცესე-ბისთვის აუცილებელი კომპონენტები. თუმცა, 1993 წლის 12 ივნი-სის საპრეზიდენტო არჩევნები ისტორიული მომენტი იყო ქვეყ-ნის ისტორიაში. ეს არჩევნები შეფასდა, როგორც ყველაზე მშვი-დობიანი და თავისუფალი არჩევნები ნიგერიის დამოუკიდებლო-ბის გამოცხადების შემდგომ მის პოლიტიკურ ისტორიაში. არჩევ-ნების შედეგები არ გასაჭაროვდა სამხედრო მთავრობის მიერ. ყველა ადგილობრივი ძალისხმევა, რომელიც მიზნად ისახავდა დემოკრატიულ არჩევნებში გამარტვებული კანდიდატის, მ. კ. ო. აბიოლას საპრეზიდენტო ოფისში შეყვანას, აღმოჩნდა წარუმატე-ბული. 1993 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ასახავს იმ ინდივი-დების, სამოქალაქო საზოგადოების და არასამთავრობო ორგანი-ზაციების, ოპოზიციური პარტიებისა და უცხოური ქვეყნების მნიშ-ვნელოვან როლებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ ავტორიტარუ-ლი რეჟიმის დამთავრებას ნიგერიაში. ნაშრომში აღნერილია, რა-ტომ იყო 1993 წლის 12 ივნისის საპრეზიდენტო არჩევნები განსა-კუთრებულად მნიშვნელოვანი. ნაშრომში გამოყოფილია სამი აშ-კარა მიზეზი: პირველ რიგში, არჩევნებმა ნიგერიას შესაძლებ-ლობა მისცა, დაახლოებულიყო გლობალური დემოკრატიის ნორ-მებთან. მეორე რიგში, ნიგერია გახდა სხვა აფრიკული ქვეყნები-სათვის სტიმული დემოკრატიულ რეჟიმზე დაბრუნებისთვის. მე-სამეც, ნიგერიელებს გააზრებული ჰქონდათ, რომ არ მიიღებდნენ

რომელიმე მთავრობას, რომელიც ძალადობრივი გადატრიალებით მოვიდოდა ხელისუფლებაში.

აღნიშნული საკითხის კვლევისთვის გამოვიყენეთ ისეთი თვისებრივი კვლევის მეთოდები, როგორებიცაა მეორეული ლიტერატურული წყაროების ანალიზი, ექსპერტული ინტერვიუ და კონტენტანალიზი. ძირითადი საკვლევი კითხვები ჩამოვაყალიბეთ შემდეგნაირად: რა ფაქტორებმა იქონია გავლენა 1993 წლის ნიგერის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგზე და რა გავლენა შეიძლება მოახდინოს საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ინსტიტუტებმა და სამოქალაქო საზოგადოებებმა ავტორიტარული რეჟიმის შეცვლის პროცესში.

ანა ფაფიაშვილი მარიამ მახათაძე

რეჩ-პოსპოლიტა და მისი როლი თანამედროვე ევროპაშირის ფორმირებაში

პოლონეთისა და ლიეტუის თანამეგობრობა, ცნობილი, როგორც „რეჩ-პოსპოლიტა“, XV-XVIII საუკუნის ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო იყო, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1569 წელს გაფორმებული ლიუბლინის უნიით. ის, რაც ამ კავშირს ყურადსალებსა და საინტერესოს ხდის, იყო მისი პოლიტიკური მოწყობა და მულტიკულტურული შემადგენლობა. რეჩ-პოსპოლიტაში ერთმანეთს ერწყმოდა მონარქიის, დემოკრატიისა და არისტოკრატიის ელემენტები: სახელმწიფოს მართავდა წარჩინებულთა მიერ არჩევნებით დანიშნული მეფე ძლიერ პარლამენტთან – სეიმთან ერთად. გარდა ამისა, სამეფო ძალაუფლების უზრპაციისგან წარჩინებულებს იცავდა ე. წ. „ოქროს თავისუფლება“, რომელიც მათ ანიჭებდა აღმსარებლობის თავისუფლებისა და კანონზე ვეტოს უფლებას. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მიუხედავად „გაზიარებული“ მთავრობისა, პოლონეთი და ლიეტუა რიგ საკითხებში სუვერენიტეტს ინარჩუნებდნენ, კერძოდ, პქონდათ ცალკე ხაზინა, შეიარაღებული ძალები, განსხვავებული ლეგალური და ადმინისტრაციული სისტემები. საგულისხმოა ეთნოკულტუ-

რული განსხვავებულობა და რელიგიური ტოლერანტობაც: თუმცადა ფართო საზღვრებზე გადაჭიმული კავშირის ტერიტორიაზე მოსახლეობდნენ როგორც პოლონელები, ლიეტუელები, ისე გერმანელები, სომხები, ებრაელები და სხვანი. 1573 წლის ვარშავის კონფედერაციით გარანტირებული იყო ყველა მათგანის რელიგიური თავისუფლება, რაც შესაძლებელს ხდიდა კათოლიკების, პროტესტანტების, მართლმადიდებელი ქრისტიანებისა თუ მუსულმანების მშვიდობიან თანაცხოვრებას.

კოლექტიური მმართველობა, ეთნოკულტურული და რელიგიური განსხვავებულობისადმი მიმღებლობა და თანაარსებობა და გაზიარებული სუვერენიტეტი ცენტრალური იდეებია ევროკავშირისათვისაც. პოლონეთისა და ლიეტუის თანამეგობრობის მემკვიდრეობა გავლენას ახდენს თანამედროვე ევროპულ ინტეგრაციასა და ევროკავშირის ფუნდამენტურ პრინციპებზე. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ რეჩ-პოსპოლიტა თავისი პროგრესული და დროის წინმსწრები პოლიტიკური სისტემით, თანასწორობისადმი ერთგულებითა და მოწინავე საკანონმდებლო ბაზით იყო ევროკავშირში გამოხატული მრავალი პრინციპის ისტორიული წინამორბედი. ჩვენი მოხსენება მიზნად ისახავს სწორედ ზემოაღნიშნულის ვალიდური არგუმენტებითა და ისტორიულ-პოლიტიკური ფაქტებით გამყარება-დადასტურებას.

თამარ ფაცურია

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ფრაზის ენობრივი ანალიზი

შოთა რუსთაველის გენიალურობა მისი პოეტური ენითაცაა განპირობებული. მოხსენების ფარგლებში საანალიზოდ შერჩეული ფრაზაა: „სიმძიმილთა ერდო დახაშ, სიყვარულის კარი აღი“. თავისებურებას ქმნის სახელური და ზმნური ანტონიმური წყვილები: სიმძიმიღი – სიყვაჟუღი; ერდო – კაჩი; დახაშ – აღი.

„სიმძიმილი“ იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ ავტორისეული ლექსემაა და „სევდას, მწეხარებას“ წიწნავს, შესაბამისად, უპირისპირდება სიყვაჟუღს. საინტერესო კონტექსტს ქმნის ეხეო და კაჩი.

„ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემაში განმარტებულია: „გლო-ვის ნიშნად ოჭახის კარს კეტავენ და ერდოს ხსნიან; ხოლო სიხა-რულის ნიშნად – პირიქით“ (ნ. უთურგაიძე). ამ მონაცემების ინ-ტერპრეტაცია სხვანაირადაც შეიძლება: ფრაზაში ერდოდან შემო-სული წესილი მრავლობით რიცხვშია („სიმძიმილთა“). ეს ბუნებრი-ვად გვაგონებს ზღაპრებსა და თქმულებებში ერდოდან/საკვამუ-რიდან დაუპატიჟებელი სტუმრის – ავსულებისა და კადოქრების მოსვლას; სასურველი სტუმრებისთვის კი კარი ყოველთვის ღიაა.

ზმნური ფორმები ღახაშ – აღი წარმოაჩენს ბინარულ ოპოზი-ციას მომენტობრივ და განგრძობით მოქმედებებს შორის აორის-ტისა და II ხოლმეობითის მიხედვით.

ნათია ფერაძე

ბაგრატ IV-ისა და ლიკარიტ ბალვაშის დაპირისპირება საქართველოს გაერთიანების გზაზე

საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეფე იყო ბაგრატ IV (1027-1072), რომელმაც მძიმე ვითარების მიუხედა-ვად, შეძლო ქვეყნის მომავლის უკათესობისკენ შეცვლა.

XI საუკუნე მძიმე და რთული პერიოდია საქართველოსთვის, დაიწყო თურქთა დამანგრეველი შემოსევები, მდგომარეობას ამ-ძაფრებდა ფეოდალური არისტოკრატიის თვითნებობა, წინააღ-მდეგობას უწევდნენ მეფეს, საქართველოს გაერთიანების გზაზე გასაქანს არ აძლევდნენ.

ჩვენი მიზანია, წარმოვაჩინოთ ფეოდალისა და მეფის დაპი-რისპირების მიზეზები, აგრეთვე, ბაგრატის პოლიტიკა წინააღ-მდეგობების დასაძლევად.

განსაკუთრებული წინააღმდეგობით გამოირჩეოდა კლდეკა-რის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში, რომელიც ერთ-ერთი გავლენი-ანი ფიგურა იყო, მის ინტერესებში შედიოდა ერთპიროვნული მმართველობა, მეფის ხელისუფლების შესუსტება და საკუთარი სამფლობელოს ტერიტორიული ზრდა, ამ მიზნით ბაღვაში მეფის ხელისუფლებას აღარ ემორჩილებოდა და დამოკიდებლობი-სათვის მის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლასაც არ ერიდებოდა.

კარგად ჩანს, დაპირისპირების მიზეზი მეფესა და ფეოდალს შორის ლიპარიტის მისწრაფებაა ძალაუფლებისაკენ.

ბაღვაშის თვითნებობამ, ბუნებრივია, ბაგრატის ძირითად გეგმას, ქვეყნის გაერთიანებას მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი.

საინტერესოა ბაგრატის პოლიტიკა ბაღვაშის წინააღმდეგ, ცხადია, საჭირო იყო სტრატეგიული ნაბიჯების გადადგმა და მეფის ხელისუფლების განმტკიცება.

ბაგრატი ძლიერი მმართველი იყო, გამოირჩეოდა, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკით, ქვეყნის სასიკეთოდ დათმობებზე წასვლა მოუწია, სამეფოს დატოვებაც კი. ლიპარიტი, როგორც მოსალოდნელი იყო, შექმნილი ვითარებით სარგებლობდა და გარკვეული დროით ქვეყნის ფაქტობრივ მმართველადაც იქცა. ბაგრატის თავდაპირველი დათმობანი გამოიწვია იმან, რომ ლიპარიტს ზურგს უმაგრებდა ბიზანტია, რომელთა ინტერესებში ქვეყნის შიდა არეულობა და დაძაბულობა შედიოდა, რადგან ეს გაერთიანების საკითხს აფერხებდა, ამიტომ მეფე აცნობიერებდა ლიპარიტის ძალასა და გავლენას.

რა თქმა უნდა, დაპირისპირებამ გავლენა იქონია ქვეყნის ერთიანობაზე. ამ პერიოდში თბილისი ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში არ შედიოდა, ამიტომ თბილისის გათავისუფლების საქმე ბაღვაშის დაწყებულმა ბრძოლამაც გაართულა, რომელიც 20 წელი გაგრძელდა და ბაგრატ მეფის გამარჯვებით დასრულდა.

ლიზა ქავთარაძე რუსუდან სულუაშვილი

სიტყვაწარმოება მიღორგი ლეონიძის შემოქმედებაში (მორფოლოგიურ-სემანტიკური ანალიზი)

სიტყვაწარმოება ენის ერთ-ერთი ყველაზე მოქნილი და ცვალებადი ნაწილია. როგორც ცნობილია, იგი ახალი ნომინაციური ერთეულების წარმოქმნის საშუალებაა, რომელიც ხორციელდება ენის ნომინაციური პოტენციალის საფუძველზე.

ჩვენი მოხსენების მიზანია დერვაციისა და კომპოზიციის პრობლემის განხილვა გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში („ნატ-

ვრის ხისა“ და პოეზიის მონაცემების ფარგლებში), ვინაიდან, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში ვკითხულობთ, „მხატვრული ნაწარმოების ლექსიკას სწავლობენ არა მარტო ლიტერატურათ-მცოდნები, არამედ ლინგვისტებიც, რომლებიც იკვლევენ ენის დერივაციული საშუალებების შემოქმედებითად გამოყენების უნარს, მწერლის ლექსიკის მიმართებას საყოველთაოდ გავრცელებულ, ყოველდღიურ სიტყვებთან. ავტორისეული სიტყვაქმნადობა შემოქმედებითი პროცესის განუყოფელი ნაწილია და ავლენს ენის შინაგან ბუნებას, მის პოტენციას“ (ზექალაშვილი, კიპაძე, 2015).

როგორც ცნობილია, გიორგი ლეონიძე სიტყვაქმნადობის თვალსაზრისითაც გამორჩეული მწერალია. მის შემოქმედებაში მრავლად დასტურდება სიტყვანარმოების ნიმუშები, სადაც მწერალი ძირითადად იყენებს აფიქსაციის ჩვეულებრივ ინვენტარს, ასევე ცნობილ თუ ნაწილობრივ მივიწყებულ ლექსემებს, მათი შეერთებით გვთავაზობს დერივატუსა თუ კომპოზიტს, რომლის მოდელი თითქოს არაფრით გამოირჩევა ტრადიციული სიტყვანარმოების თვალსაზრისით, თუმცა მკითხველი ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ ექცევა იმ სემანტიკური მიმართების გამო, რომლითაც ეს ლექსემებია გაერთიანებული.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ წარმოქმნის სხვადასხვა სახეა ცნობილი: აფიქსაცია, კომპოზიცია, რედუბლიკაცია და სხვ., რომელთაგან ყველაზე გაბატონებულია აფიქსაცია და კომპოზიცია (თოფურია 1979:103).

გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში გვხვდება წარმოქმნილ სახელთა თითქმის ყველა ტაგეფი: კნინობითი, ქონების (ენაკეცია, პერანგა..., მერცხლიანი, ცხენოსანი...), უქონლობის (უარსებო, უსიყვარულო...), აბსტრაქტული (მზისობა, პოეტობა...), წარმომავლობის (ცეცხლური...), ნინა ვითარების (ნაეზოვარი, ნაკედლარი...), დანიშნულების (საშუალე, საცოლქმარო...), რომელთა უმრავლესობა ოკბიურად შეიძლება ჩაითვალოს.

ყველა წესის დაცვით, მაგრამ მოულოდნელ ფუძეთა შეერთებით ხდება შთამბეჭდავი ლეონიძისეული კომპოზიტებიც, რომელთა შორის მრავლადაც არა მხოლოდ ორკომპონენტიანი (ბრონეულყვავილი, სახემტკბარი...), არამედ სამი ფუძის შეერთებით მიღებული რთული სახელებიც (თვალგულგავარდნილი, ალმასშუქნათოვარი...).

მოხსენებაში ვრცლად წარმოვადგენთ ლეონიძის შემოქმედების მოცემული დერივატებისა და კომპოზიტების დეტალურ მორფოლოგიურ და სემანტიკურ ანალიზს, ვიმსჯელებთ ზოგი მათგანის მიმართებაზე ოკაზიონალიზმებთან. შევეცდებით, საანალიზო მონაცემების მიხედვით ვიმსჯელოთ ბესარიონ ჭორბენაძის მიერ მითითებული მომენტების შესახებ: ა) რას აძლევს მწერალი ენას, ანუ: როვორ და რით ამდიდრებს იგი ენას; ბ) რას აძლევს ენა მწერალს (ჭორბენაძე, 1983:29).

ლუკა ქავთარაძე

ძველი ქართული ლიტერატურა და ანა კალანდაძის შემოქმედება

XX საუკუნის ქართული პოეზიაში ანა კალანდაძეს გამორჩეული ადგილი უჭირავს. მისი შემოქმედება მრავალმხრივ ინტერესს იწვევს.

მოხსენების ფარგლებში ყურადღებას პოეტის ქმნილებათა იმ ნაწილზე გავამახვილებთ, რომელზეც აღიბეჭდა ის გავლენა, რომელიც სასულიერო ლიტერატურამ, კერძოდ, ბიბლიამ და ძველი ქართული მწერლობის ძეგლებმა მოახდინა მის პოეტურ მემკვიდრეობაზე. ავტორის შინაგანი სამყაროს ქართული მწერლობის ტრადიციებთან ღრმა კავშირზე მიუთითებს ის აღუზიები, რემინისცენციები თუ ალეგორიები, რომლებიც ბიბლიურ იგავებს, ძველი და ახალი აღთქმის მოტივებს მიემართება. ანა კალანდაძის შემოქმედებაში იკითხება სამყაროს შექმნის ბიბლიური სამოთხის, სიცოცხლის ხის, შორეული და შეუცნობელი ცის, წყაროს, გზის, მზის, ნაძვის, შორი ყვავილის სიმბოლიკა, ბიბლიური პერსონაჟების წინასწარმეტყველების სიბრძნე, აბრაამის, ნოეს, იაკობის, იობის, დავითის, სოლომონის, სულამითის, ელისეს, ეზრას თუ იერემიას სახეები. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია ისიც, რომ სიმბოლური, იგავური აზროვნება პოეტს გაუთავისებია ბიბლიიდან. შესაბამისად, ანა კალანდაძის სამყარო ნასაზრდოებია ძველი და ახალი აღთქმის წიგნებით. აღსანიშნავია, რომ იმ დროს, როცა ანა კალანდაძე სტუდენტი იყო, წმინდა წერი-

ღის უბრალო ხსენებაც კი დანაშაულად ითვლებოდა, თუმცა, პოეტის მოგონებების მიხედვით, ძველი ქართული ენის შესასწავლად მეორე კურსზე ეცნობოდნენ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს. თურმე, პოლიკარპე კავაბაძე ანას ურჩევდა, ხშირად ეკითხა ბიბლია, რომ საღვთო წიგნებთან შემაერთებელი ძაფი არ განყვეტილიყო. ოშეის ბიბლიის (X ს.) ნუსხურ ტექსტზე მუშაობის შესახებ კი პოეტი წერდა: „აქედან იყო მობერილი ჩემი განწყობილებაც ამ ლექსის შესაქმნელად – „ვერავინ ამჩნევს შენსა მშვენებას“ (ლექსი 1962 წ. დაიწერა).

საკონფერენციოდ წარმოდგენილ მოხსენებაში შევეცდებით, რამდენიმე ლექსის მაგალითზე ვაჩვენოთ ის კავშირი, რომელსაც ანა კალანდაძის შემოქმედება საღვთისმეტყველო ლიტერატურასთან და ძველი ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებთან ავლენს.

თამარ ქურციკიძე

სიმბოლოთა ფუნქცია უილიამ გოლდინგის „ბუზთა ბატონში“ და მათი ასახვა რომანის ეპრანიზაციებში

1980 წლის ბუკერისა და 1983 წლის ნობელის პრემიის ლაურეატის, პოსტმოდერნისტი მწერლის, უილიამ გოლდინგის რომანმა „ბუზთა ბატონი“ უკაცრიელ კუნძულზე მოხვედრილი სკოლის მოსწავლეების მაგალითზე შეულამაზებლად, სიმბოლოებისა და ალეგორიების გამოყენებით ოსტატურად ასახა ადამიანის ქვეწნიბიერში ცივილიზებულობის მიღმა მიმალული ურჩეული.

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს რომანის სიმბოლიკის კვლევასა და იმის ანალიზს, თუ როგორ მოხდა ამ სიმბოლოების გადატანა და ინტერპრეტაცია ამ წიგნის მიხედვით ორ სხვადასხვა დროს სხვადასხვა რეჟისორის მიერ გადაღებულ ეპრანულ ნამუშევრებში: პიტერ ბრუკის 1963 წელს გადაღებულ შავთეთრ ვერსიასა და ჰარი ჰუკის 1990 წლის ნამუშევარში.

ეპრანიზაციული ვარიანტები სხვადასხვაგვარად, გარკვეული ნიუანსებითა და თავისებურებებით უდგებიან ისეთი სიმბოლოების გამოსახვას, როგორებიცაა: კუნძული – სამოთხე და ჭოჭოხე-

თი, ნიჟარა – ცივილიზაციის სიმბოლი, ღუტუს სათვალეები – რა-ციონალიზმი, შეღებილი სახეები – პრიმიტიულობა და სისასტიკე, თვით „ბუზთა ბატონი“, როგორც ეშმაკის, სატანის სიმბოლო, ხო-ლო რალფი და ჯეკი – დემოკრატიისა და სისასტიკეზე დამყარე-ბული დიქტატურის სიმბოლოები.

ბრუკის ვერსიაში რეჟისორი შემოქმედებითად უმატებს ისეთ სიმბოლიკას, როგორიცაა ჯეკისა და მისი გუნდის „კირიელეისო-ნის“ სიმღერის ფონზე შემოსვლა. სწორედ ეს გალობა მეორდება საიმონის სიკვდილის სცენაშიც, რაც სიმბოლურ დატვირთვას კი-დევ უფრო ამძაფრებს. 1990 წლის ეკრანიზაცია კი სიუჟეტურად მნიშვნელოვანი გადახვევაა როგორც რომანიდან, ისე წინამორ-ბედი ვერსიისგან. ინგლისელი სკოლის ბავშვების ნაცვლად ჰარი ჰუკი გვთავაზობს მის თანამედროვე დროსა და ვითარებას. პრო-ტაგონისტები ამერიკული სამხედრო სკოლის მოსწავლეები არი-ან. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი, რომელიც ორივე ფილ-მში შეინიშნება, საიმონისა და „ბუზთა ბატონის“ დიალოგის არარსებობაა, რაც ნაწარმოების მთავარ იდეას ბუნდოვანს ხდის წიგნის არმცოდნე მაყურებლისათვის.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ პიტერ ბრუკი უფრო დიდი ოსტატობით ახერხებს რომანის ფილოსოფიური სიღრმის და სიმბოლიკის შენარჩუნებას და „ბუზთა ბატონის“ საინტერესო ეკრანიზაციას ქმნის.

ეკატერინე ღუდუშაური

**შინაგანი მონოლოგის პოეტოლოგიური ასპექტები
კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილში“ – ერთი თავის
გააზრების მცდელობა („ჰიმნები ღვინისადმი“)**

მოხსენების მიზანია კონსტანტინე გამსახურდიას რომანის – „დიონისოს ღიმილი“ ერთ-ერთი თავის „ჰიმნები ღვინისადმი“ ანალიზი, დაკვირვება შინაგანი მონოლოგის პოეტოლოგიურ ას-პექტებზე, პიმზე, როგორც პროტაგონისტის ცნობიერების სამყა-როს ერთ-ერთ გამოვლინებასა და მის სტილისტურ მახასიათებ-ლებზე.

დასაწყისში წარმოდგენილია მსჯელობა მე-20 საუკუნის პრო-ზის თავისებურებებზე, თუ რაში გამოიხატება მისი ექსპერიმენ-ტულობა. ამას ებმის ხენებული რომანის ზოგადი დახასიათება, რომ იგი მითოსური პარადიგმებით ინტეგრირებული ექსპრესიო-ნისტულ-სიმბოლისტური რომანია, ასევე – საანალიზო თავის სი-უჟეტური მიმოხილვა.

მოხსენების პირველი ნაწილი სათაურით „შინაგანი მონო-ლოგის ნარაცია“ ეხება საანალიზო თავში შინაგანი მონოლოგის ნარატიულ ტექნიკას, რომლის უმთავრეს მხატვრულ ფუნქციასაც, ანალიზზე დაყრდობით, წარმოადგენს მოდერნიზმის ეპოქაში დაშლილი და იდენტობადაკარგული სუბიექტის, ამ შემთხვევაში, პროტაგონისტი კონსტანტინე სავარსამიძის, ზუსტ გადმოცემას; აქვე წარმოდგენილია შინაგანი მონოლოგის სტრუქტურული ანა-ლიზი ლიტერატურული კოლაჟის მაგალითზე, რასაც პერმენევტი-კულ ანალიზამდე მივყავართ.

მოხსენების მეორე ნაწილი სათაურით „ჰიმნი, როგორც პოე-ტური პროზის ნიმუში და მისი სტილისტური მახასიათებლები“ მიზნად ისახავს, საანალიზო ტექსტში მოცემული ღვინისადმი ჰიმნის ძირითად ლექსიკურ ერთეულებსა და ტროპის სახეებზე დაკვირვებით, ანუ პრაქტიკული ანალიზის საფუძველზე, ტექსტი გადაიაზროს ლირიკულ პროზად.

საბოლოოდ, ჩვენს ანალიზს მივყავართ დასკვნამდე, რომ რომანში „დიონისოს ღიმილი“ იდენტობადაკარგული, დეპერსო-ნალიზებული პერსონაჟის არსის ზუსტი გადმოცემა პროეცირებუ-ლია შინაგანი მონოლოგის ნარაციული ტექნიკით.

ნინო ყარაულაშვილი

ბოროტების უარსობის განმარტება იოანე პეტრიშის „ბოლოსიტყვაში“ პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის საფუძვლებზე“ – „Στοιχείωσις θεολογική“

მოხსენების მიზანია ბოროტების უარსობის განმარტების განხილვა პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღმრთისმეტყელე-ბითნის“ იოანე პეტრიშისეული თარგმანის კომენტარებისა და

„ბოლოსიტყვის“ საფუძველზე. „ბოლოსიტყვის“ აუთენტურობა მეცნიერთა შორის დავის საგანია, ხოლო ბოროტების უარსობის შესახებ მსჯელობაში იკვეთება ტექსტის ამ ნაწილის კავშირი პეტრიჩის კომენტარებთან. ბოროტების, როგორც საწყისის, განხილვის დაუშვებლობა საერთოა ნეოპლატონური ფილოსოფიისა და ქრისტიანული თეოლოგიისთვის. პეტრიჩის მსჯელობა პარალელს ავლებს მისივე კომენტართან პროკლესეული ტექსტის მერვე თავზე, სადაც კეთილობის განმარტებაა მოცემული, ამასთან, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ნაშრომთან „საღმრთოთა სახელთათვის“, რომლის თარგმანიც ეფრემ მცირეს ეკუთვნის. „ბოლოსიტყვა“ და მასში დასმული ეს საკითხი მნიშვნელოვანია, რადგან მიგვანიშნებს იოანე პეტრიჩის მიმართებაზე, ერთი მხრივ, პლატონურ ტრადიციასა და პროკლეს ფილოსოფიასთან, მეორე მხრივ კი – ბერძნულ პატრისტიკასა და ქრისტიანულ თეოლოგიასთან. „ბოლოსიტყვაში“ შეკამებულია ნაშრომში მოცემული ძირითადი თეზისები, ხოლო ბოროტების უარსობის საკითხი უშუალო კავშირშია აბსოლუტური, უზადო ერთის უზენაესობის დამტკიცებასთან, რაც „წინასიტყვის“ მიხედვით, პროკლეს ფილოსოფიური თხზულების შექმნის მთავარ მიზანს წარმოადგენდა.

ლიკა ყაფლანიშვილი ილონა კირაკოსიანი

ნუმეროლოგის მნიშვნელობა დანტე ალიგიერის „ტოპოეთში“

„ღვთაებრივი კომედია“ დანტე ალიგიერის შემოქმედებისა და მე-14 საუკუნის ევროპული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშია. პოემა სამი ნაწილისგან შედგება: „ტოპოეთი“, „განსაწმენდელი“ და „სამოთხე“ და თითოეული დანტეს გმირის სულიერი მოგზაურობის სხვადასხვა ეტაპს ასახავს. პოემის სტრუქტურის მოსაწესრიგებლად დანტე ნუმეროლოგიურ სიმბოლიკას იყენებს, განსაკუთრებით სამისა და ცხრის ციფრებს, რათა კანონზომიერი პრინციპების დაცვით წარმოაჩინოს ნაწარმოების ფილოსოფიუ-

რო, სულიერი და რელიგიური თემები. ციფრი სამი, რომელიც ყველაზე ფართო გაგებით ქრისტიანული სამების სიმბოლოა, მთელ ნაწარმოებში სხვადასხვა დატვირთვით გვხვდება და მოხსენება-ში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მისი სიმბოლურად გამოხატვის თავისებურებებისა და პოეტური დანიშნულების წარმოჩენას.

„დვთაებრივ კომედიასა“ და მის სტრუქტურაში თეოლოგიური ხაზი ძირითად ლაიტმოტივს წარმოადგენს. არა მარტო ქრისტიანული, არამედ წინარექტრისტიანული ნუმეროლოგიის სხვადასხვა პრინციპის გამოყენებით დანტემ შუა საუკუნეებისთვის ინოვაციური, ზედმინევნით მონესრიგებული პოეტური ტექსტი შექმნა. თითოეული ციფრი, რიცხვი, სიმბოლო და სტრუქტურული მახასიათებელი პოემაში წარმოდგენილია როგორც მრავალფეროვანი სიმბოლო, რომელიც ღრმა ფილოსოფიურ და რელიგიურ მნიშვნელობას ატარებს და მოხსენებაში ნუმეროლოგიის მნიშვნელობა ამ კუთხითაა გაანალიზებული.

ლიზი ყიფიანი

ასემიური დამწერლობა: ხატი სემანტიკის გარეშე გლობალურ და ქართულ კონტექსტში

ასემიური დამწერლობა განისაზღვრება, როგორც ტექსტი, რომელსაც რაიმე კონკრეტული სემანტიკური მნიშვნელობა არ გააჩნია. იგი სცდება ლინგვისტურ საზღვრებს, რაც უნივერსალური ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ასემიური დამწერლობა სამყაროს საზღვრებს ეჭვქვეშ აყენებს, მნიშვნელობის ახალ სივრცეს ქმნის და ემოციური რეზონანსულობით შესაძლებელს ხდის ყოველი ადამიანისთვის სხვადასხვა დატვირთვის იყოს. ასემიური ტექსტები ხშირად აერთიანებს იმგვარ ესთეტიკურ ელემენტებს, როგორებიცაა კალიგრაფიული ხაზები, გრაფიკული ორნამენტები, აბსტრაქტული ფორმები, რომლებიც ქმნიან დამწერლობის სისტემის ილუზიას, მაგრამ სინამდვილეში კი ვიზუალური აღქმისთვისაა განკუთვნილი.

სემიოტიკაში აღსანიშნი და აღმნიშვნელის ერთიანობა აწეს-რიგებს მნიშვნელობის წარმოქმნის გზებს, როცა ასემიურში გან-ზრახ იშლება აღსანიშნის ცნება და რჩება მხოლოდ აღმნიშვნე-ლი, რომელიც ინდივიდის ინტერპრეტაციას ერგება. ასემიური დამწერლობა გვხვდება სხვადასხვა კულტურაში, მათ შორის აღ-მოსავლეთ აზიის კალიგრაფიაში, არაბულ დეკორატიულ წარწე-რებსა და თანამედროვე დასავლურ მხატვრულ პრაქტიკებში. ეს მულტიკულტურული ხასიათი ასახავს ასემიური დამწერლობის უნივერსალურ ბუნებას, რომელიც ენისა და კულტურული გან-სხვავებების მიღმა ერთიან მასშტაბურ კომუნიკაციას ქმნის.

ამ კონტექსტში ასემიური დამწერლობა არა მხოლოდ მხატ-ვრული, არამედ ფილოსოფიური და კულტურათაშორისი კვლევის საგანია, რომელიც აერთიანებს ხელოვნებას, ენასა და ადამია-ნურ ინტერპრეტაციის უნარს, რადგან ეს გაუგებრობა არა წარუმა-ტებელი მცდელობაა წაკითხვისა, არამედ გათავისუფლება, იარ-სებოს წმინდა სახით მნიშვნელობის ტვირთის გარეშე.

ნაშრომში განიხილება, როგორც ქართული ფრესკების მაგა-ლითო, სადაც ტექსტის ილუზია ხშირად იქმნება გარკვეული ფი-გურებით, ასევე დროის ხაზში ასემიური დამწერლობის ცვლილე-ბების მიზეზობრივი ანალიზი და პასუხები იმაზე, თუ როგორ უპი-რისპირდება ასემია მნიშვნელობისა და ენის ტრადიციულ სემი-ოტიკურ სტრუქტურებს, ან შეიძლება თუ არა ამგვარი დამწერლო-ბა ეპისტემოლოგიურ ან ონტოლოგიურ აქტად მივიჩნიოთ და სა-ერთოდაც, შეუძლია თუ არა გავლენა იქონიოს ან განაახლოს სე-მანტიკა და კომუნიკაციის ფორმები. კვლევის მიზანი ისაა, რომ ასემიური დამწერლობა ალიქმებოდეს არა მხოლოდ მხატვრული გამოსახულების ფორმად, არამედ კულტურული, ენობრივი და ფი-ლოსოფიური მნიშვნელობით და გაცხადდეს საზღვარი წერასა და მხატვრობას შორის. როგორც ხელოვნების, ფილოსოფიისა და სემიოტიკის კვლევის ფორმა, ასემიური დამწერლობა სენსუალუ-რი გამოცდილებაა და ხსნის ახალ შესაძლებლობებს და აფარ-თოებს წერის ცნებას ადამიანური აზრის გამოხატვისთვის.

ია შანთაძე

პერსონაჟთა იზოლაციის პრობლემა ედგარ ალან პოს შემოქმედებაში

ედგარ ალან პოს მოთხრობებში იზოლაციის თემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ავტორის უნიკალური სტილის განუყოფელი ნაწილია. პერსონაჟთა სოციალური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური გაუცხოება მკითხველს ადამიანის ბუნებაზე დაკვირვების საშეაღებას აძლევს, რაც ხშირად დაზაფვრის და, ამავდროულად, მონუსხვის ხარჯზე ვითარდება. პოსა და მის იზოლირებულ სამყაროს შესახებ კრიტიკა თუ მითქმა-მოთქმა ხშირია, თუმცა ფაქტია, რომ პოს შემოქმედებაში ეს პრობლემა მისი მსოფლიმედველობის ძირითად ნაწილად გვევლინება.

მოხსენებაში განვიხილავ იზოლაციის პრობლემას პოს ლექსისა და მოთხრობების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი თემატიკა ავტორის თითქმის ყველა ნაწარმოებში შეგვიძლია, დავინახოთ, აღნიშნული საკითხი მეტი სიმძაფრით იჩენს თავს ლექსში „ანაბელ ლი“ და მოთხრობებში „კლდოვანი მთების ამბავი“ და „ელეონორა“.

ნაწარმოების სამოქმედო სივრცისა და პერსონაჟის იზოლაცია პოს შემოქმედებაში პარმონიულად და ერთმანეთის პარალელურად წარმოჩნდება. „ანაბელ ლიში“ აღნერილი გარემო ისეთივე სევდიანი, მელანქოლიური და ეულია, როგორც ლირიკული გმირი და ზღვის პირას არსებული სამეფო. „კლდოვანი მთების ამბავში“ პერსონაჟთა იზოლაცია პირდაპირ კავშირშია ლანდშაფტთან, ნაწარმოებში აღნერილი გარემო ისეთივე მისტიური და უდაბურია, როგორც ოგასტეს ბედლოუს შინაგანი სამყარო. რაც შეეხება „ელეონორას“, აյ პერსონაჟის იზოლაცია ორმაგად სიღრმისეულია. ერთი მხრივ, ის ბუნებრივადაა განცალკევებული ყოფითი რეალობისგან, მეორე მხრივ კი, მის ბუნებრივ საფარველს საყვარელი ადამიანის სიკვდილი ემატება, რაც ლირიკულ გმირს უფრო მეტად აქცევს ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ვაკუუმში.

ედგარ ალან პოს ტექსტებში პერსონაჟთა და გარემოს იზოლაცია ერთმანეთის პარალელურად ადამიანის შინაგან ტანკვასა

და ბუნების სისასტიკეს ასახავს. იზოლაციის თემა პოს მოთხოვობებში ადამიანად ყოფნის ტრაგედიას უფრო ფართო მასშტაბით წარმოგვიდგენს. ავტორის უნარი, აღწეროს გარემო, როგორც პერსონაჟთა ტანკვის ანარეკლი – მის მოთხოვობებს განსაკუთრებულ ემოციურ დატვირთვას ანიჭებს.

ნიკოლოზ შარაშენიძე
ვაჟა ჩიტაია
დავით გოგიშვილი
ნიკოლოზ ოტიაშვილი

**გრაკლიანი გორის მესამე ტერასის გათხრების
შედეგები (2024 წ.)**

გრაკლიანი გორის მესამე ტერასაზე შემორჩენილი ადრერკინის ხანის ნაგებობების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ აქ არის აღმოჩენილი საქართველოსა და კავკასიაში უძველესი წარწერები (ძვ. წ. X საუკუნე). ამ მიზნით 2024 წელს დაიწყო III ტერასის 76 ნაკვეთის ორი განსხვავებული მონაკვეთის შესწავლა: 1) D9, E9 და F9 კვადრატებში ჩატარდა დამატებითი გამოკვლევები. კერძოდ, მიუხედავდ გზის მშენებლობის დროს დაზიანებული ფენებისა, მოხერხდა ტერასის კიდეზე შემორჩენილი ნაგებობის გამოკვლევების დაწყება. დადგინდა, რომ ამ მონაკვეთზე შემორჩენილია როგორც ადრე რკინის, ასევე აქემენიდური და პოსტაქემენიდური სუროთმოძღვრული და კერამიკული ნაშთები. ამავე პერიოდის შესაბამისია ოსტეოლოგიური მასალაც; 2) გაიწმინდა N 1 სამლოცველოსა და ძვ. წ. X საუკუნის საცხოვრებელ სახლს შორის დარჩენილი ფართობი. დადგინდა, რომ ამ მონაკვეთზე ძვ. წ. X-IV საუკუნეებში მიმდინარეობდა ინტენსიური სამშენებლო სამუშაოები.

ნინო შარაშიძე

ქალთა ემანსიპაციის პრობლემა

ვირქინია ვულფის ესეებში

(„საკუთარი ოთახი“ და „პროფესია ქალებისთვის“ მიხედვით)

ქალთა უფლებების დაცულობა უძველესი დროიდან დღემდე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ XXI საუკუნის „განვითარებული“ საზოგადოების წევრები ვართ, სამწესაროდ, არაერთ სფეროში ვხვდებით ქალთა უფლებების უხეშ დარღვევასა და უგულვებელყოფას.

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს, თუკი ქალის როლი შეიცვლება“, – წერს ვირქინია ვულფი თავის ესეში და მკითხველს უბიძებს, იფიქროს, რა მნიშვნელობა აქვს სამყაროსთვის ქალის უფლებრივ თანასწორობას.

წინამდებარე სტატიაში განხილულია ქალთა ემანსიპაციის პრობლემა ვირქინია ვულფის ესეებში და, კერძოდ, მისი ორი ესე „საკუთარი ოთახი“ და „პროფესია ქალებისთვის“.

მნერლის თანამედროვე ეპოქაში მსოფლიო უდიდეს ცვლილებებს განიცდიდა, რამაც გავლენა იქონია ქალთა უფლებებსა და მათ როლზე საზოგადოებაში. ვულფი აქტიურად იბრძოდა მათი უფლებების დასაცავად და თავის ნაწარმოებებშიც ოსტატურად გადმოგვცემს ქალის შინაგან სამყაროს და ქალის თვალითვე დაგვანახებს რეალობას, რომელიც ასეთი უსამართლო და უთანასწორო იყო. მის თითოეულ ნაწარმოებში ამ ესეების ჩათვლით იგრძნობა ძლიერი სურვილი, რომ ქალისა და მამაკაცის უფლებები იყოს თანაბარი, შეეძლოს სწავლა და პროფესიული განვითარება. ქალი შეიძლება იყოს მწერალი, ხელოვანი, რისთვისაც სჭირდება საკუთარი სივრცე, ისევე, როგორც ნებისმიერ ადამიანს, რათა საკუთარ ფიქრებთან და აზრებთან განმარტოებულმა შეძლოს მათი ფურცელზე გადატანა. თუმცა, ყველა პროფესიაში, მათ შორის ლიტერატურაშიც, ცოტა ქალს თუ შევხვდებოდით, რადგან ეს პროფესია მათთვის უჩვეულოდ ითვლებოდა. ქალს არავინ უჭერდა მხარს, დასცინოდნენ, ამცირებდნენ. არსებული სტერეოტიპების დასანგრევად კი მას ჰქონდა საკუთარ თავთან უნდა ებრძოლა, რაც არც ისე მარტივი იყო. „არავის აფიქრებინო, რომ შენ საკუთარი აზრიც გაგაჩნია“, – ჩასჩურჩულებდა ხოლმე „სახლის ანგელოზი“ ქალს,

ხოლო თუ გინდოდა, მოგეპოვებინა თავისუფლება და გამხდარიყავი მწერალი ქალი, მაშინ ეს ანგელოზი უნდა „მოგეკლა“, რაც პიროვნულ სიძლიერეს და სხვებისგან მხარდაჭერასაც მოითხოვდა, რადგან არც ისე მარტივია ქალისათვის, დაუპირისპირდეს რეალობას და იბრძოლოს საკუთარი აზრისა თუ დამოკიდებულებების უშიშრად დაფიქსირებისთვის.

ნიკოლოზ შერაზადიშვილი

საქართველოს კონსტიტუცია, როგორც ჩართული სამართლებრივი აზროვნების განვითარების ისტორიული დოკუმენტი

საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებელი საქართველოს სამართლებრივი აზროვნების განვითარებაში. დღეს მოქმედ კონსტიტუციას აქვს პრეამბულა, ხოლო კონსტიტუციური ნორმები გარკვეული სტრუქტურითაა განლაგებული. გზა, რომელიც თანამედროვე კონსტიტუციამ განვლო, არის ქართული სამართლის ისტორიის უახლესი ნაწილი, რაც გამოხატავს საქართველოში უმაღლესი კანონშემოქმედების ცოცხალ ისტორიას. ეს ისტორია მუდმივად ივსება ისტორიული, სოციალურ-სამართლებრივი სიახლეებით, რომლებიც განპირობებულია კონსტიტუციის დროსა და სივრცეში მოქმედებით.

აღსანიშნავია, რომ 1995 წელი არის საწყისი თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის ისტორიისა, რომელმაც შემდგომში საფუძველი ჩაუყარა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას, მათ შორის კონსტიტუციურ ცვლილებებს და ხალხის წარმოდგენას კონსტიტუციის მნიშვნელობის შესახებ. ეს დოკუმენტი, პირველ რიგში, 1921 წლის კონსტიტუციის ანარეკლია, რომელიც მისგან იმით განსხვავდება, რომ ყოველდღიური მოქმედებით ქმნის უახლეს ისტორიას. ქართული სამართლის ისტორიის თანამედროვე მიღწევების შესაფასებლად საქართველოს კონსტიტუცია ბრწყინვალე ნიმუშია, რადგან მას აქვს საყოველთაო ხასიათი. სწორედ ამიტომ, იურისტებისთვის კონსტიტუცია

არის უმაღლესი კანონი, ხოლო ისტორიკოსებისთვის – ისტორიული დოკუმენტი. საერთო არის ის, რომ მისი მოქმედების გარეშე წარმოუდგენელია დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა.

საკონფერენციო ნაშრომში შეფასებული იქნება კონსტიტუციის მიღებისა და მოქმედების უახლესი ისტორია. ამ საკითხების კვლევა დაგვეხმარება იმის შესწავლაში, თუ რა კვალს ტოვებს საქართველოს კონსტიტუცია დამოუკიდებელი სახელმწიფოს თანამედროვე ისტორიაში და როგორ აფასებენ მას იურისტები და ისტორიკოსები.

ვერიკო ჩილაჩავა

ნამუდა „რომ“ კავშირიანი თქმა-ბრძანების გამომხატველი პიკოტაქსური კონსტრუქცია მეგრულში

ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ჩამოყალიბება და განვითარება ყურადღებამისაქცევი საკითხია. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ერთ-ერთი უდამწერლობო ქართველური ენის – მეგრულის მიხედვით განვიხილოთ ნამუდა „რომ“ კავშირიანი თქმა-ბრძანების გამომხატველი ქვეწყობილი წინადადება.

ნამუდა კავშირი რთული აგებულებისაა და სხვადასხვა ფონეტიკური ვარიაციით დასტურდება მეგრულში. სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებულია აღნიშნული კავშირის სამი ძირითადი მნიშვნელობა; ამას გარდა, სხვადასხვა კორელატან სხვადასხვაგვარ მნიშვნელობასაც იძენს; მეგრულში თავისებურებით გამოიჩინება ნამუდა კავშირიანი თქმა-ბრძანების გამომხატველი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია; კერძოდ, თქმა-ბრძანების გამომხატველი ზმინით (უწუ „ეთხა“, თქუ „თქვა“, იჩუ „ისაუბრა“, ჩაგადუ „იღაპახავა“, ზოჯუ „ბეხანა“ და სხვ.) გადმოიცემა მთავარი წინადადების პრედიკატი, ნამუდა კავშირიანი დამოკიდებული წინადადებით კი გამოხატულია პირდაპირ სხვისი ნათქვამი, რომელსაც ყოველთვის ახლავს III პირის სხვათა სიტყვის -ა ნაწილაკი. ამ ტიპის ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი ყოველთვის პირველ ადგილზე დგას, მას მოსდევს დამოკიდებული, რომელიც ძი-

რითადად იწყება „ნამუდა“ კავშირით. ჰიპოტაქსურ კონსტრუქცია-ში მაქვემდებარებელი კავშირისა და სხვათა სიტყვის ნაწილაკის ერთდროულად გამოყენება წარმოაჩენს შუალედურ საფეხურს პირდაპირ და ირიბ ნათქვამს შორის; სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი ასახავს „პირდაპირსხვისინათქვამიანი წინადადებიდან ირიბსხვისნათქვამიანზე გარდამავალ საფეხურს“ (მ. ლომია).

თამარ ჩიხრაძე

06პლუზიური სივრცეები ლიტერატურაში: ეკატერინე ტობონიძის „ასინქრონი“ და დენიელ კიზის „ყვავილები ელაპერნონისთვის“

თერ კიდევ ანტიკურ სამყაროში გამეფებული იყო მოსაზრება: „ლამაზ სხეულში ლამაზი სულია“. ფიზიკური შეზღუდულობით დაბადებული ადამიანები მალევე ხდებოდნენ საზოგადოების მსხვერპლნი.

ევგენიკოსების მტკიცებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ხელს უშლიდნენ ეროვნული გენოფონდის განვითარებას. 1881 წელს მიღანის საერთაშორისო კონგრესზე უსტების ენა კანონგარეშედაც კი გამოაცხადეს, რათა სმენის არმქონე ხალხს არ შეევიწროვებინა ჩვეულებრივი განვითარების მქონე ადამიანი. 1913 წლიდან დიდ ბრიტანეთში კანონი ამოქმედდა გონიერივი არასრულფასოვნების შესახებ, რომელმაც განსაზღვრა შრომისუუნარო პირების კატეგორიები.

დღეს ბავშვთა უფლებათა კონვენციაში ვკითხულობთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს, უფლება აქვს, მიიღოს სპეციალური განათლება, რათა შეძლოს ღირსეულად ცხოვრება. ასეთ ბავშვზე სახელმწიფო განსაკუთრებულად უნდა ზრუნავდეს (მუხლი 23).

ეკატერინე ტობონიძის ნოველა „ასინქრონი“ ანომალიით დაბადებული დების – ლინასა და დიანას შესახებ გვიყვება. მათ საერთო სხეული აქვთ, თუმცა ერთმანეთისგან ისე განსხვავდებიან, როგორც ინი და იანი. ტყუპები ბებიასთან ერთად მდინარის პირას, განმარტოებით ცხოვრობენ. ამ ყოველდღიური ტვირთისგან

ლინა და დიანა წერით თავისუფლდებიან. მკითხველი მათ ამბავს სწორედ ამ დღიურების სახით ეცნობა. დების ისტორიას უფრო საინტერესოს მათი მშობლების ვინაობაც ხდის. ელენეს სურათი დღემდე კედლიდან უცქერით, როსტომმა კი მათი არსებობა არც კი იცის, ამიტომ აშინებს ფოსტალიონისგან მოსული წერილი, რომელიც ტყუპების გარდაცვალების ამბავს აცნობებს მას.

მეორე მხრივ, საინტერესოა დენიელ კიზის პერსონაჟი ჩარლი გორდონი, ზრდასრული მამაკაცი, რომელიც მისტერ დონორის საცხობში მუშაობს. ჩარლის სურვილი ასეთია: გახდეს ჭავიანი ადამიანი – ისეთები, როგორებიც სხვები არიან. სწორედ ამიტომ აძლევს უფლებას ექიმ სტრაუსს, პროფესორ ნიმურსა და სხვებს, მასზე ექსპერიმენტი ჩაატარონ. ჩარლის სურვილია, გახდეს ჭავიანი იმიტომ, რომ შეიძინოს მეგობრები, ისაუბროს მათთან ერთად ხელოვნებაზე, პოლიტიკაზე და სხვ.

მოხსენებაში ვისაუბრებთ ინკლუზიური სივრცეების რეპრე-ზენტაციის შესახებ ლიტერატურაში. ლინას, დიანასა და ჩარლი გორდონის ისტორიები დაგვაფიქრებს, რომ საკუთარი კეთილ-დღეობისთვის სხვა ადამიანის დაზიანება არ უნდა იყოს ჩვენი პრიორიტეტი.

ელენე ჩხეიძე

**„პარნავალური ნარატივი“ ქართულ მოდერნიზმში
მიხეილ ბახტინის კონცეფციით
(ლეო ქიაჩელის Escalade-სა და
კონსტანტინე გამსახურდიას „ლილ“-ის მიხედვით)**

წინამდებარე საკონფერენციო თებისი წარმოადგენს მიხე-ილ ბახტინის თეორიის მიხედვით „პარნავალურობის“ რეალიზე-ბას ქართულ მოდერნისტულ ლიტერატურაში, ლეო ქიაჩელისა და კონსტანტინე გამსახურდიას ნოველების მაგალითზე. ტექსტში საუბარი გვაქვს „პარნავალიზაციაზე“, როგორც კულტურულ მოვ-ლენაზე და შემდგომში მის თეორიული სახით ფორმირებაზე. ყუ-რადღება გამსახვილებული გვაქვს აღნიშნული ტერმინის ავტორ-ზე (მიხეილ ბახტინზე) და ლიტერატურაში პირველად მისი გამო-ყენების შემთხვევებზე.

კვლევის მიზანია ბახტინის კონცეფციის „კარნავალური ნარატივის“ გააზრება, დიქოტომია რეალური/ირეალურის ერთმანეთთან დაპირისპირება და ნიღბის სიმბოლური გაგება, გარდა ამისა, იმ ასპექტების გამოვლენა, რომლითაც გადაზიარდა ეს უკანასკნელი განსახილველი ავტორების შემოქმედებაში. აქცეტი გაკეთებული გვაქვს „კარნავალიზაციის“ არქეტიპებსა და მის გამოვლენაზე ქართულ კულტურაში.

განსახილველი ტექსტების ანალიზისას გამოყენებულია დისკრიფციული, კომპილაციური და კომპარატივისტიკული მეთოდები. ერთმანეთთან შედარებულია ერთი ლიტერატურული მიმდინარეობის ორი განსხვავებული ავტორის ნაწარმოებები. გამოკვეთილია მოდერნისტული ტენდენციების სახესხვაობები და თავისებურებები. კვლევაში გამოყენებული გვაქვს: მიხეილ ბახტინის, ფრონიდის, კარლ იუნგისა და სხვათა თეორიული მოსაზრებები, გარდა ამისა, საკვლევი ტექსტების ავტორთა ნაშრომები.

კვლევის აქტუალურობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ აღნიშნული საკითხი ქართულ ლიტერატურაში საფუძვლიანად არ არის შესწავლილი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლევის მიზანია, გამოკვეთოს ბახტინისული „კარნავალისა“ და მისი ელემენტების რეალიზება ქართულ მოდერნისტულ პროზაში და დასვას საკითხი, თუ რა სახით გამოვლინდა „კარნავალიზაცია“, მისი სრული გააზრებით თუ რამდენიმე ელემენტის გამოკვეთით.

ანა ცინცაძე

სოკრატე სასამართლოს წინაშე

ფილოსოფიისთვის ფასდაუდებელი და მნიშვნელოვანია სოკრატეს მიერ წარმოთქმული სიტყვა დიალოგებიდან. სოკრატეს ყველაზე ცნობილ გამონათქვამს, „მე ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი“, ეხმაურება დიალოგის დიდი ნაწილი.

„სოკრატეს აპოლოგია“ არის ფილოსოფიური იდეალი. დიალოგის მიზანია, გააღვიძოს, წარმართოს და შეინარჩუნოს ჩვენი აზროვნება ყველაზე ღრმა და საინტერესო კითხვებზე. სწორედ ასეთი ცხოვრების, აზროვნებისა და კითხვების დასმისთვის მიძღვნილ ცხოვრებას იცავს სოკრატე დიალოგში.

პლატონის „სოკრატეს აპოლოგიაში“ სოკრატეს სული ესაუბრება ადამიანებს ყოველთვის, ყველგან. მოხსენების მიზანია მარადიული ღირებულებებისათვის ფილოსოფოსის ტრაგიკული და-სასრულის აღნერა, მისი ანალიზი და აქ გადმოცემული მთავარი საკაცობრიო საკითხების განხილვა.

თაკო ციხელაშვილი

აშშ-სა და საქართველოს სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობა: თავდაცვის გაძლიერება და რეგიონალური უსაფრთხოება

აშშ-სა და საქართველოს შორის სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობა ხელს უწყობს როგორც საქართველოს თავდაცვის სისტემის გაძლიერებას, აგრეთვე, რეგიონში არსებული საფრთხეების მიმართ საერთო სტრატეგიული მიდგომების ჩამოყალიბებას. აღნიშნული პარტნიორობის მთავარი მიმართულება საქართველოს თავდაცვის ძალების შესაძლებლობების მოდერნიზაცია, რომელიც მოიცავს ტექნოლოგიურ აღჭურვას, პერსონალის განათლებასა და საბრძოლო მზადყოფნის დონის გაუმჯობესებას. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა გულისხმობს ორმხრივ სამხედრო პროგრამებს, ევრო-ატლანტიკურ ინსტიტუტებში ქვეყნის ინტეგრაციისა და თავსებადობის ხელშეწყობას.

პარტნიორობის მიზვნელოვანი კომპონენტია რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნება. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო დგას გარდაუვალი გეოპოლიტიკური გამოწვევების წინაშე, როგორიცაა: რუსეთის აგრესიული პოლიტიკა და ტერიტორიების ოკუპაცია, განმეორებითი სამხედრო ინტერვენცია, ჰიბრიდული მიზანების სახის გამოყენება და სხვა. ყოველივე აღნიშნულის ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართულ-ამერიკული ურთიერთობების განმტკიცება. შესაბამისად, მართებულია, ითქვას, რომ აშშ-სთან გაძლიერებული თანამშრომლობა ხელს უწყობს, როგორც ეროვნული, აგრეთვე, რეგიონალური უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ამასთანავე, აშშ-სთან ურთიერთობა მნიშვნელოვნად ზრდის საქართველოს როლს საერთაშორისო დონეზე, რაც უმთავრესად გულისხმობს საქართველოს მონაწილეობას სხვადასხვა მისიებში. აღნიშნული ჩართულობა დადებითად აისახება ქვეყნის ავტორიტეტზე, საბრძოლო მზადყოფნის გაზრდასა და დასავლური უსაფრთხოების სისტემებში ინტერაციაზე.

მოხსენებაში გაანალიზებული იქნება აშშ-სა და საქართველოს შორის სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობის ძირითადი მიმართულებები, გამოწვევები და შედეგები. ასევე, განხილული იქნება სტრატეგიული თანამშრომლობის მნიშვნელობა ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეებზე უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

ნიკოლოზ ძიმისტარიშვილი

მეფე გიორგი II-ის მოღვაწეობისა და მისი ტახტიდან გადადგომის შესახებ

1089 წელს საქართველოს სამეფო კარზე მოხდება შეთქმულება მეფე გიორგი მეორის წინააღმდეგ. მას სამეფო კარის მოხელეთა გარკვეული ნაწილი აიძულებს, ჩამოშორდეს ქვეყნის მართვა-გამგეობას და ის თავის 16 წლის ვაჟს, დავითს გადააბაროს. როგორც ჩანს, ისინი ქვეყნის მდგომარეობის გაუარესებაში ბრალს მეფე გიორგის სდებდნენ.

ფაქტია, რომ XI საუკუნის 70-80-ანი წლები მართლაც რთული პერიოდია საქართველოს ისტორიისა. გიორგის მეორის ახალგაზრდობით ისარგებლეს ურჩმა დიდგვაროვნებმა და მას ქვეყანა აურიეს. ერთი მხრივ, ამას განაპირობებდა მისი ლოიალული პოლიტიკა დიდებულთა მიმართ, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამეფო კარს არ შეეძლო სხვაგვარად გამკლავებოდა მათ.

ამ პერიოდში რთული ვითარებაა რეგიონშიც, რადგან განსაკუთრებით ძლიერდება თურქ-სელჩუკთა სახელმწიფო. მიუხედავად ამისა, გიორგი II შეძლებს 1074 წელს მათ დამარცხებას ფარცხისთან, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ის არც ისე ცუდი მეფეა და მას აქვს უნარი, გარკვეული წინააღმდეგობა გაუწიოს მტერს. ამ გა-

მარჯვებიდან რამოდენიმე ხანში ის იერთებს მანამდე ბიზანტიის შემადგენლობაში მყოფ ისტორიულ საქართველოს ტერიტორიებს, რადგან ბიზანტიის გავლენა სუსტდება ამ მხარეში. მიუხედავად ამ წარმატებებისა, ქვეყნის მდგომარეობა რთულდება მას შემდეგ, რაც 1080 წელს იწყება „დიდი თურქობა“. 1083 წელს მეფე გიორგი იძულებული ხდება, ეახლოს მალიქ-შაჰს და სწორედ ამ დროს უნდა მომხდარიყო დავითის თანამოსაყდრედ კურთხევაც. გიორგი მეორე ხარკს კისრულობს სელჩუკთა სასარგებლოდ. მიუხედავად ამისა, ქვეყნის მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდება.

უნდა აღინძნოს, რომ ქვეყნის არასტაბილურმა საგარეო და საშინაო მდგომარეობამ ცუდად იმოქმედა ეკლესიაზე და ის იქცევა სამეფო კარის მონინააღმდეგე დიდებულთა მთავარ დასაყრდენად.

ფაქტობრივად, თურქ-სელჩუკთა მომთაბარული ცხოვრების წესი მოსახლეობას აიძულებდა, ჩამოშორებულიყო სოფლის მეურნეობას და თავი მთისათვის შეაფარებინა, რამაც გარკვეულწილად გამოიწვია ქვეყნის ეკონომიკის დაქვეითება.

სწორედ ამ პერიოდში, 1088 წლისათვის, ქვეყანაში მოხდა დიდი მინისძვრა, რის შედეგადაც უამრავი ციხე-სიმაგრე და ეკლესია დაინგრა. ნიშანდობლივია, რომ ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ამ ამბებიდან ერთი წლის შემდეგ გიორგი მეორეს აიძულებენ, ჩამოშორდეს ქვეყნის მართვა-გამგეობას.

ლიზა წერეთელი

შიმშილის გამომხატველი ლექსიკური ერთეულების სემანტიკისთვის ინგლისურსა და ქართულში

მოხსენება ეხება შიმშილის გამომხატველ ლექსიკურ ერთეულებს ინგლისურსა და ქართულში. ინგლისური სიტყვა *hungry*, რომლის ფესვებიც ძველი ინგლისური და პროტოგერმანიკული ენებიდან მოდის, გამოიყენება როგორც შიმშილის პირდაპირი გრძნობის, ასევე სურვილისა და მისწრაფების სიმბოლოდ. მაგალითად, *hungry for knowledge* მიუთითებს არა მხოლოდ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებაზე, არამედ ცოდნის ძლიერ სურვილზეც, რაც ამ სიტყვას ინგლისურ ენაში ხშირად პოზიტიურ კონოტაციას სახენს.

კვლევაში გაანალიზებულია შიმშილის გრძნობის გამომხატველი იდიომები ინგლისურ და ქართულ ენებში. ინგლისურ ენაში მრავალფეროვანი იდიომები, როგორიცაა “I could eat a horse” და “hungry as a bear”, გამოხატავენ შიმშილის ძლიერ შეგრძნებას და ამ მდგომარეობის ინტენსივობას.

ქართულში შიმშილის კონცეფცია მქიდროდ უკავშირდება უშუალოდ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას, რისთვისაც გვაქვს საქმლის მომნელებელ ორგანოებთან დაკავშირებული მრავალფეროვანი იდიომები, როგორიცაა, „შიმშილით კუჭი ეწვის“, „შიმშილისგან კბილები უკანკანებს“ და სხვა. ქართულ ანდაზებში შიმშილთან დაკავშირებული გამონათქვამები, როგორიცაა „როცა გშია ზაქარია, ცივი მჭადიც შაქარია“, ხაზს უსვამენ შიმშილის განცდის სიმძაფრეს და მის მძლავრ გავლენას ადამიანის ფსიქიკაზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ორივე ენა უხვად იყენებს შიმშილთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებს, თუმცა ინგლისურში ის ხშირად სურვილების მეტაფორულ აღმნიშვნელადაც გვხვდება, ქართულში კი უფრო უშუალოდ ფიზიოლოგიურ მდგომარეობას უკავშირდება.

ლიზი წერეთელი ლუკა ტეფნაძე

**დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკა საზოგადოებრივი პრინციპების შესახვათის საუკუნეების ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძირის მიმართ
(1991 წლიდან დღემდე)**

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991 წ.) გადაიხედა და სტრატეგიული მნიშვნელობა მიენიჭა საზოგარეთ არსებული შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და მისი პოპულარიზაციის პოლიტიკას. ეს პერიოდი მოიცავს პოლიტიკური აქტივობების წყებას, რაც მოიაზრებს საქართველოს მთავრობის, განსაკუთრებით – კულტურის სამინისტროს და საქართველოს საპატრიოარქოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. მათ პრიორიტეტად მიიჩნი-

ეს ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული არტეფაქტებისა და ძეგლების აღდგენა და დაცვა.

ძირითადი მიზანი: ნაშრომი იკვლევს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდის პოლიტიკას ქვეყნის საზღვრებს გარეთ არსებული შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. ასევე, აანალიზებს, თუ რამდენად ქმედუნარიანია ეს ძალისხმევა ეროვნული იდენტობის განმტკიცებაში.

საკვდევი შეკითხვები: 1) რამდენად ნაყოფიერია საქართველოს მიერ კულტურის სფეროში გადადგმული დიპლომატიური ნაბიჯები? 2) რა გამოწვევების წინაშე დგება საქართველო, როცა იგი კულტურული ძეგლებისა და არტეფაქტების საერთაშორისო სამართლებრივი აღიარების უზრუნველყოფას ცდილობს?

კვდევის მეთოდოდოგია: კვლევაში გამოყენებულია თვისობრივი მეთოდები, მედია კონტენტანალიზი, სამთავრობო დოკუმენტების, სამეცნიერო ნაშრომების, დიპლომატიური მიმოწერებისა და იუნესკოს ანგარიშების ანალიზი.

გამოყენებული დიგენერაცუაში მოკდე მიმოხიღვა: სამეცნიერო სტატიები ყურადღებას ამახვილებს ძეგლების შენარჩუნებაზე, ახალ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ციფრულ შესაძლებლობებსა და კულტურული თანამშრომლობის გამოწვევებზე. ნაშრომების ძირითადი ვექტორია პოლიტ-კულტურული დიპლომატიის, ფინანსების ნაკლებობისა და უცხო ქვეყნებში მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენისა და შენარჩუნების სირთულის ჩვენება. სამეცნიერო ნაშრომები ცხადყოფს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების მნიშვნელობას ეროვნული იდენტობის მშენებლობასა და მდგრადი ტურიზმის განვითარებაში, რაც მოიცავს მემკვიდრეობის არა მხოლოდ დაცვას, არამედ მის ეფექტურ პოპულარიზაციას გლობალურ კულტურულ თემებში.

შედეგები: საქართველოს მხრიდან პოზიციონირების სტრატეგია მოიცავს როგორც კულტურული დიპლომატიის, ისე საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოების გამოყენებას. მკაფიო მცდელობების მიუხედავად, არსებული პოლიტიკა ხშირად როგორც რეგიონალური, ისე საერთაშორისო გამოწვევების წინაშე დგას. მთლიანობაში, გადადგმული ნაბიჯები თამაად შეიძლება ჩაითვალოს როგორც დამოკიდებლობის აღდგენის შემდგომ წარმოებული თვითდამკვიდრების პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი.

ანა წიქარიშვილი

აბსურდულობა და მნიშვნელობის დევნა ალბერ კამიუს ნაშრომში „სიზიფის მითი“

ალბერ კამიუს ფილოსოფიური ესე „სიზიფის მითი“ იკვლევს ცხოვრების მნიშვნელობას ერთი შეხედვით გულგრილ და აბსურდულ სამყაროში. 1942 წელს, მეორე მსოფლიო ომის მშფოთვარე წლების განმავლობაში, გამოქვეყნებული კამიუ ეგზისტენციალურ კრიზისს განიცდის, რომელიც წარმოიქმნება ცხოვრების თანდაყოლილი აბსურდულობის რეალიზებიდან. სიზიფის ალეგორიის მეშვეობით, რომელიც დაგმობილია, რომ უსასრულოდ აგოროს ბორცვი გორაკზე, კამიუ იკვლევს ადამიანის მდგომარეობას და მნიშვნელობისკენ სწრაფვას სამყაროში, რომელიც ხშირად მიზნის გარეშე ჩნდება.

კამიუს ფილოსოფიის საფუძველია აბსურდული კონცეფცია, თანდაყოლილი კონფლიქტი ადამიანის მნიშვნელობის სურვილსა და სამყაროს აშკარა უაზრობას შორის. კამიუ ამტკიცებს, რომ აბსურდი ჩნდება, როდესაც ადამიანები რაციონალური სამყაროს ახსნა-განმარტებებს ირაციონალურ სამყაროში ეძებენ. სიზიფის უშედეგო ამოცანაა ლოდის აღმართზე ატანა, მხოლოდ იმის დანახვა, რომ ის უკან გორდება, სიმძოლოა სამყაროს წინააღმდეგ მუდმივი ბრძოლისა, რომელიც უარს ამბობს ადამიანის მოლოდინების შესაბამისად.

ალბერ კამიუ ბრძოლის უწყვეტ პროცესში პოულობს ესთეტიკას. მისი მორალი შემდეგია – ადამიანმა ცხოვრება უნდა გამოსცადოს, გადაიტანოს, შეიგრძნოს მთელი თავისი ტკივილებით, დაცემებით, სიმძიმეებითა და უაზრობებით. მისი აღმოჩენილი ესთეტიკა უშედეგო ბრძოლის მშვენიერებას მოიაზრებს. ამ მხრივ თითქოს პარალელს ბარათაშვილის ლექსთან „მერანი“ ვაკლებ – განწირული სულისკვეთება, ამ შემთხვევაში „უშედეგო ყოფასთან“ ჭიდილი ცხოვრების უმთავრეს მომენტში გვწვრთნის და ცხოვრებას განგვაცდევინებს.

„სიზიფის მითი“ რჩება ეგზისტენციალიზმის, აბსურდულობასა და ადამიანის მნიშვნელობის ძიების მარადიულ შესწავლად. კამიუ მკითხველს მოუწოდებს, დაუპირისპირდნენ არსებობის აბ-

სურდულობას, მოუწოდებს მათ, აჯანყდნენ სასონარკვეთილების წინააღმდეგ და იპოვონ მიზანი საკუთარი თავხედობით. სიზიფი, თავისი მარადიული ბრძოლით, გულგრილი სამყაროს წინაშე ადამიანის გამძლეობის მტკიცე სიმბოლო ხდება. აბსურდული კამიუ მოუწოდებს ინდივიდებს, იცხოვრონ ავთენტურად, შექმნან საკუთარი მე, დაისახონ მიზნები და ყველანაირი დაბრკოლების მიუხედავად, იბრძოლონ ამ მიზნების შესასრულებლად. ნაწარმოების ფინალი ნამდვილად გულში ჩამწვდომია: „ადამიანის გულის ასავსებად – მწვერვალების დასაპყრობად ბრძოლაც საკმარისია. წარმოვიდგინოთ, რომ სიზიფე ბედნიერია“.

თამარ ჭანუყვაძე ნინო გახარია

მე-19 საუკუნის ხიდი: მიხაი გირის ვიზიტი და მისი გავლენა ქართულ ხელოვნებაზე

მიხაი გირი უნგრელი მხატვარია, რომლის შემოქმედებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მე-19 საუკუნის ევროპულ ხელოვნებაზე. მისი მხატვრული სტილი მოიცავდა რომანტიზმს, ნეოკლასიკიზმსა და რეალიზმს. მოგვიანებით ხელოვნების სფეროში თავისი სიტყვა თქვა პორტრეტმა, რომელიც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კულტურული, არამედ ლიტერატურული და ისტორიული თვალსაზრისითაც, ილუსტრაცია, რომელიც ასახავს საქართველოს „ოქროს ხანას“, სიუჟეტი „ვეფხისტყაოსნიდან“. ჩვენი კონფერენციის მთავარი მიზანია, ვისაუბროთ პორტრეტის სიუჟეტები და მის ისტორიულ-კულტურულ მნიშვნელობაზე, ამასთანავე, ზირის როლზე, რომელმაც დიდი გავლენა იქონია ქართული ხელოვნების შემდგომ განვითარებაზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა იმ მოტივებსა და კულტურულ კონტექსტს, რომელმაც ზირის უბიძგა შემდგომში შექმნა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები.

ვისაუბრებთ სტილსა და ტექნიკაზე, რომელსაც ის იყენებდა, რათა ქართული კულტურის ესთეტიკა ევროპული ხელოვნების ტრადიციებთან შეეთავსებინა. ხაზს გავუსვამთ, რომ ილუსტრა-

ცია არ იყო მხოლოდ ისტორიული ფიგურის ვიზუალური რეპრენდენტაცია. და ბოლოს, ვახსენებთ კონკრეტულად იმასაც, რომ ეს ნამუშევრები არა მხოლოდ ხელოვნების ნიმუშია, არამედ ქართველ და ევროპელ ხალხს შორის გადებული საუკუნოვანი ხიდის ნათელი მაგალითი.

მაგდა ჭილაშვილი

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამეთუნეო ხელსაწყოები და იარაღები აღმოსავლეთ საქართველოდან

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე მაღალ დონეს აღწევს კერამიკული ნარმოება, რომელიც ფართოდ იყენებს სწრაფმბრუნავ მორგვს. აღმოსავლეთ საქართველოში დადასტურებულია აღნიშნული პერიოდის კერამიკის გამოსაწვავი ქურებიც, მაგალითად, შიდა ქართლში ხოვლევორაზე და კახეთში სოფელ ხირსაში არქეოლოგიური გათხრებით შესწავლილია კერამიკული სახელოსნოები. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ტიპის სახელოსნოები არცთუ ბევრია აღმოჩენილი და ამასთან ქურების დიდი ნაწილი ცუდადაა შემონახული, ქურების კონსტრუქციის და გამოწვის ტექნოლოგიის შესახებ არსებული ინფორმაცია ძალზედ მცირეა. კიდევ უფრო ცოტაა ცნობილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამეთუნეო ხელსაწყოების და იარაღების შესახებ, რაც, პირველ რიგში, გამოწვეულია იმით, რომ ამ ტიპის ხელსაწყოების და იარაღების აღმოჩენის შემთხვევები ძალიან იშვიათია. მაგალითად, ამ დრომდე ხელსაწყოს – ჩარხის აღმოჩენის მხოლოდ ერთი ფაქტია დადასტურებული.

რაც შეეხება სამეთუნეო იარაღებს შედარებით მეტია აღმოჩენილი, თუმცა ამ შემთხვევაში პრობლემას ნარმოადგენს ის, რომ აღნიშნული არტეფაქტების სამეთუნეო იარაღად გამოყენება დამტკიცებული არაა და ჰერჯერობით მხოლოდ ვარაუდია.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამეთუნეო ხელსაწყოების და იარაღების შესახებ სხვადასხვა სტატიების

სა თუ მონოგრაფიებში გაფანტული ცნობების შეკრება და გაანალიზება, ასევე, ცდა ისეთი არქეოლოგიური მასალის მოძიებისა, რომლის ფუნქცია არ იყო განსაზღვრული და შესაძლებელი იყო, ყოფილიყო მეთუნეობასთან დაკავშირებული იარაღი თუ ხელსაწყო. ამ უკანასკნელი მიზნის მიღწევა – არტეფაქტების ფუნქციის განსაზღვრა, შესაძლებელი გახდა არქეოლოგიური არტეფაქტების ეთნოგრაფიულ პარალელებთან შედარებით.

თეკლა ხარაიშვილი

თანამედროვე კონფლიქტების ვიზუალური ისტორიიდან - ფრანსისკო გოიას ომის საშინელებები

თანამედროვე ბეჭდვითი თუ საინფორმაციო მედიის მიერ მიმდინარე საომარი კონფლიქტების შესახებ საზოგადოების-თვის მიწოდებულ ინფორმაციაში ვიზუალურ გამოსახულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. პრესა, ტელევიზია თუ სოციალური ქსელები სავსეა ომის ამსახველი ბრუტალური კადრებით, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი ინსტრუმენტი გახდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისათვის. თუმცა, ამ თემის ვიზუალიზაციის ისტორიას თუ გადავხედავთ, ადვილი შესამჩნევია, რომ ანტიკურობიდან დაწყებული ფოტოგრაფიის გამოგონებამდე, უპირტესობა ომის ჰეროიკულ-პატრიოტულ ასპექტს ენიჭებოდა, რომელიც გამარჯვებულ იმპერატორებს, მეფეებს, მხედართმთავრებს ან მათი გამარჯვებების ქრონიკებს ასახავდა. ამ მხრივ, გამონაკლისია დიდი ესპანელი მხატვრის, ფარნესისკო გოიას (1746-1828) მიერ 1810-1820-იან წლებში შექმნილი, 82 ოფორტისგან შემდგარი გრავიურების სერია ომის საშინედებანი, რომელმაც სახვით ხელოვნებაში პირველად ასახა ომის ბრუტალური მხარე. მასზე გამოსახული პერსონაჟები, გამარჯვებული სამხედრო ელიტის ნაცვლად, ომისგან განამებული, მსხვერპლად შეწირული უბრალო ხალხია. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ, გოიას ეს ნამუშევრები დღევანდელი ომის საომარი ფოტოქრონიკების ასოციაციას იწვევს. მოხსენებაში განხი-

ლული იქნება, თუ რამ გამოიწვია მხატვრის მიერ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ომის ვიზუალური კონცეფციის ცვლილება და როგორი იყო ის ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტი, რომელმაც ფრანსისკო გოიას განსხვავებული ხედვა განაპირობა.

ნინო ხელაშვილი მარიამ სახეიშვილი

ფრონდას პარადოქსი: აბსოლუტიზმის განმდვინება საფრანგეთში

XVII საუკუნის საფრანგეთის პოლიტიკური ისტორია განსაკუთრებით საინტერესოა აბსოლუტიზმის ფორმირების პროცესით. ამ პერიოდში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფრონდამ, არისტოკრატთა და პარლამენტარების მოძრაობამ, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას. ჰულიო მაზარინი, კარდინალი და ლუი XIII-ის მრჩეველი, მოგვიანებით კი ლუი XIV-ის რეგენტი, ამ ბრძოლაში ცენტრალური ხელისუფლების სიმბოლოდ იქცა. მისი მიზანი იყო მონარქიის გაძლიერება და საფრანგეთის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცება. ფრონდასთან ბრძოლის დროს მაზარინი გახდა მეფის ხელისუფლების მტკიცე დამცველი და ოპოზიციის მთავარი სამიზნე. ფრონდას აჯანყება საფრანგეთის ისტორიაში მნიშვნელოვან გარდამტებს პერიოდს წარმოადგენს, რომელიც აბსოლუტური მონარქიის გაძლიერების საფუძვლად იქცა, მიუხედავად ოპოზიციის მცდელობებისა, შეზღუდულიყო სამეფო ხელისუფლება. კარდინალ ჰულიო მაზარინისა და ოპოზიციის პოლიტიკურ ნაბიჯებზე ფრკუსირებით, განვიხილავთ აღნიშნული მოვლენის გავლენას აბსოლუტიზმზე. კარდინალის მცდელობა, მას ფრონდას აჯანყების ერთ-ერთ მთავარ ფიგურად აქცევს. ფრონდა, მიუხედავად მხარდამჭერთა სიმრავლისა, ვერ გახდა საყოველთაოდ ორგანიზებული რევოლუცია, თუმცა იგი მნიშვნელოვანი მოვლენაა საფრანგეთის ისტორიაში, ფრონდის დამარცხება მაზარინის მმართველობის პი-

კის გამოხატულებად იქცა, რომელმაც ლუი XIV-ის აბსოლუტური მონარქიული მმართველობის ჩამოყალიბების საფუძველი შექმნა და განაპირობა მეფის ავტორიტეტის სრული აღდგენა. მაზარინმა შეძლო მეფის ხელისუფლების გაძლიერება და ოპოზიციის დამარცხება, თუმცა, ამავე დროს, გამოიწვია საფრანგეთის პოლიტიკური და სოციალური სისტემის ძირეული ძვრები და განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ სოციალური და პოლიტიკური დაპირისპირება საფრანგეთის საზოგადოებაში გრძელდებოდა, რაც მომავალი რევოლუციების წინაპირობა გახდა. საბოლოო ფამში, შეიძლება ითქვას, რომ ფრონდას აჯანყება, როგორც ისტორიული მოვლენა, საშუალებას გვაძლევს, გავაანალიზოთ, რა სახის გავლენას ახდენს ლიდერის პოლიტიკური სტრატეგიები სახელმწიფოში მნიშვნელოვანი ცვლილებების ფორმირებაზე.

გიორგი ხელიძე

„იატაკქვეშეთის“ ფილოსოფია – ეგზისტენციალიზმის სათავეებთან

ფიოდორ დოსტოევსკის „იატაკქვეშეთის ჩანაწერები“ (1864) არის საეტაპო ნაშრომი ეგზისტენციალიზმის განვითარებაში, რომელიც წარმოადგენს მე-19 საუკუნის დომინანტური ინტელექტუალური იდეოლოგიების მწვავე კრიტიკას, რაციონალიზმის, უტილიტარიზმისა და უტოპიანიზმის ჩათვლით. ისტორიული კონტექსტი, რომელშიც დაიწერა „იატაკქვეშეთის ჩანაწერები“, კრიტიკულია მისი ფილოსოფიური თემების გასაგებად. მე-19 საუკუნის შუა ხანებში ისეთი ინტელექტუალური მოძრაობები, როგორცაა – უტილიტარიზმი და პოზიტივიზმი, რომელსაც მხარს უჭერდნენ ისეთი მოღვაწეები, როგორებიც არიან ჭონ სტიუარტ მილი და ოგიუსტ კონტი, ცდილობდნენ რაციონალური და მეცნიერული პრინციპების გამოყენებას ადამიანთა საზოგადოებაში სოციალური პროგრესისა და სრულყოფილების მიღწევის იმედით. თუმცა, დოსტოევსკი ღრმად სკეპტიკურად უყურებდა ამ იდეებს. მიწისქვეშა კაცის ხმით, ის აკრიტიკებს ადამიანთა „დაყვანას“ უბრალო რაციონალურ აგენტებად და ამტკიცებს, რომ

ასეთი შეხედულება არ ითვალისწინებს ადამიანის ბუნების ირა-ციონალურ და წინააღმდეგობრივ ასპექტებს.

იატაკქვეშა ადამიანის რეფლექსია ცხადყოფს დოსტოევსკის რწმენას, რომ რაციონალური, უტოპიური საზოგადოებისკენ სწრაფვა უგულებელყოფს ადამიანის ცხოვრების ეგზისტენცია-ლურ რეალობას. ადამიანები არ იმართებიან მხოლოდ გონივრუ-ლი ან პირადი ინტერესებით, ისინი ასევე ყალიბდებიან სურვი-ლებით, ვნებებითა და ირაციონალური იმპულსებით.

დოსტოევსკის ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ, ციმბირის შრომით ბანაკში გატარებამ, პირად და ფინანსურ კრიზისებთან ბრძოლამ აიძულა იგი, ეჭვქვეშ დაეყენებინა ის იდეა, რომ ადამი-ანის სიცოცხლე შეიძლება შემოსაზღვრულიყო უბრალო რაციო-ნალური გათვლებით ან მართულიყო უტილიტარული პრინციპე-ბით. იატაკქვეშა ადამიანის მიერ „ბროლის სასახლის“ იდეალის უარყოფა – მეტაფორა სრულყოფილად მოწესრიგებული, რაციო-ნალური საზოგადოებისთვის – ასახავს დოსტოევსკის ღრმა შეშ-ფოთებას ასეთი უტოპიური ხედვების დამანგრეველი ეფექტის შესახებ. მისთვის ჭეშმარიტი ადამიანის თავისუფლება გულის-ხმობს ცხოვრებისეული წინააღმდეგობების, ტანკვისა და არაპ-როგნოზირებადობის მიღებას და არა მათგან თავის დაღწევის ან რაციონალიზაციის მცდელობას.

მერი ხვიბლიანი

კორმაკ მაკარტის „გზა“ – ქართული თარგმანები

კორმაკ მაკარტი თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის კლასიკოსადაა მიჩნეული. თავდაპირველად ქართულ ენაზე ითარგმნა მწერლის 2005 წელს გამოცემული რომანი „მოხუცების ადგილი აქ არ არის“ (2014 წ.). ამ მოდერნიზებული ვესტერნისგან რამდენადმე განსხვავდება 2006 წელს გამოქვეყნებული რომანი „გზა“. აღსანიშნავია, რომ „გზა“ კორმაკ მაკარტის პირველი ფან-ტასტიკური ჟანრის ნაწარმოებია, რომელიც 2010 წელს ქურნალმა TIMES-მა ბოლო ათწლეულის 100 საუკეთესო რომანის სათავეში დაასახელა, ხოლო 2009 წელს რომანის ეკრანიზაციაც განხორცი-ელდა. მწერალმა განსახილველი რომანისათვის 2007 წელს პუ-

ლიცერის პრემია მიიღო. კრიტიკოსების აღიარებით, კორმაკ მაკარტი, რომელსაც უილიამ ფოლკნერსაც ადარებენ, საძირკველს უქმნის მომავლის ლიტერატურას. მისი პჰოზა ხეაღისტურია – შემზახვი და ნამდვიღი.

„გზის“ პირველი ქართული თარგმანი 2015 წელს შესრულდა ეკატერინე მაჩიტიძის მიერ (გამომცემლობა პალიტრა L), ხოლო მეორე – ზაზა ჭილაძემ თარგმანა 2024 წელს (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა). რამდენადაც ეს ორი თარგმანი შესრულებულია დროის მოკლე მონაკვეთში, ინტერესს იწვევს მეორე თარგმანის აუცილებლობის საკითხი. ამავდროულად, მეორე თარგმანის არსებობის ფაქტი კითხვას აჩენს პირველი თარგმანის მიმართ. მოხსენების მიზანია, წარმოადგინოს კორმაკ მაკარტის „გზის“ ქართული თარგმანების შედარებითი ანალიზი. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თითოეული თარგმანის დედანთან ადეკვატური დამოკიდებულების საკითხი – ხომ არ მიმართავს რომელიმე მთარგმნელი ინდივიდუალურ სტილს და რა გამოხატულებას ჰპოვებს იგი თითოეულ შემთხვევაში. ნაშრომის მიზანია, მათ შორის, დაადგინოს განხილულ თარგმანთა შორის უპირატესობის საკითხი, თარგმანის სიზუსტისა და მხატვრულობის მოთხოვნათა დაცვის გათვალისწინებით.

ია ხუბაშვილი მარიამ კაკალაშვილი

ბრიტანეთის სახელოვანი რევოლუცია და მისი როლი კონსტიტუციური მონარქიის ჩამოყალიბებაში

1688 წლის სახელოვანი რევოლუცია გახდა გარდამტეხი მომენტი ბრიტანეთის ისტორიაში, რომელმაც არა მხოლოდ შიდა პოლიტიკური სტაბილურობა დააწესა, არამედ მნიშვნელოვნად განაპირობა ბრიტანეთის გლობალური ძალაუფლების ზრდა. მეფე ჯაკიმს II ენინააღმდეგებოდა პროტესტანტულ და პარლამენტურ ბრიტანეთს. მისმა რეფორმებმა გამოიწვია მასობრივი პროცესტი და კონფლიქტები, რასაც საბოლოოდ მისი დევნა და ტახ-

ტიდან ჩამოგდება მოპყვა. უილიამ III-ის დახმარებით, რომელიც ჰოლანდიდან ბრიტანეთში გადმოვიდა, მოხდა ჰეიმს II-ის განდევნა და მისი ადგილი დაიკავა პროტესტანტმა მონარქმა, რომელმაც შეცვალა არსებული პოლიტიკური სისტემა. ამ რევოლუციის შემდეგ, ბრიტანეთში დაკვიდრდა პარლამენტის უზენაესობა და ბრიტანეთი გადავიდა კონსტიტუციურ მონარქიაზე, როთიც მნიშვნელოვნად შეიზღუდა მეფის ძალაუფლება, ხოლო პარლამენტს ეძლეოდა უფლებამოსილება, განესაზღვრა ქვეყნის პოლიტიკური კურსი.

ამ მოვლენამ რადიკალურად შეცვალა ბრიტანეთის მმართველობის სტრუქტურა, რადგან მასობრივი მხარდაჭერისა და მეფის ძალაუფლების შესუსტების შედეგად ქვეყანა გადავიდა პარლამენტის უზენაესობის სისტემაზე, რამაც საბოლოოდ მოიტანა კონსტიტუციური მონარქია. რევოლუციამ გააძლიერა პარლამენტის როლი და შექმნა პოლიტიკური სტაბილურობა, რაც საჭირო იყო როგორც შიდა ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისთვის, ასევე ბრიტანეთის გლობალურ ძალად გადაქცევისათვის. მან განსაზღვრა ბრიტანეთის პოლიტიკური მოდელი და ბრიტანეთის როლი გლობალურ პოლიტიკაში შემდეგი ორი საუკუნის განმავლობაში. რევოლუციის შედეგად გაძლიერდა ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკაც.

აქტუალობა – სახელოვანი რევოლუცია არის თანამედროვე პოლიტიკური აზროვნების ქვაკუთხედი, რომელიც გავლენას ახდენს კონსტიტუციონალიზმზე, დემოკრატიულ მმართველობასა და ადამიანის უფლებებზე, რაც დღესაც საკმაოდ აქტუალურია.

ნაშრომის მიზანია, გააანალიზოს დიდებული რევოლუციის როლი ბრიტანეთის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში და განსაზღვროს მისი გავლენა ბრიტანეთის იმპერიის მშენებლობაზე, რამაც განაპირობა მისი ძალაუფლების ზრდა და ზესახელმწიფოებრიობა XVIII-XIX საუკუნის ევროპაში.

ნაშრომის მეთოდოლოგია – ნაშრომში გამოყენებულია შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა, სტატიები და ისტორიული ინტერნეტრესურსები.

ელენე ხუბაშვილი

ქართული ეპოსის ამირანი და ოსური თქმულებების ბათრაძი

ამირანის ეპოსსა და ოსურ ნართულ თქმულებებში მრავალი საერთო ელემენტი დასტურდება. ეს მსგავსება თავს იჩენს როგორც სიუჟეტებსა და მოტივებში, ასევე პერსონაჟთა თვისებებსა და მათი ცხოვრების გარდამტებ მომენტებში. განსაკუთრებული ტიპოლოგიური სიახლოვე იკვეთება ნართების ეპოსის პერსონაჟ ბათრაძსა და ქართული თქმულებების გმირ ამირანს შორის.

ორივე გმირი სასწაულებრივი გზით და ნაადრევად იბადება. ამირანი ნადირთპატრონი დალის შვილია, განსაკუთრებულ უნარებს ფლობს ბათრაძის დედა ბიცენონიც. დალიც და ბიცენონიც ამბობენ, მათ შვილებს რომ დედის წიაღში ცხრა თვემდე დასცლოდათ, ამირანისა და ბათრაძის მომრევი ქვეყანაზე არავინ იქნებოდა.

ორივე გადაგდებული ბავშვია, რომელთაც ახასიათებთ ბობოქარი ბავშვობა. ისინი ებრძვიან ბოროტ ძალებს და უკანასკნელი დევისგან გამოიხსნიან თავიანთ მოძმეებს, ან შურს იძიებენ მათ გამო, რის შემდეგაც უკვე მზად არიან საცოლის მოსაპოვებლად.

ორივე გმირში უმწეობის განცდა გამოიწვევს სულიერ გარდატეხას და ისინი გაბუდაყების გზას დაადგებიან, გამოიწვევენ ღმერთს, რის შედეგადაც ისჭებიან. ამირანი ღმერთმა კავკასიონის მთაზე მიაკაჭვა, ხოლო ბათრაძი მზის სიმურვალით გაანადგურა. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ დაღუპვით არ მთავრდება ბათრაძის ტანკვა, რადგან მისი ცხედრის აწევა შეუძლებელია, სანამ ღმერთი ზეციდან სამ ცრემლს არ გადმოაგდებს, რაც ბათრაძის სინანულის მანიშნებელი უნდა იყოს. გმირის მონანიების მოლოდინი უდევს საფუძვლად ამირანის მიკაჭვასაც.

ქართული ეპოსის გმირ ამირანსა და ოსური ნართების ეპოსის პერსონაჟ ბათრაძს შორის ღრმა შინაარსობრივ-ფუნქციური მსგავსებაა, რომელიც გამოწვეული უნდა იყოს ქართველი და ოსი ხალხის კულტურულ-ისტორიული სიახლოვით.

მარიამ ხუციშვილი

„ხაზი“ და „LINE“: ეთიმოლოგიური და სემანტიკური პარალელები ქართულ და ინგლისურ ენებში

წარმოდგენილი ნაშრომი იკვლევს ინგლისური სიტყვის „line“ და ქართული სიტყვის „ხაზი“ ეტიმოლოგიურ და სემანტიკურ ას-პექტებს. ანალიზის მიზანია ორივე ენისთვის საერთო და გან-სხვავებული მახასიათებლების გამოვლენა.

„Line“ მომდინარეობს ლათინური „līnea“-დან, რომელიც „სელს“ ან „სელისგან დამზადებულ ძაფს“ აღნიშნავდა. დროთა განმავლობაში მისი მნიშვნელობა გაფართოვდა და მოიცავს გე-ომეტრიულ, მეტაფორულ და ტექნოლოგიურ კონტექსტებს. ქარ-თული „ხაზი“ უძველესი ქართველური ძირის (ხაზ-/ხზ-) ნაწილია და თავდაპირველად „კვალს“ ან „ნაჭდევს“ აღნიშნავდა. ევოლუ-ციის პროცესში ამ სიტყვამ მრავალი მნიშვნელობა შეიძინა, მათ შორის გეომეტრიული, მეტაფორული და სოციალური.

რრივე სიტყვას აქვს საერთო ძირითადი ფუნქციები: ხაზის, საზღვრის, გეომეტრიული ელემენტის აღწერა და იდიომატური გამოყენება. მაგალითად, „draw the line“ ინგლისურად და „ხაზს ავლებს“ ქართულში მსგავს კონცეფციებს გამოხატავს. თუმცა, განსხვავებები იკვეთება იდიომატურ მრავალფეროვნებაში და სლენგში გამოყენების ტენდენციაში, რაც განსაკუთრებით თვალ-საჩინოა ქართულ ენაში.

კვლევა ხაზს უსვამს „line“ და „ხაზი“-ს გავლენას ადამიანის აზროვნებასა და კულტურულ აღქმაზე, რაც ხაზოვანი ორგანიზა-ციის უპირატესობას ავლენს როგორც გეომეტრიულ, ასევე ფი-ლოსოფიურ დონეზე. ნაშრომი წარმოაჩენს, რომ ამ სიტყვების ისტორიული და ლინგვისტური კვლევა ხელს უწყობს ორივე ენის კულტურული თავისებურებების სიღრმისეულ გაგებას.

ლაშა ჭანხოთელი ნინი სხულუხია

რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა რუსეთის პოლიტიკაზე

ნაშრომის მიზანია, აჩვენოს, თუ რა გავლენა მოახდინა რუსეთ-უკრაინის ომმა რუსეთის პოლიტიკაზე, რაშიც მოიაზრება მრავალი ფაქტორი: შიდა პოლიტიკა, საგარეო პოლიტიკა, საერთაშორისო თანამშრომლობა, ეკონომიკა, საერთაშორისო სისტემასა და პოლიტიკაში რუსეთის როლის სახეცვლილება და ა. შ. კვლევის ამოცანაა, ცხადყოს დეტალურად, თუ როგორი რეგრესია განიცადა რუსეთმა ამ თითოეული ფაქტორის გათვალისწინებით.

ჰერ კიდევ 2014 წლიდან მოყოლებული რუსეთსა და უკრაინას დაძაბული ურთიერთობა აკავშირებთ, ვინაიდან გახორციელდა ყირიმის ანექსია. რუსეთ-უკრაინის ომმა (2022 წლის 22 თებერვალი) მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რუსეთის როგორც შიდა, ასევე საგარეო პოლიტიკაზეც, რაც განსაკუთრებულად გამოიხატა პოლიტიკური სტაბილურობის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ეკონომიკის სფეროებში. შიდა პოლიტიკაში კრემლმა უმთავრეს მიზნად დაისახა ავტორიტარული მმართველობის გაძლიერება და ოპოზიციური ძალების დასუსტება. დაიწყო დამოუკიდებელი მედიის და სამოქალაქო, არასამთავრობო ორგანიზაციების მკაფიო კონტროლი, პროპაგანდის მასშტაბური გამოყენებით საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება და, ამავდროულად, მობილიზება „სპეციალური სამხედრო ოპერაციისთვის“. ეკონომიკურ პოლიტიკაში რუსეთი იძულებული გახდა, ეპოვნა აღტერნატიული სავაჭრო პარტნიორები, განსაკუთრებით აზის ქვეყნები, ვინაიდან და რადგანაც, დასავლეთისგან მიიღო სანქციები და მოხდა მისი საერთაშორისო იზოლაცია. მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო ნაბიჯები რუსეთის ეკონომიკური დამოუკიდებლობისკენ, ამავდროულად, ვერ აუქცია გვერდი იმ ფაქტს, რომ ტექნოლოგიური და ფინანსური გამოწვევები ქვეყნის განვითარების გზაზე ხელისშემსლელი ფაქტორებია. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, რუსეთ-უკრაინის ომმა იმოქმედა მის საერთაშორისო სტატუსზეც. დასავლეთის ქვეყნებთან დაძაბული ურთიერთობა რუსეთს იძუ-

ლებულს ხდის, უფრო მჭიდრო თანამშრომლობა დაამყაროს ჩინეთთან და ირანთან. რუსეთის სამხედრო რესურსების შემცირება იწვევს რეგიონული გავლენის შესუსტებას, რაც გულისხმობს მეზობელ სახელმწიფოებთან დამყარებული ურთიერთობების ცვლილებას.

კვლევის მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, საკვლევი კითხვა შემდეგში მდგომარეობს: რუსეთ-უკრაინის ომის პროცესში არსებულმა რა ფაქტორებმა განაპირობა რუსეთის პოლიტიკის ცვლილება და როგორი გავლენა იქონია მასზე?

რაც შეეხება თეორიულ ჩარჩოს, ეს ქეისი მორგებული იქნება რეალიზმისა და ლიბერალიზმის ქრილში, ვინაიდან რეალიზმი ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფო აქტორებსა და მათ პირად ინტერესებზე, თუ როგორ ცდილობენ ძალის გადანაწილებას, ხოლო ლიბერალიზმი კი, როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო აქტორებსაც განიხილავს და გულისხმობს, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები მიზეზ-შედეგობრივად არიან დაკავშირებულნი.

გამოვიყენებთ თვისებრივი კვლევის მეთოდებს, კონკრეტულად, პირველადი და მეორადი წყაროების ანალიზს. ასევე ჩავატარებთ სიღრმისეულ ინტერვიუს დარგის სპეციალისტთან, ან კონკრეტულ საკითხებში კომპეტენტურ პირთან და ასევე გამოვიყენებთ კონტენტანალიზს, რაც დაგვეხმარება საკითხების დეტალურად და ღრმად გააზრებაში.

მარიამ ჭიბაშვილი

სახელმწიფო ექსპერიმენტი: ქალაუფლების გაძლიერება მანიპულაციისა და ქალადობის გზით XVI საუკუნის რუსეთში

XVI საუკუნის რუსეთში ივანე მრისხანეს მმართველობა გამოირჩეოდა სახელმწიფოს ცენტრალიზაციისა და ხელისუფლების კონსოლიდაციის რადიკალური მეთოდებით. რუსეთის მეფე რუსული მიწების გაერთიანების პროცესის დასრულების შემდეგ, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების, ბოიარის წინააღ-

მდეგობის დაძლევისა და საზღვრების დაცვის უზრუნველყოფის ამოცანების წინაშე დადგა. ამ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ოპრიჩნიამ, რომელიც მეფემ შექმნა როგორც ინსტრუმენტი შიდა პოლიტიკური ოპონენტების განეიტრალებისა და სამეფო ძალაუფლების განმტკიცებისთვის. ოპრიჩნიანა წარმოადგენდა ივანე მრისხანეს „სახელმწიფო ექსპერიმენტს“, რომლის მიზანი იყო არა მხოლოდ ბოიარებზე კონტროლის დამყარება, არამედ სამეფო ძალაუფლების აბსოლუტურობის განმტკიცება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ცენტრალიზაციის მთავარი ამოცანა იყო ადგილობრივი და რეგიონული ფეოდალური კლასის გავლენის შეზღუდვა, რათა სამეფო ხელისუფლება გამხდარიყო ერთადერთი ლეგიტიმური ძალაუფლების წყარო. ამ პროცესში დიდი როლი შეასრულა იდეოლოგიურმა მანიპულაციამ, რომელშიც რელიგიური რიტორიკა და სახელმწიფო იდეოლოგია გამოიყენებოდა სამეფო ძალაუფლების ლეგიტიმაციისთვის. შიშისა და მორჩილების კულტურის გადვივებით ხელისუფლებამ შეძლო არა მხოლოდ მასების კონტროლი, არამედ ახალი ტიპის იერარქიული წესრიგის შექმნა, რომელიც მთლიანად ცენტრალურ მმართველობაზე იყო დამოკიდებული.

ძალადობის ინსტრუმენტალიზაცია ამ პერიოდის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია. რეპრესიები და ტერორი მიზნად ისახავდა სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას შიშის მეშვეობით. ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზენოლა გამოიყენებოდა როგორც მოსახლეობაზე, ისე თავად ბოიარებზე, რომელთა გავლენა საგრძნობლად შესუსტდა. თუმცა, ასეთი მიდგომები არ იყო უნაკლო და გრძელვადიან პერსპექტივაში სახელმწიფო იძულებული გახდა, მოეგერიებინა ის სოციალური და ეკონომიკური კრიზისები, რომლებიც ამგვარმა პოლიტიკამ გამოიწვია.

ივანე მრისხანეს „ოპრიჩნია“ მნიშვნელოვანია, როგორც ისტორიული მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ხელისუფლების კონსოლიდაციის მცდელობა გადაიქცეს მასების ტერორის პოლიტიკად. ოპრიჩნია ასახავს იმ რთულ დინამიკას, რაც ძალაუფლების ცენტრალიზაციასა და საზოგადოების კონტროლს შორის არსებობს, იგი ხაზს უსვამს ავტორიტარიზმისა და რეპრესიული მექანიზმების გრძელვადიან წევატიურ გავლენას როგორც სახელმწიფოს, ისე ხალხის განვითარების პროცესზე.

მიხეილ ჭინჭარაძე

ე. წ. ნესტრისებური ისრისპირების ნარეკვავის სამართვნიდან

ე. წ. ნესტრისებური ისრისპირებად სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიებენ ბრტყელ სამკუთხედისებურ ფორმის ისრისპირებს, რომლებსაც წვერთან დატანილი აქვთ ზროგე დასამაგრებელი ნახვრეტი. მიჩნეულია რომ ისრისპირების აღნიშნული ტიპი შიდაქართლური (სამთავრული) კულტურისთვისაა დამახასიათებელი, ვინაიდან ე. წ. ნესტრისებური ისრისპირების გავრცელების არეალი ემთხვევა „სამთავრული კულტურის“ გავრცელების არეალს – ამ ისრისპირების უმრავლესობა შიდა ქართლის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი.

ნესტრისებური ისრისპირები შიდა ქართლში გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე ჩნდება და ავ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარშიც აგრძელებს არსებობას. აღნიშნული ტიპის ისრისპირები, როგორც წესი, დამზადებულია ბრინჯაოს ბრტყელი ფირფიტისაგან, თუმცა გვხვდება ძვლისგან დამზადებული ცალებიც.

მიუხედავად იმისა, რომ ნესტრისებური ისრისპირები საკმაოდ დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი სამთავრული კულტურის ყველა ეტალონურ ძეგლზე და არა მხოლოდ, ისინი საფუძვლიანად დღემდე არ შეუსწავლიათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკვლევი საკითხის მიზანია ამ ტიპის ისრისპირების შესწავლა, თუმცა კვლევის ამ ეტაპზე შერჩეული იქნა სამთავრული კულტურის მხოლოდ ერთი ეტალონური ძეგლის – ნარეკვავის სამართვნის მასალა, ვინაიდან ე. წ. ნესტრისებური ისრისპირები ასეულობითაა აღმოჩენილი და მათ სრულად შესწავლას გაცილებით მასშტაბური კვლევა სჭირდება.

სარჩევი

იაკობ აბაიშვილი	3
საქართველოს საგარეო უსაფრთხოებაზე მსჯელობა დამფუძნებელ კრებაში (1919)	
ნინო აბაშიძე	4
ვიზუალური იმპერიალიზმის ისტორიიდან: ანტუან-ჟან გროს „ნაპოლეონის სტუმრობა იაფაში, შავი ჭირით დაავადებულთა სახლში“	
გიორგი აბსანძე	6
დიდი დედა – MAGNA MATER	
ნინო ალენიკოვი	7
თანამედროვე სამაგიდო თამაშების არგო („მაფიის ღამე“)	
მარიტა აშორტია	8
„არ-/არა-“ ნაწილაკიანი ოკაზიური სახელური მოდელები „ვეფხისტყაოსანში“	
ნინო ახალაია	9
გუბაზ II-ის დიპლომატია	
თამარ ახალგაცი	10
სულიერი მემკვიდრეობა და პოლიტიკური კავშირები: საქართველო და ისრაელი საუკუნეების განმავლობაში	
ბარბარე ბალადაშვილი	11
ცოდნის უკმარისობა, როგორც ახლის შემეცნების წინაპირობა	
გიორგი ბარბაქაძე	12
ქართლის სამეფოს (კავკასიის იბერია) დიპლომატიური სარბიელი რომის იმპერიასთან	
ავთანდილ ბალათურია	13
„ვეფხისტყაოსნის“ შესაძლო ჩაღწევის გზები XVII საუკუნის ინგლისში	

თათია ბაჩიაშვილი, თამარ ბერაია, ანი ივანიძე	15
შანდორ პეტეფის შემოქმედება და მისი გავლენა	
XIX საუკუნის მხატვრობაზე	
ვერონიკა ბერაია	15
შიშის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები	
ინგლისურსა და ქართულში	
მარიამ ბულისკერია	16
პარალიზი, როგორც სულიერი ხსნის სიმბოლო	
ჰეიმზ ჭოისის „დუბლინელებში“	
ირა გელაძე	17
ჰემალ წოდაიდელი აჭარის ეთნოგრაფიის	
სათავეებთან	
ლუკა გოგალაძე	18
საველე ფიქსაციის მეთოდიკა არქეოლოგიაში	
(გრავლიანი გორა და კვიპროსის	
წმ. გიორგის სახელობის ეკლესია)	
გიორგი გოგიშვილი	19
ხაზართა ხაკანატი და აფხაზთა სამეფოს წარმოქმნა	
ლიკა გოგიჩაშვილი, ანა ტარასკინა	21
არაბიზაციის პროცესი მელქიტებს შორის	
(ანტიოქიის საპატრიარქო)	
ნინო გულუა	21
აფაქიძეების საგვარეულოს მნიშვნელობა	
ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიაში	
ნანი გუჩმაზაშვილი	22
ინგლისური ლექსიკური ერთეული WAIT და მისი ქართული	
კორელატები, ეტიმოლოგია და სემანტიკა	
გვანცა დარასელია, საბა შოთაძე	24
„ძეგლისდება“, როგორც ადგილობრივი ძალების	
შემაკავშირებელი სამართლის წიგნი	
თამარ დევრისაშვილი, ნათია სულთანიანი	26
ევროპული სახელმწიფოების ბრძოლა აფრიკის კოლონიური	
დანანილებისთვის 1871-1880-იან წლებში	

თეონა დოლიძე, ლიზა ხასაძა	27
მონები ძველ საბერძნეთში	
ნიკოლეტა ვერულიძე	28
ტფილისური პორტრეტის ისტორიიდან: ზოგიერთი ახალი ცნობა ნინო თორნიკე ქსნის ერისთავის ასულის იდენტიფიკაციისთვის	
ლიკა თადიაშვილი	29
ფატმანისა და ბათელი ქალის შედარებითი ანალიზი: ნორმათა რღვევა და მხატვრული ხატვის თავისებურებანი	
ლაშა თაკაშვილი	30
კორუფცია, დაპირისპირება და პერსონაჟი: კატილინა და იულიუს კეისარი სალუსტიუს კრისპუსის ნარატივში	
ელენე თამაზაშვილი	31
ქართული და დარგული ბალადების ქალი პერსონაჟები კომპარატივისტულ ჭრილში	
ნინო თედიაშვილი, ბაჩანა უგრეხელიძე	33
ჭეშმარიტება, როგორც ქალთა შევიწროების მეთოდი XVIII–XIX საუკუნის ინგლისურ ლიტერატურაში	
ანნა კაჭარავა	34
ქართული წარმომავლობის მოხელეების მოღვაწეობა სიდონის ეიალეთში XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში	
მირანდა კახიშვილი, გიორგი ნადირაძე	36
კოლექტივიზაცია, რეპრესიები და სტალინის მემკვიდრეობა	
ანა კვიჭინაძე	37
ლექსიკური ერთეული TOP და მისი ქართული შესატყვისები: სემანტიკური ანალიზი	
ნიკოლოზ კინმარიშვილი	38
მარშალ სალინსის მემკვიდრეობა და ახალი გამოწვევები ეკონომიკურ ანთროპოლოგიაში	

ელენე კოპალიანი	39
ქალის ლიტერატურული პერსპექტივა ნაირა გელაშვილის რომანში „მე ის ვარ“ და ლია ლიქოკელის ლექსების კრებულში „გოგოობის კანონი“	
ანა კურტანიძე, ანი როსტიაშვილი	41
ქალის პერსონიფიცირების საკითხისათვის ილია ჭავჭავაძის მოთხოვებში	
გვანცა კუპრეეშვილი, ნინო გაბელია	42
სიყვარულისა და ღალატის თემა შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში	
თამარ კუტივაძე	43
მეიფლაუერის ხელშეკრულების როლი ამერიკული დემოკრატის ჩამოყალიბებაში	
მარიამ ლურსმანაშვილი	44
ანტონიმური წყვილი „სავსე“ და „ცარიელი“	
სალომე მაისურაძე, ნინო ფაჩულია	45
იდენტობისა და თავისუფლების არსის ძიება „რობინზონ კრებოსა“ და „ბუზთა ბატონის“ მიხედვით	
ქეთი მაისურაძე, ანი ივანიძე, ლიზი კორკელია	46
თაივანის რბილი ძალა და საჭარო დიპლომატია	
ნინო მანჩხაშვილი	47
პოლ გოგენი: საიდან მოვდივართ? რა ვართ? სად მივდივართ?	
ანი მატუა	48
ეჟენ დელაკრუას ნატურმორტები მოდერნიზმის კონტექსტში	
მარიამ მეარაყიშვილი	49
ვასილ ბარნოვის მოთხოვების ქალი პერსონაჟები	
ეკატერინე მუშკუდიანი	50
გერმანული იმპერიალიზმი და საქართველო 1918-1921 წლებში	
დოდო მუქეერია, მარიმ ლიპარტელიანი	51
ქართული, სკანდინავიური და ბერძნულ-რომაული მითოლოგიების გმირები და ღვთაებები: მსგავსებები და განსხვავებები	

ნინო ნაწიფაშვილი	52
საბჭოთა კავშირში გავრცელებული	
ანტირელიგიური პროპაგანდა	
დიანა ნოზაძე	53
ინგლისური სიტყვა HAIR და მისი ქართული	
კორელატი „თმა“	
მარიამ ნოზაძე	54
გარდასახვის ჰიმნები: რიტუალი და მითი ორფიზმში	
ნუცა ოსაძე	54
ქურთი ქალების სამხედრო-პოლიტიკური აქტივობა,	
როგორც გლობალური ინსპირაცია	
ტატა ოქროფანაშვილი	56
მიშეღ ფუკოს ობიექტივიდან დანახული	
თეოდორ ქურიკოს პორტრეტული სერია მონომანია	
ელენე პაპუაშვილი	57
უილიამ ბლეიკის 12 დიდი ფერადი გრავიურის სერია	
XXI საუკუნის პერსპექტივიდან	
სალომე პატარიძე	58
ფრანგული ორიენტალიზმის განსხვავებული ხედვა:	
ეშენ დელაკრუას „სარდანაპალუსის სიკვდილი“	
ლიზა პაქსაძე, რაულ თოფურია	59
„პანკისის ხეობის კრიზისი“ და მისი გავლენა	
საქართველოს პოლიტიკაზე	
თამარ რეხვიაშვილი, აისელ ახმედოვა	60
სოციალური პრობლემატიკის ქრილი შიო არაგვისპირელის	
შემოქმედებაში	
მარიამ რობაქიძე	61
კასპარ დავიდ ფრიდრიხის „პეიზაჟის ტრაგედია“	
მარიამ სალუქვაძე, ნინო ანანიძე	62
ქრისტიანული დოქტრინა ფონტონის შესახებ და	
მისი ინტერპრეტაცია დანტე ალიგიერის	
„ღვთაებრივ კომედიაში“	

სალომე სამხარაძე	63
იერუსალიმის ჰვრის მონასტერი	
და მისი სიძველეები	
ნიკ სიარგი	65
ესტონური ფული მარკიდან და კრონიდან	
თანამედროვე ევროს მონეტებამდე	
ნათია სიბაშვილი	66
ბედისა და ადამიანის დამოკიდებულება	
ჰომეროსის ეპოსისა და სოფოკლეს	
„ოიდიპოსის მეფის“ მიხედვით“	
თეკლა სიხარულიძე	67
ფერის სიმბოლიკა თურქულ ფრაზეოლოგიაში	
თემურ სიხარულიძე	69
ბიზანტიის ქრისტიანული გეოპოლიტიკის	
ჩამოყალიბება	
ნათია სურმანიძე	70
მიგრანტთა აქტივიზმის	
ვექტორები საქართველოში	
კონსტანტინ სოროკინი	71
იესე ფალავანდიშვილის მოგონებები პუშკინის	
საქართველოში ვიზიტის შესახებ	
მარიამ ტეფნაძე, მარიამ არუთინოვი	72
ორმხრივი დამოკიდებულება: სომხები, მუსლიმები და	
ქართველები სასწავლო დაწესებულებებში	
ნათია ტურაშვილი	72
„უბატონო ქვეყანა“	
ინა ტყეშელაშვილი, ანი ჭილვარია	73
ორი „ეროვნული პოეტი“ – ილია ჭავჭავაძე, შანდორ პეტეფი	
პოეტისა და პოეზიის დანიშნულებაზე	
ანამარია ფანგანი	74
სათემო ტრადიციების როლი ადგილობრივი	
თვითმმართველობის განვითარებაში:	
სვანეთის მაგალითი	

ელენე ფანჩულიძე, საღომე სულაკაური	76
წარუმატებელი არჩევნების მნიშვნელობა	
დემოკრატიული განვითარებისათვის:	
1993 წლის ნიგერიის არჩევნების ანალიზი	
ანა ფაფიაშვილი, მარიამ მახათაძე	77
რეჩ-პოსპოლიტა და მისი როლი თანამედროვე	
ევროკავშირის ფორმირებაში	
თამარ ფაცურია	78
„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ფრაზის ენობრივი ანალიზი	
ნათია ფერაძე	79
ბაგრატ IV-ისა და ლიპარიტ ბაღვაშის დაპირისპირება	
საქართველოს გაერთიანების გზაზე	
ლიზა ქავთარაძე, რუსუდან სულუაშვილი	80
სიტყვანარმოება გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში	
(მორფოლოგიურ-სემანტიკური ანალიზი)	
ლუკა ქავთარაძე	82
ძველი ქართული ლიტერატურა და ანა კალანდაძის	
შემოქმედება	
თამარ ქურციკიძე	83
სიმბოლოთა ფუნქცია უილიამ გოლდინგის „ბუზთა ბატონში“	
და მათი ასახვა რომანის ეკრანიზაციებში	
ეკატერინე ლუდუშაური	84
შინაგანი მონოლოგის პოეტოლოგიური ასპექტები	
პ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილში“ – ერთი თავის	
გააზრების მცდელობა („ჰიმნები ღვინისადმი“)	
ნინო ყარაულაშვილი	85
ბოროტების უარსობის განმარტება იოანე პეტრინის	
„ბოლოსიტყვაში“ პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის	
საფუძვლებზე“ – „Στοιχείωσις θεολογική“	
ლიკა ყაფლანიშვილი, ილონა კირაკოსიანი	86
ნუმეროლოგიის მნიშვნელობა დანტე ალიგიერის	
„ჭოჭოხეთში“	

ლიზი ყიფიანი	87
ასემიური დამწერლობა: ხატი სემანტიკის გარეშე გლობალურ და ქართულ კონტექსტში	
ია შანთაძე	89
პერსონაჟთა იზოლაციის პრობლემა ედგარ ალან პოს შემოქმედებაში	
ნიკოლოზ შარაშენიძე, ვაჟა ჩიტაია, დავით გოგიშვილი,	
ნიკოლოზ ოტიაშვილი	90
გრავლიანი გორის მესამე ტერასის გათხრების შედეგები (2024 წ.)	
ნინო შარაშიძე	91
ქალთა ემანსიპაციის პრობლემა ვირტინია ვულფის ესეებში („საკუთარი ოთახი“ და „პროფესია ქალებისთვის“ მიხედვით)	
ნიკოლოზ შერაზადიშვილი	92
საქართველოს კონსტიტუცია, როგორც ქართული სამართლებრივი აზროვნების განვითარების ისტორიული დოკუმენტი	
ვერიკო ჩილაჩავა	93
ნამუდა „hომ“ კავშირიანი თქმა-ბრძანების გამომხატველი ჰიპოტექსური კონსტრუქცია მეგრულში	
თამარ ჩიხერაძე	94
ინკლუზიური სივრცეები ლიტერატურაში: ეკატერინე ტოგონიძის „ასინქრონი“ დადენიელ კიზის „ყვავილები ელფერნონისთვის“	
ელენე ჩხეიძე	95
„კარნავალური ნარატივი“ ქართულ მოდერნიზმში მიხეილ ბახტიანის კონცეფციით (ლეო ქიაჩელის Escalade-სა და კონსტანტინე გამსახურდიას „ლილ“-ის მიხედვით)	95
ანა ცინცაძე	96
სოკრატე სასამართლოს წინაშე	

თაკო ციხელაშვილი	97
აშშ-სა და საქართველოს სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობა: თავდაცვის გაძლიერება და რეგიონალური უსაფრთხოება	
ნიკოლოზ ძიმისტარიშვილი	98
მეფე გიორგი II-ის მოღვაწეობისა და მისი ტახტიდან გადადგომის შესახებ	
ლიზა წერეთელი	99
შიმშილის გამომხატველი ლექსიკური ერთეულების სემანტიკისთვის ინგლისურსა და ქართულში	
ლიზი წერეთელი, ლუკა ტეფნაძე	100
დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკა საზღვარგარეთ არსებული შეა საუკუნეების ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მიმართ (1991 წლიდან დღემდე)	
ანა წიქარიშვილი	102
აბსურდულობა და მნიშვნელობის დევნა ალბერ კამიუს ნაშრომში „სიზიფის მითი“	
თამარ ჭანუყვაძე ნინო გახარია	103
მე-19 საუკუნის ხიდი: მიხაი ზიჩიტი და მისი გავლენა ქართულ ხელოვნებაზე	
მაგდა ჭილაშვილი	104
გვიანბრინჯაო-ადრერვინის ხანის სამეთუნეო ხელსააწყობი და იარაღები აღმოსავლეთ საქართველოდან	
თეკლა ხარაიშვილი	105
თანამედროვე კონფლიქტების ვიზუალური ისტორიიდან - ფრანსისკო გრიას ომის საშინევებანი	
ნინო ხელაშვილი, მარიამ სახეიშვილი	106
ფრონდას პარადოქსი: აბსოლუტიზმის განმტკიცება საფრანგეთში	
გიორგი ხელიძე	107
„იატაკქვეშეთის“ ფილოსოფია – ეგზისტენციალიზმის სათავეებთან	

მერი ხვიბლიანი	108
კორმაკ მაკარტის „გზა“ – ქართული თარგმანები	
ია ხუბაშვილი, მარიამ გავალაშვილი	109
ბრიტანეთის სახელოვანი რევოლუცია და მისი როლი	
კონსტიტუციური მონარქიის ჩამოყალიბებაში	
ელენე ხუბაშვილი	111
ქართული ეპოსის ამირანი და ოსური თქმულებების ბათრაძი	
მარიამ ხუციშვილი	112
„ხაზი“ და „LINE“: ეტიმოლოგიური და სემანტიკური პარალელები ქართულ და ინგლისურ ენებში	
ლაშა ფანხოთელი, ნინი სხელუხია	113
რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა რუსეთის პოლიტიკაზე	
მარიამ ჭიბაშვილი	114
სახელმწიფო ექსპერიმენტი: ძალაუფლების გაძლიერება მანიპულაციისა და ძალადობის გზით XVI საუკუნის რუსეთში	
მიხეილ ჭინჭარაძე	116
ე. ნ. ნესტრისებური ისრისპირები	
ნარეკვავის სამაროვნიდან	

გამოცემაზე მუშაობდნენ:

რუსუდან მიქენაია
ლალი კურდღელაშვილი

